საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 აპრილი **სამშაბათი** 2012 №078 (13684) ფასი 80 თეთრი

# ბარსა თუ მილანი?





ხოსეპ გვარდიოლა ფიქრობს, რა მოუხერხოს მილანის დაცვას

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი.
საპასუხო მატჩების წინ

# ეპოქალური ბრძოლა ნოუ კამპზე

## დაანგრევს გვარდიოლა ალეგრის კედელს?





მასიმილიანო ალეგრის ისტორიული შანსი

5

# ცაში გაფრენილი ქულები

# პრობლემა

## დინამო ვერ იგებს!



დინამოს მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი კოლხეთთან მატჩის შემდეგ

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## გიორგი დევდარიანი
## მზად ვარ, წავიდე!



დინამო-კოლხეთი 1:1. ფოთელებთან ფრე თბილისელებისთვის ზედიზედ მეხუთე იყო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



მეტალურგი-ტორპედო 2:1

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# რუსთავში ჩემპიონობა ახსენეს

## მეტალურგი ზესტაფონს სათოფეზე მიუახლოვდა

საქართველოს ჩემპიონატი

2-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# სხვა მოცემულობა

02.04. თბილისი. დინამო არენა. 1 000 მაყურებელი

**დინამო 1**

**კოლხეთი 1**

0:1 გოგონაია (56, პ.დათუნაიშვილის პასით), 1:1 ჯილაური (83, რობერტინიოს პასით)

| დინამო 4-2-3-1 | კოლხეთი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | ა. მიქაბერიძე |
| ტვილდიანი | ფოფხაძე |
| ხიზანეიშვილი | ლომაშვილი |
| თომაშვილი | ბოიომო |
| გ.რეხვიაშვილი | გაბუნია |
| ანდრეუ | გოგონაია |
| ძარია | პ.დათუნაიშვილი |
| კოტო | ქებაძე |
| კვეკვესკირი | გვალია |
| რობერტინიო | პავლიაშვილი |
| გოგუა | ბ. ტულუში |
| მწვრთნელი | მწვრთნელი: |
| გ.დევდარიანი | დ.მახარაძე |

**დინამო**

32. კოტო - **ოდიკაძე**
56. ანდრეუ - **ჯილაური**
60. ტვილდიანი - **იაგუე**

*სათადარიგოები:* *სეფიაშვილი, ხმალაძე, პაპავა, კოშკაძე*

**კოლხეთი**

69. ტულუში – **ციცხვაია**
82. პავლიაშვილი – **გ.კილასონია**
85. პ.დათუნაიშვილი – **ცხადაია**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ცხვიტარია, ნაბრია, გულუა*

გაფრთხილება: ტვილდიანი(29), გოგუა (76), ლომაშვილი (90)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

"დინამომ" ზედიზედ მეხუთე ფრე ითამაშა პლეი-ოფში. გუშინ 'დინამო" მდევრის როლშიც კი აღმოჩნდა ფოთის "კოლხეთთან". საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს რთული პერიოდი აქვს, თითქოს გარდამავალ ეტაპზეა და კალაპოტს ეძებსო.

პირველი ტაიმი ისეთი ულიმლამო აღმოჩნდა, ფანტაზიის ფანტასტიკური უნარი უნდა გქონდეს, რიგიანად რომ აღწერო. "კოლხეთს" ემჩნეოდა, რომ ფრითაც კმაყოფილი დარჩებოდა, "დინამოს" კი მწყობრად თამაში არ გამოსდიოდა. პირველი 45 წუთი ისე გაილია, არც ერთ გუნდს არ შეუქმნია საგოლე მომენტი, სახიფათო ეპიზოდებიც, ფაქტობრივად, არ იყო.

"დინამოს" დამრიგებელმა **გიორგი დევდარიანმა** წინა მატჩისგან განსხვავებული შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე – **ჩისკო** ტრავმის გამო არ იყო, **ლევან ხმალაძე, ჯაბა ჯილაური** და **ალექსანდრე კოშკაძე** სათადარიგოებში გაამწესა, სასტარტოში კი **ოთარ ხიზანეიშვილი, ანდრეუ, კარლეს კოტო** და **რობერტინიო** დააყენა.

ძალიან ძნელია, როცა სტაბილურ შემადგენლობას დაეძებ და თან მაღალი შედეგი მოგეთხოვება. "დინამო" სულ სხვა საზომია, საქართველოს ჩემპიონატში მწვრთნელისთვის ვინძლო ყველაზე რთული გამოცდა სწორედ "დინამოა".

დევდარიანს ჩისკოს გარდა ტრავმირებული ალვარო და **გიორგი მერებაშვილიც** არ ჰყავდა, მაგრამ ოთხი ფრის შემდეგ გამარჯვების გარდა სხვა შედეგი წარუმატებლობად ჩაეთვლებოდა.

"დინამომ" საკუთარი თამაში ვერ იპოვა. ეს არ არის ადვილი საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდი კალაპოტში ვერ ზის. "კოლხეთს" კი მხოლოდ კომპლიმენტი ეკუთვნის – **დავით მახარაძის** გუნდი რვა საუკეთესოშიც მოხვდა და ამის შემდეგაც რიგიანად თამაშობს.

მეორე ტაიმის დასაწყისი ფოთელთა უპირატესობით წარიმართა. **ლაშა გვალიას** დარტყმა **გიორგი ლორიამ** კუთხურზე მოიგერია. მერე იყო მორიგი არასასიამოვნო ეპიზოდი "დინამოსთვის" – ლორიამ ფეხით კარგად ვერ აიტანა ბურთი და **ბექა ტულუშმა** კინაღამ დასაჯა მოწინააღმდეგე.

56-ე წუთზე გვალიამ ჯარიმა მოიპოვა, **პაატა დათუნაიშვილმა** ჩააწოდა, "დინამოს" დაცვამ და მეკარემ ალღო ვერ აუღეს სიტუაციას და **ომარ გოგონაიამაც** შანსი გამოიყენა.

"დინამოს" დაახლოებით ოცი წუთი დასჭირდა, რომ გაშვებული ბურთის შემდეგ პირველი საგოლე შესაძლებლობა შეექმნა – მარჯვენა ფლანგზე **ჯაბა ჯილაურმა** ითამაშა კარგად, ჩააწოდა და **არდალიონ მიქაბერიძემ** ისეთი ბურთი აუღო **ირაკლი ძარიას**, თქვენი მოწონებული.

"დინამოს" არც "კოლხეთი" ჩამორჩა – ლორია კარგად ვერ გამოვიდა კარიდან, ბურთი გვალიას მიუვიდა, მეკარისგან მიტოვებული კარისკენ დროულად ვერ დაარტყა, ბურთის თავზე გადაგდებას ცდილობდა და სიზუსტემ უმტყუნა.

"დინამომ" ამასობაში ზეწოლა გააძლიერა და დამსახურებულად გამორჩა გამთანაბრებელ გოლს. **რობერტინიომ** მარჯვენა ფლანგზე იჩაუქა, კარგად ჩააბზრიალა ბურთი "კოლხეთის" საჯარიმოში და **ჯილაურმაც** ისეთი თავური მიაყოლა, მეკარისთვის აულებელი რომ არის.

მადა ჭამაში მოდისო და "დინამო" მოსაგებადაც გაიქაჩა. მასპინძლები მართლაც მეტი მონდომებით ათამაშდნენ და კინაღამ სამ ქულასაც გამორჩნენ – გოგონაიას შეცდომის შემდეგ ძარია აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

### მატჩის შემდეგ

**დავით მახარაძე (კოლხეთი):** ოთხი ფრის შემდეგ "დინამოს" მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და ყოველივე ამისთვის მზად ვიყავით. მოგება შევძელი, თუმცა ფრითაც კმაყოფილი ვარ.

**გიორგი დევდარიანი (დინამო) :** თუ საქმეს წაადგება, მზად ვარ ჩემი პოსტი სხვას დავუთმო. ვისაუბრებთ და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. არ მსურს სხვა ფაქტორებზე საუბარი, არავის არაფერს არ ვაბრალებ, ყველაფრის მიზეზი ალბათ ჩემშია. არ მინდა, დარცხვენილი ვიყო, ეს არ არის ჩემი მდგომარეობა. მანამდე ვატყობდი, რომ მქონდა მწვრთნელისთვის საჭირო უნარი და ნიჭი, ახლა კი სხვა მოცემულობასთან გვაქვს საქმე, რომელშიც პრობლემებია. იმედი მაქვს, რომ დღეს თუ არა ხვალ "დინამო" უკეთ ათამაშდება.

**დავით თავართქილაძე**

# შეტევა უკანმოუხედავად!

02.04. თბილისი. მ. მესხი. 1 500 მაყურებელი

**დილა 4**

**მერანი 2**

1:0 ვანაძე (35. კახელიშვილის პასით), 2:0 ბექვაია (48), 3:0 ვანაძე (67. ახალკაცის პასით), 3:1 მანწკავა (76), 4:1 ვანაძე (83. ლექვთაძის პასით), 4:2 ტორონჯაძე (90. მანწკავას პასით).

| დილა 4-3-3 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| სკენდერი | შეროზია |
| ალადაშვილი | გეგეჭკორი |
| სალუქვაძე | იოგაშვილი |
| ინწკირველი | ქვანია |
| მეგრელიშვილი | სუხიაშვილი |
| ბექვაია | დიდავა |
| კაშია | ფონიავა |
| ხოჯავა | ე. გრიგალაშვილი |
| გურული | მანწკავა |
| ვანაძე | ტაპე |
| კახელიშვილი | ამბროლაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| თ. შალამბერიძე | გ. ქვანია |

**დილა**

60. გურული – **ლექვთაძე**
62. ხოჯავა – **ახალკაცი**
84. კაშია – **კანდელაკი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ნ. ნოზაძე, ბარაბაძე.*

**მერანი**

46. ფონიავა – **ტორონჯაძე**
52. ამბროლაძე – **ბოხუა**
65. ტაპე - **ჩალაძე**

*სათადარიგოები: შენგელია, წოწორია, ვართაგავა, კიკალიშვილი*

გაფრთხილება: ალადაშვილი (53), მანწკავა (72), კანდელაკი(90) .

არბიტრი: გ. ვადაჭკორია.

მატჩი უხვგოლიანი გამოდგა, მეტოქეებმა გახსნილი ფეხბურთი აჩვენეს და მაყურებელს არ მოუწყენია. დასაწყისში მარტვილელებმა ისე აქტიურად დაიწყეს, ვერავინ წარმოიდგენდა, საბოლოოდ ასეთი ანგარიშით თუ წააგებდნენ.

"დილას" საკუთარი საჯარიმოდან ბურთის გამოტანა უჭირდა. მშვენიერი საგოლე მომენტი ჰქონდა **ვალერი იობაშვილს**, რომელმაც ახლო მანძილიდან სცადა კარის აღება, მცველი ეფექტური მოძრაობით ჩამოიცილა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სუსტად დაარტყა და შანსი ხელიდან გაუშვა.

ამას **გიგა ამბროლაძის** მომენტი მოჰყვა, რომელმაც მოედნის ცენტრში ბურთი **მათე ვანაძეს** აართვა, მაგრამ გორელთა მეკარე **მარინ სკენდერს** ვერ აჯობა.

ტაიმის შუაგულში **თემურ შალამბერიძისა** და **გია ცეცაძის** გაწვრთნილები გამოფხიზლდნენ, შეტევები გაამწვავეს და ნამდვილი, სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენეს - მშვენივრად გამოიყურებოდნენ საყრდენები, **შოთა კაშია** და **გიგა ბექვაია.** აღსანიშნავია მათი არა მხოლოდ მონდომება, არამედ აზრიანი თამაშიც. კაშია იყო ყველგან: იბრძოდა, შეტევებს იწყებდა და ამწვავებდა და თანაგუნდელებიც აიყოლია.

**მათე ვანაძემ** კი "მერანის" კარს იმდენი უტრიალა, სანამ არ გაიტანა: 35-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან **გიორგი კახელიშვილის** მშვენიერი გადაცემის შემდეგ კარის წინ მარტო დარჩენილმა თავით ზუსტად დაარტყა.

შესვენების შემდეგ "დილას" უპირატესობა შთამბეჭდავი გახდა. გორელები მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. თამაში ახალი განახლებული იყო, როდესაც მცველის მიერ საკუთარ საჯარიმოში დაუდევრად მოგერიებული ბურთი ბექვაიამ კარში გაგზავნა.

კარგად ჩაერთო თამაშში **რომან ახალკაცი**, რომელმაც ბურთთან პირველივე შეხებით კახელიშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ "დილას" ფორვარდმა ჩინებული გადაცემა ვერ გამოიყენა.

სამაგიეროდ, ვანაძემ ისარგებლა ახალკაცის გადაცემით: ამ უკანასკნელმა ბოლომდე იბრძოლა; მცველებს ბურთი გადასული რომ ეგონათ და გაჩერდნენ, ხაზზე გააჩერა და ვანაძე მოძებნა, რომელმაც ახლო მანძილიდან ზუსტად გაისროლა - 3:0.

"მერანმა" შედეგიანი შეტევა მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელა: **გიორგი მანწკავას** დარტყმის შემდეგ, ბურთი გორელ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და "დილას" კარში აღმოჩნდა.

გორელებმა სხვაობა მალე აღადგინეს: **ირაკლი ლექვთაძის** გადაცემის შემდეგ, ვანაძემ ჰეთ-თრიქი შეასრულა.

საბოლოო წერტილი მარტვილელმა **მამუკა ტორონჯაძემ** დასვა, რომელმაც კუთხურიდან მანწკავას მოწოდებული ბურთი კარში ზუსტად გაგზავნა.

შეიძლება ითქვას, რომ "დილამ" შთამბეჭდავი ფეხბურთი აჩვენა და თუ სამომავლოდაც ასე გააგრძელა, საფეხბურთო რუკაზე საკმაოდ სიმპათიური გუნდი გაჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

02.04. ზუგდიდი. ბაიას ბაზა. 700 მაყურებელი

**ბაია 1**

**ზესტაფონი 1**

1:0 ნ. შონია (15), 1:1 გ. ონიანი (43)

| ბაია 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| სომხიშვილი | რ. კვასხვაძე |
| ტყემალაძე | თ. ლონლაძე |
| აფაქიძე | გ. ონიანი |
| ლ. ტყებუჩავა | მ. კობახიძე |
| აკობია | ელიავა |
| კუტალია | აფციაური |
| გ.ქვარცხავა | შ.გრიგალაშვილი |
| ნ. შონია | შარიქაძე |
| სიხარულია | სამუშია |
| ეხვაია | წინამძღვრიშვილი |
| გაბედავა | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ტყებუჩავა | გ. ჭიაბრიშვილი |

**ბაია**

56. ეხვაია – **კუკავა**
75. კუტალია – **ენდელაძე**
85. სიხარულია – **ზ. ქვარცხავა**

*სათადარიგოები: მაქაცარია, გამრეკლიძე, აქუბარდია, შ. ლომია*

**ზესტაფონი**

46. სამუშია – **ბაბუნაშვილი**
46. წინამძღვრიშვილი – **დ. მუჯირი**
75. შ. გრიგალაშვილი – **ბენაშვილი**

სათადარიგოები: მეშველიანი, საჯაია, მენთეშაშვილი, რაყამაშვილი

გაფრთხილება: კუტალია (14)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32 | 15 | 39 |
| 2 | მეტალურგი | 19 | 11 | 2 | 6 | 28 | 22 | 35 |
| 3 | დინამო | 19 | 7 | 7 | 5 | 32 | 25 | 28 |
| 4 | ტორპედო | 18 | 7 | 5 | 6 | 19 | 16 | 26 |
| 5 | ბაია | 19 | 5 | 6 | 8 | 16 | 24 | 21 |
| 6 | დილა | 19 | 5 | 6 | 8 | 21 | 21 | 21 |
| 7 | კოლხეთი | 19 | 4 | 8 | 7 | 12 | 22 | 20 |
| 8 | მერანი | 18 | 4 | 2 | 12 | 17 | 32 | 14 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 14 |
| ჩისკო (დინამო) | 12 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 10 |

### მომდევნო ტური

**6 აპრილი, პარასკევი**

კოლხეთი-მერანი
ზესტაფონი-დილა
ტორპედო-ბაია
დინამო-მეტალურგი

## პლეი ოფი



ომარ მიგინეიშვილის თავდადებამ ტორპედო მაინც ვერ იხსნა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# რუსთავში ჩემპიონობა ახსენეს!

02.04. რუსთავი. ფოლადი. 900 მაყურებელი

**მეტალურგი 2**

**ტორპედო 1**

1:0 რაზმაძე (45,პენალტით), 1:1 კვახაძე (85), 2:1 გავაშელიშვილი (89)

| მეტალურგი 4-2-3-1 | ტორპედო 4-2-3-1 |
|---|---|
| ბედიაშვილი | მიგინეიშვილი |
| გ. სეთურიძე | რიგვავა |
| გავაშელიშვილი | კვახაძე |
| გ. კვარაცხელია | გამეზარდაშვილი |
| ს. თოდუა | გურული |
| ქავთარაძე | გ. დათუნაიშვილი |
| რაზმაძე | ფირცხალავა |
| თექთურმანიძე | დოლიძე |
| ი. მაისურაძე | ვ. ბოლქვაძე |
| გენაძე | თარხნიშვილი |
| სიხარულიძე | გოცირიძე |
| **მწვრთნელი:** კ. ჟორჟიკაშვილი | **მწვრთნელი:** გ. გეგუჩაძე |

**მეტალურგი**

71. ქავთარაძე — **დობროვოლსკი**
77. გენაძე — **ჯაფარიძე**
81. მაისურაძე — **ტატანაშვილი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, მახვილაძე, ჭედია, მოდებაძე*

**ტორპედო**

45. ფირცხალავა — **იოსელიანი**
58. თარხნიშვილი — **კუხიანიძე**
63. დოლიძე — **საბანაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ფანცულაია, დ. ჯანელიძე*

გაფრთხილება: თარხნიშვილი (27), გოცირიძე (28), ფირცხალავა (34), კვახაძე (45), გავაშელიშვილი (50), თექთურმანიძე (58), თოდუა (82), კვარაცხელია (86), გამეზარდაშვილი (90+2).

გაძევება: რიგვავა (45)

არბიტრი: ლ. სილაგავა

უაღრესად დაძაბული და მართლაც საინტერესო მატჩის მოგებით გამოწვეული სიხარული და აღტყინება „წესიერად" ჩამცხრალიც არ იყო, „მეტალურგის" ქომაგთა და კლუბის წარმომადგენლები... ჩემპიონობას ხშირად რომ ახსენებდნენ! ჰო, ასეა: გადახედეთ სატურნირო ცხრილს და ადვილად შეამჩნევთ, რომ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის გუშინდელმა გამარჯვებამ საჩემპიონო რბოლას სერიოზული ინტრიგა შესძინა. ამას გარდა, მასპინძლებმა გუშინდელი მოგებით უშუალო კონკურენტ(ებ)იც უკან ჩამოიტოვეს და არანაკლებ ურთულესი ორი მატჩის წინ მშვენიერი განწყობაც შეიქმნეს. ახლა კი იმ მართლაც საინტერესო მატჩის შესახებ, ერთობ უცნაური „სცენარი" რომ ჰქონდა და შეხვედრის ბოლო წუთებზე რა ემოციაც იყო მოედანზე თუ ტრიბუნებზე, ეს ხომ საერთოდ ცალკე თემაა...

... წინა მატჩებისგან განსხვავებით, ორივე გუნდის ძირითადში რამდენიმე სიახლე იყო; თუმცა მასპინძელთა ქომაგთათვის, უდავოდ, სასიამოვნო სიურპრიზი იქნებოდა ძირითადში **რევაზ გენაძის** გამოჩენა — 27 წლის მარცხენა გარემარბმა ჩვეული აქტიურობით ჩაატარა შეხვედრა და მოედანზე მყოფ ფეხბურთელთაგან უდავოდ, გამორჩეულიც გახლდათ. ოღონდ, ამ მატჩის მონაწილე კიდევ ერთი ფეხბურთელიც არ უნდა გამოგვრჩეს — „ტორპედოს" 27 წლის მეკარემ **ომარ მიგინეიშვილმა** უკვე მერამდენედ დაამტკიცა მაღალი კლასი. თუმცა ეს საკმარისი არ გამოდგა და „ტორპედომ" ერთობ მნიშვნელოვანი თამაში წააგო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქუთათურთა გუნდზე აუგს ვერავინ იტყვის: კაცნაკლულმა სტუმრებმა მეორე ტაიმში მეტოქეს აქტიური თამაში მოახვიეს, ანგარიშიც გაათანაბრეს და... მოსაგებადაც „გაიწიეს", მაგრამ ბურთი საკუთარ კარში მიიღეს!

... პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარაზე მეტი იყო და „მეტალურგის" ფეხბურთელებმაც არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმართა კართან: **გივი კვარაცხელიას** და **გიორგი ქავთარაძის** დარტყმებს მცირეოდენი სიზუსტე აკლდა, **ირაკლი მაისურაძისა** და **ირაკლი სიხარულიძის** მცდელობებს კი „ტორპედოს" მეკარის ომარ მიგინეიშვილის ჩინებური რეაქცია აღუდგა წინ. განსაკუთრებით სახიფათო იყო მასპინძელთა „სტანდარტულები" და შეხვედრის პირველი გოლიც კუთხურის გათამაშებას მოჰყვა: სიხარულიძის თავით დარტყმული ბურთი კარის ხაზზე მდგარ **დათა რიგვავას** ხელზე მოხვდა და მატჩის არბიტრმა **ლაშა სილაგავამაც** პენალტი დანიშნა. მსაჯის ამ გადაწყვეტილებას სტუმართა არცთუ „უხმაურო" პროტესტი მოჰყვა — რიგვავა მოედნიდან გააძევეს, პენალტი კი, როგორც სჩვევია, უნაკლოდ შეასრულა **ლუკა რაზმაძემ** და პირველი ტაიმიც ლოგიკური ანგარიშით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ კი მოედანზე არსებული სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ეს კი, უპირველესად სტუმართა გუნდის თავკაცის ეფექტიანი შეცვლების გამოც იყო: სამივე ახალგაზრდა ფეხბურთელი (**გივი იოსელიანი, გიორგი კუხიანიძე, ნიკა საბანაძე**) თამაშში აქტიურად ჩაერთო და საერთოდაც, ქუთათურთა აქტიურობა ბევრისთვის მოულოდნელიც აღმოჩნდა. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ „ტორპედო" ხშირად ემუქრებოდა მასპინძელთა კარს, უფრო პირიქით იყო: ერთ ეპიზოდში რევაზ გენაძის „გასროლილმა" მეტოქის კარის „ცხრიანს" ჩაუქროლა, მერე კი ერთობ თვალსასეირო კომბინაციაც ვიხილეთ (ლამის ნახევარი გუნდი რომ მონაწილეობდა), მაგრამ **ლაშა ჯაფარიძის** ეფექტურად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. შემდეგ კი ვნახეთ უაღრესად დრამატული ბოლო წუთები: საგოლე კომბინაცია... მიგინეიშვილმა წამოიწყო, **დავით გამეზარდაშვილმა** „საჰაერო დუელი" მოიგო, ნიკა საბანაძემაც ბოლომდე იბრძოლა და შემდეგ ისე მოხდა, რომ დასარტყამ პოზიციაზე „ტორპედოს" ცენტრალური მცველი **ალექსანდრე კვახაძე** აღმოჩნდა! გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: მატჩის განმავლობაში ეს იყო სტუმართა პირველი დარტყმა „კარის ჩარჩოში", თანაც — ზუსტი! ამ გოლმა სტუმრებს „ფრთები შეასხა" და კიდევ ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს: **ვალერი ბოლქვაძემ** საჯარიმოდან ბურთი ოსტატურად „დააბზრიალა", მაგრამ გამეზარდაშვილს „საფირმო თავური" არ გამოუვიდა. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ჯარიმის დარტყმის უფლება ამჯერად მასპინძლებმა მოიპოვეს და სწორედ მაშინ იყო მიგინეიშვილმა... 1 მეტრიდან დარტყმული ბურთი რომ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას მასპინძელთა უნივერსალმა ფეხბურთელმა, 22 წლის **გიორგი გავაშელიშვილმა** დაასწრო და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

## პლეი აუტი

# გურულების სტუმრობა...

02.04. ბათუმი. ადელი. 1000 მაყურებელი

**ბათუმი 1**

**გურია 3**

0:1 მაისაშვილი (36. ჩუენსუს პასით), 0:2 კვერენჩხილაძე (76. მაისაშვილის პასით), 0:3 კვერენჩხილაძე (80. ტ. კუკულაძის პასით), 1:3 ა. მუჯირი (90)

| ბათუმი 4-4-2 | გურია 4-2-3-1 |
|---|---|
| მ. ალავიძე | ბუბუტეიშვილი |
| რამიშვილი | ჩუენსუ |
| ხუხია | ბაქრაძე |
| კაჭკაჭიშვილი | რ. ონიანი |
| ქორიძე | ჯანგიძე |
| თოდაძე | ჩარგეიშვილი |
| ვ. თევდორაძე | სამსეიშვილი |
| ა. მუჯირი | მოსიაშვილი |
| ცნობილაძე | მაისაშვილი |
| ბაციკაძე | ტ. კუკულაძე |
| დიასამიძე | კვერენჩხილაძე |
| **მწვრთნელი** ი. ნასუაშვილი | **მწვრთნელი** გ. იმნაძე |

**ბათუმი**

46. ვ. თევდორაძე - **აბუსელიძე**
46. ბაციკაძე - **ცანავა**
72. დიასამიძე - **ზოიძე**

სათადარიგოები: მაკარიანი, გოგიტიძე, ნ. ნასუაშვილი

**გურია**

79. მაისაშვილი – **ზ. ჩხეტიანი**
87. ტ. კუკულაძე - **ლალაძე**
90. მოსიაშვილი – **ე. კილაძე**

*სათადარიგოები: გოგუაძე, რ. კუკულაძე, ალავერდაშვილი, შეწირული*

გაფრთხილება: **ხუხია (11), ონიანი (15), სამსეიშვილი (28), ბუბუტეიშვილი (60), ცანავა (61), მუჯირი (71), ჩუენსუ (83)**

გაძევება: **ხუხია (80)**

არბიტრი: **ო. ხეცაძე (თბილისი)**

გურულების სტუმრობა ხუმრობა მართლაც არავის უნდა ეგონოს: პლეიაუტში „გურია" ერთადერთი გუნდია, გასვლაზე ჯერ რომ არ წაუგია და შესაბამისად, ამ მხრივ საუკეთესო შედეგიც აქვს. სამაგიეროდ, საშინაო არენა ცუდად ბათუმელებმა დასცადეს და ორივე გურულ კლუბთან იმ სამეულს ქმნიან, საკუთარ კედლებში ერთხელაც რომ ვერ მოუგიათ.

მატჩის შედეგს რომ ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სატურნირო მდგომარეობიდანაც კარგად ჩანდა. ბოლო მატჩებში საშინაო წარუმატებლობების გამო, სიტუაცია ორივე გუნდს გაურთულდა და ბათუმურ მატჩს ეს დიდ ინტრიგას მატებდა. ამიტომაც, „ადელზე" სრული ანშლაგიც მოსალოდნელი იყო და ამაში წვლილი ლანჩხუთელებმაც შეიტანეს — ბათუმში „გურიის" 300-ზე მეტი ფანი ჩავიდა.

უშუალოდ შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში დაიწყო, თითქოს გურულები ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, თუმცა რეალურ მომენტამდე საქმე არ მიდიოდა. სამაგიეროდ, საწყის წუთებში ზედიზედ სამჯერ ხიფათი ბათუმელებმა შექმნეს, სამივეჯერ კარგად გაისარჯა „გურიას" მეკარე, თორემ მასპინძლები უთუოდ დაწინაურდებოდნენ. მეოთხედ უკვე გურულთა მეკარის შეცდომას მოჰყვა ხიფათი, მაგრამ „დინამომ" ამით ვერ იხეირა.

სამაგიეროდ, ერთ-ერთი პირველი რეალური მომენტი მასპინძლების კარის აღებით დასრულდა: გურულებს აშკარად ეტყობოდათ, ფრეზე თანახმა არ იყვნენ და მწვავედაც იჩხვლიტებოდნენ, გარკვეული უპირატესობაც მიიღეს და მას შემდეგ, რაც მარჯვენა ფლანგზე კარგად შეჭრილმა, **არნო ჩუენსუმ** მეკარის ბაქანში ჩააწოდა, მეკარეს **მაისაშვილმა** აჯობა.

მანამდე, ერთხელ **მიხეილ ალავიძემ** გადაარჩინა გუნდი, როცა საჯარიმოს მისადგომებიდან **თამაზ ჩარგეიშვილი** ურტყამდა, ხოლო გოლის შემდეგ 2-ჯერ სტუმრებმა კარგი შანსი ვერ გამოიყენეს, კონტრშეტევა საგოლე ხიფათამდე მიეყვანათ.

მართალია, მეორე ნახევარში გურულებმა დაცვის გაძლიერებაზე იწყეს ფიქრი და კონტრშეტევების იმედზე იყვნენ, მაგრამ სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ბათუმელები **ლევან ბუბუტეიშვილის** კარს რეალურად ვერ ემუქრებოდნენ — „გურიის" დაცვაც საიმედოდ ირჯებოდა და მასპინძლებსაც აშკარად არ გამოსდიოდათ ხეირიანი შეტევა.

ამით კარგად ისარგებლეს ლანჩხუთელებმა — მატჩის გმირი კი **გიგა კვერენჩხილაძე** გახდა ! პლეი-აუტის საუკეთესო ბომბარდირმა 4-წუთიან მონაკვეთში მატჩის ბედი გადაწყვიტა: ორივეჯერ თითქმის ერთნაირ სიტუაციაში ართმევაზე კარგად ითამაშეს ჯერ სამსეიშვილმა, შემდეგ კი **ტარიელ კუკულაძემ** და კვერენჩხილაძეს საგოლედ უპასეს, თუმცა გამორჩეული გიგას პირველი გოლი იყო — მცველებს შორის გაჭრილმა მეკარეს ბურთი თავზე მაღალოსტატურად გადაუგდო.

მისი მეორე გოლის შემდეგ ნერვებმა უმტყუნა მასპინძელ მცველს **ნიკა ხუხიას**, როცა არბიტრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა — ტალახში ამოყირავებულმა **ოთარ ხეცაძემ** მას მყისიერად წითელი აუფრიალა.

მატჩის მიწურულს **ამირან მუჯირმა** მართალია მხოლოდ პრესტიჟის, მაგრამ მატჩის მშვენება გოლი შეაგდო, როცა საჯარიმოს მისადგომებიდან ბუბუტეიშვილს „ცხრიანში" აუღებელი დაურტყა.

**მათე გურული**
ბათუმიდან



გიგა კვერენჩხილაძემ ბათუმთან დუბლით გამოიჩინა თავი

**პლეი აუტი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 7 | 4 | 10 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 4 | 2 | 10 |
| 3 | გურია | 5 | 2 | 2 | 1 | 10 | 9 | 8 |
| 4 | სპარტაკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 5 | 8 |
| 5 | გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 6 | სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7 | 7 | 5 |
| 7 | ბათუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 3 | 6 | 5 |
| 8 | მერანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1 | 6 | 1 |

**მომდევნო ტური**

**6 აპრილი, პარასკევი**

მერცხალი-გურია
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)
სპარტაკი-ჩიხურა
გაგრა-სიონი

## პლეი აუტი



ავტორის ფოტო

# ნანატრი ქულა

02.04. თბილისი. მერანი. 200 მაყურებელი

**გაგრა 0**

**მერცხალი 0**

| გაგრა 4-4-2 | მერცხალი 4-1-4-1 |
| --- | --- |
| ბეგაშვილი | გია გოგუა |
| ფალავანდიშვილი | ზ. ტულუში |
| ტყეშელაშვილი | ქოგულაძე |
| ნარმანია | ხაჩიძე |
| ჯგერენაია | ა.ლორია |
| ნ. ჯიშკარიანი | ზ. ვარდუაშვილი |
| ყურულაშვილი | ტაკიძე |
| ჭკუასელი | ტყეშელაშვილი |
| კობერიძე | ხურციძე |
| კვანტალიანი | ათუაშვილი |
| ჯერემია | ვაშაკიძე |
| მწვრთნელი: ზ. ჯელაძე | მწვრთნელი: ხაჩხატარაშვილი |

**გაგრა**

46. კობერიძე - **სარდალიშვილი**
67. ყურულაშვილი - **ზვიადაძე**
75. ფალავანდიშვილი – **ლ.სეთურიძე**

*სათადარიგოები: მაღრაძე, კალანდაძე, ერისთავი, კიკნაველიძე*

**მერცხალი**

8. ხაჩიძე - **ბაჯელიძე**
46. ვაშაკიძე - **თ.ვარდუაშვილი**
76. ათუაშვილი - **ლ.კალანდაძე**

*სათადარიგო: ს.ჩიგოგიძე*

**გაფრთხილება: კობერიძე (15), ვაშაკიძე (42), თ. ვარდუაშვილი (50)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

პლეი აუტის გათამაშებაში წარუმატებელი სერია შეწყვიტა ოზურგეთის „მერცხალმა" და პრაგმატული თამაშის წყალობით, მათზე გაცილებით ძლიერ მეტოქეს სტუმრად ქულა აართვა.

სტადიონზე მისულ მცირერიცხოვან გულშემატკივრებს იმედები გაუცრუვდა და ყოვლად უსახური ფეხბურთის მომსწრე გახდა. სხვა რა უნდა ეწოდოს იმ ფაქტს, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გუნდებს სახიფათო მომენტი არც შეუქმნიათ მოწინააღმდეგის კართან, თუ არ ჩავთვლით გაგრელთა ნახევარმომენტს, როდესაც **ნიკოლოზ ჯიშკარიანის** ჩაწოდებულს **შალვა კვანტალიანის** თავური მოჰყვა.

შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტაიმი შედარებით უკეთესი გამოდგა. მასპინძლები გამოცოცხლდნენ და 54-ე წუთზე შექმნეს რეალური საგოლე მომენტი: ნიკოლოზ ჯიშკარიანის შორეული დარტყმული მეკარემ უხეიროდ მოიგერია, თუმცა გამოცდილმა **გია გოგუამ** თავისივე შეცდომა იქვე გამოასწორა, როდესაც ახლადშემოსული **მიხეილ სარდალიშვილს** დამატებაზე ორჯერ აული ურთულესი ბურთი. აღსანიშნავია ასევე, **ჯონ ჯერემიას** შორეული დარტყმა, ხოლო მოგვიანებით კი მისივე შესრულებით გამჭოლი გადაცემა მეტოქის საჯარიმოში, რომელსაც გაგრელთაგან არავინ გამოეხმაურა.

თამაში დაბალ ტემპში გაგრძელდა. „გაგრას" აშკარად რაღაც აკლდა, ხოლო „მერცხალს" არსად ეჩქარებოდა და ელოდა თავის შანსს. 75-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე **ირაკლი ბაჯელიძის** აქტიურობას ხიფათი მოჰყვა, თუმცა ფაქტობრივად ცარიელ კარს **ირაკლი ტაკიძემ** ბურთი სასწაულებრივ ააცილა. აქვე ვთქვათ ისიც, რომ შესვენების შემდეგ სტუმრები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. „გაგრას" მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე ნამდვილად მოხვდა, თუმცა არბიტრმა **ხარიტონაშვილმა** განზრახ თამაში არ დააფიქსირა.

ბოლოსკენ მასპინძლები გააქტიურდნენ და მწვავე მიმენტებიც შექმნეს. **გიორგი ჯგერენაიას** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ ბურთს ვერ მისწვდა კვანტალიანი, იქვე მყოფი ჯერემია, ნახტომში შეეცადა გატანას, თუმცა დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა.

86-ე წუთზე მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელის ნიკოლოზ ჯიშკარიანის კუთხურის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთი ჯერემიას მიუვიდა, მაგრამ ძალზედ ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა.

საბოლოოდ ნულოვანი ფრე, რომლითაც კმაყოფილნი სტუმრები უფრო დარჩნენ.

**ბესიკ გვაზავა**

02.04. საჩხერე. ცენტრალური. 800 მაყურებელი

**ჩიხურა 2**

**ვიტ ჯორჯია 0**

1:0 ნ. კვასხვაძე (27), 2:0 დეკანოიძე (45)

| ჩიხურა | ვიტ ჯორჯია |
| --- | --- |
| რ. თევდორაძე | დაუშვილი |
| მურველაშვილი | დავლაშელიძე |
| გუმარაშვილი | კასრაძე |
| ლ. ჭელიძე | გოგიაშვილი |
| სალარიძე | ღანიაშვილი |
| ძამსაშვილი | გურამ გურეშიძე |
| ზაბახიძე | ვასაძე |
| ნ. კვასხვაძე | კორიფაძე |
| დეკანოიძე | გ. ჯანელიძე |
| კირკიტაძე | ზაქრაძე |
| ფიფია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: ს. ფრუიძე | მწვრთნელი: მ. კოჭლაშვილი |

**ჩიხურა**

81. დეკანოიძე — **მუმლაძე**
86. ფიფია — **ლილუაშვილი**
90. კვასხვაძე — **ბერიანიძე**

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ლ. ნოზაძე, ჩიკვაიძე, ბაკურაძე*

**ვიტ ჯორჯია**

46. გოგიაშვილი — **გ. ვაშაკიძე**
62. ზაქრაძე — **ლოგჯანიძე**

სათადარიგოები: სვანაძე, ნ. იაშვილი, ჯაყელი, ჯულელი, კუხალეიშვილი

არბიტრი: ხ. გაგნიძე

# დამაჯერებლივ, დამსახურებულივ

არ გამართლდა „ჩიხურას" გულშემატკივრებისაგან გუნდის გაფრთხილებისათვის გახშირებული, პერიფრაზიული ანდაზა: „ვიტ-ჯორჯიას" სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო".

სტუმრებმა პირველ ტაიმში ვერაფერი დაუპირისპირეს „ჩიხურას" შემართებას გუნდური „ყრუ" დაცვის გარდა. ამიტომაც თავი პირველად მხოლოდ 27-ე წუთზე მეტოქის კარში ულიმლამო დარტყმით დაგვამახსოვრა.

„ჩიხურა" კი პირიქით, გუნდურად უტევდა და განუწყვეტლად "ბომბავდა" მოწინაამლდეგის საჯარიმო მოედნის მისადგომებს, რომელთაგან ორი კარში „აფეთქდა".

37-ე წუთზე ფიფიას ზუსტი პასით უნაკლო გოლი გაიტანა **ნიკოლოზ კვასკვაძემ**, ხოლო პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე **ბესიკ დეკანოიძის** უძლიერეს დარტყმას ვერაფერი მოუხერხა მეკარემ. მეორე ტაიმი პირველის ანალოგი იყო, თუმცა მეტი გოლი არ გასულა.

„ვიტ-ჯორჯიამ" ძალზე იშვიათი, ქაოტური გაბრძოლებებით ტაიმის შუაგულში სამი დარტყმით „გამოაფხიზლა" მანამდე უქმად მყოფი „ჩიხურას" მეკარე, რომელთაგან ორი იოლად აილო, ერთი კი გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

უმადურობა იქნება არ აღინიშნოს მთელი გუნდის, განსაკუთრებით კი **დათო კირკიტაძის, გოგი ფიფიას** და ბესიკ დეკანოიძის მონდომება.

ობიექტური და დამაჯერებელი იყო მსაჯი **ხვიჩა გაგნიძეც.**

ამ გამარჯვებით „ჩიხურა" ლიდერსაც დაეწია და სამომავლო განწყობაც გაიძლიერა.

**მატჩის შემდეგ**

**მერაბ კოჭლაშვილი** („ვიტ-ჯორჯია"): დაძაბული და რთული თამაში გვქონდა. რატომღაც ჩემი გუნდი აირია. ეს ალბათ, მოწინაალმდეგის თავდადებამაც განაპირობა. ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ მომავალი წინაა და გამოვასწორებთ.

„ჩიხურა" კარგი გუნდია. ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას.

**სოსო ფრუიძე** („ჩიხურა") : გამარჯვება, რომ იტყვიან, ჰაერივით გვჭირდებოდა. დიდი მადლობა ბიჭებს, რომ ყველა დავალება ფრიადზე შეასრულეს. სწორი არ ვიქნები, ვინმე გამოვყო, მთელმა გუნდმა თავდადებით ითამაშა.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

# ათი კაცის გაკეთებული საქმე

02.04. ბოლნისი. თ. სტეფანია. 400 მაყურებელი

**სიონი 1**

**სპარტაკი 1**

0:1 მაისურაძე (61. შარაშენიძის პასით), 1:1 ბოლქვაძე (82. პენ.)

| სიონი 4-4-2 | სპარტაკი 4-3-3 |
| --- | --- |
| ბოგლიაშვილი | ნადირაძე |
| კოგაური | ჭაფოძე |
| სვანიძე | მაჭავარიანი |
| ქემოკლიძე | დ. ლომაია |
| ჩიკვილაძე | ორბელაძე |
| ლ. ჩხეტიანი | ჩივაძე |
| დ. ბოლქვაძე | ნ. მაისურაძე |
| ჯოჯუა | ჩაფიძე |
| ჭანკოტაძე | შარაშენიძე |
| რეხვიაშვილი | გაბაშვილი |
| მეტრეველი | მელქაძე |
| მწვრთნელი ხ. ძასრაშვილი | მწვრთნელი ვ. ხაჩიძე |

**სიონი**

56. რეხვიაშვილი – **ქუცურუა**
67. ჩხეტიანი – **კაციტაძე**
71. ჭანკოტაძე – **ხიდეშელი**

*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, გ. ოქროპირიძე, ავსაჯანიშვილი, ხურციძე*

**სპარტაკი**

89. გაბაშვილი – **სამხარაძე**
90. შარაშენიძე – **გიორგი გურეშიძე**

*სათადარიგოები: ძაგანია, ტეტუნაშვილი, მერეჩკო, თუხარელი, დ. გელაშვილი*

გაფრთხილება: მაისურაძე (46), ჭაფოძე (75), ჩივაძე (78), ორბელაძე (80), მელქაძე (85)

გაძევება: ჩაფიძე (52), ჯოჯუა (85)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ბოლნისში ასეთი საინტერესო მატჩის მომსწრე გახდებოდა, თუმცა ფაქტია, რომ შესვენების შემდეგ კარგი სანახაობა ვიხილეთ. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვება ორივე გუნდს სჭირდებოდა, თუმცა რაკი "სიონი" მეტოქეზე უარეს ვითარებაში იყო, სამი ქულისთვის ბრძოლა პირველ რიგში სწორედ მასპინძლებს მართებდათ.

პირველ ტაიმში ბოლნისელები მცირე უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედანი **ლაშა ჩაფიძეს** დაატოვებინეს და თითქოს ამით სტუმრები უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ "სიონმა" კაცნაკლულ "სპარტაკს" ვერ აჯობა.

ათკაციანი სტუმრები სულ მალე დაწინაურდნენ – **ნიკოლოზ მაისურაძე თეიმურაზ შარაშენიძის** გამჭოლ გადაცემას გამოეხმაურა. "სიონმა" მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა იმხელა უპირატესობა, რიცხობრივ უმრავლესობაში მოთამაშე გუნდს რომ შეეფერება.

მასპინძლებმა საწადელს შეცვლაზე შესული **ვალერიან კაციტაძის** ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტრიანით მიაღწიეს. სტუმრებმა არბიტრის ეს გადაწყვეტილება კი გააპროტესტეს, მაგრამ ამაოდ. პენალტის ნიშნულთან გამოცდილი **დავით ბოლქვაძე** მივიდა და თანაფარდობა აღადგინა.

მეორე ტაიმში საგოლე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მთლიანობაში კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეხვედრა კანონზომიერი შედეგით დასრულდა. 85-ე წუთზე არბიტრმა **ვლადიმერ ჯოჯუაც** გააძევა, დარჩენილ წუთებში ორივე გუნდმა სცადა გამარჯვება, მაგრამ მიზანს ველარავინ მიაღწია.

თუ უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა თექვსმეტამდე არ გაზარდეს, ელიტაში დასარჩენად "სიონსაც" და "სპარტაკსაც" დიდი ბრძოლა დასჭირდებათ, დღეისთვის კი ამ ორს შორის სამქულიანი უპირატესობა **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდის მხარესაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

U 19

# დღეს შეკრება იწყება

## კორღალიძემ უცნობი ქართველი ჩამოიყვანა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ელიტ რაუნდის შეხვედრებს 25-30 მაისს ხორვატიაში ჩაატარებს. გუნდის მთავარ მწვრთნელად მარტში დანიშნულმა **ოთარ კორღალიძემ** პირველი შეკრება 13-დან 24 მარტს ჩაატარა, თბილისში ვარჯიშის შემდეგ გუნდი კვიპროსში გაემგზავრა და ადგილობრივ 19-წლამდელებთან ორივე საკონტროლო შეხვედრა ფრედ დაასრულა.

19-წლამდელები მეორე შეკრებას დღეს იწყებენ: გუნდი სასტუმრო „ბომონდ გარდენში" შეიკრიბება და ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ივარჯიშებს. ოთარ კორღალიძის თქმით, კარგი ამინდების შემთხვევაში, მთავარ მოედანზე ივარჯიშებენ, უამინდობისას კი - ხელოვნურ საფარზე.

კორღალიძემ პირველ ეტაპზე ლეგიონერები არ გამოიძახა, ამჯერად ყველა მათგანი მიიწვია, მაგრამ მხოლოდ არნემის "ვიტესის" ნახევარმცველის, **ვაკო ყაზაიშვილის** ჩამოყვანას ახერხებს. კორღალიძემ ჩვენთვის უცნობი მცველი, დავით კოხია გამოიძახა, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" დუბლშემადგენლობაში თამაშობს.

თბილისური შეკრება 10 აპრილამდე გაგრძელდება, შემდეგ ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრება, სადაც პორტუს საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს. 12 აპრილს ქართველები საფრანგეთის ნაკრებს შეხვდებიან, 13 აპრილს - ირლანდიას, 14 აპრილს - სერბეთს, შინ კი 16 აპრილს გამთენიისას დაბრუნდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

**მეკარეები:** ლევან ტყეშელაშვილი ("დინამო"), დავით ლეგაშვილი (უგუნდო), რობერტ იმერლიშვილი ("მერანი").

**მცველები:** თორნიკე გრიგალაშვილი, თევდორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე (ყველა - „ზესტაფონი"), ლევან გეგეჭკორი ( "მერანი"), ნიკა სანდოხაძე, გიორგი გაგნიძე (ორივე - „დინამო"), კოტე ზარნაძე ("ბაია"), გიორგი ჯგერენაია ("გაგრა"), დავით კოხია ("ვოლგა", ნიჟნი ნივგოროდი, რუსეთი).

**ნახევარმცველები:** გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი, სანდრო რეხვიაშვილი, ბუბა რუხაძე (ყველა - „დინამო"), ნიკა ჭკუასელი, ნოდარ კიკნაველიძე (ორივე - „გაგრა"), ლაშა სილაქაძე ( "ტორპედო"), ვაკო ყაზაიშვილი ("ვიტესი", ჰოლანდია).

**თავდამსხმელები:** გიორგი ფანცულაია ("ტორპედო"), ავთო ენდელაძე („ბაია", ), გურამ სამუშია ("ზესტაფონი"), დავით გელაშვილი ("სპარტაკი").



ოთარ კორღალიძე

ინტერვიუ

# ფეხბურთის ფედერაციამ ახალი მოედნები დაიბევა

## ზვიად სიჭინავა: განაცხადის შეტანამდე, უეფას მოთხოვნებს გავეცნობით

„სოკარსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გენერალურ სპონსორობაზე პირველი კონტრაქტი 2011 წელს გაფორმდა. სწორედ ამის საფუძველზე დაიგო შარშან უმაღლესი ხარისხის საფარი ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ფეხბურთის ფედერაციამ მოედნების მოსავლელად აუცილებელი ძვირადღირებული ტექნიკა შეიძინა, “ბასაზე” ამოქმედდა ახალი სარწყავი სისტემა.

მხარეებმა თანამშრომლობის გაგრძელება გადაწყვიტეს და ახალი ხელშეკრულებაც გააფორმეს.

კონტრაქტის საფუძველზე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გააგრძელებს. საჭიროების შემთხვევაში თანხა მოხმარდება სხვა მიმართულებებსაც.

სფფ-ს პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა გველაპარაკება, კონკრეტულად რა პროექტები განხორციელდება, აგრეთვე საქართველო-აზერბაიჯანის ევრო 2020-ის მასპინძლობაზე და ა.შ.

**- ევრო 2020-ის მასპინძლობაზე ერთობლივი განაცხადი შეიტანეთ?**

- ჯერ ამ საკითხზე ვმუშაობთ და ველოდებით უეფას რეგლამენტს, კონკრეტულად რა მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. ასე რომ, ამ მიმართულებით არ გავჩერებულვართ. როდესაც უეფას კრიტერიუმებს გავეცნობით, მერე შეიქმნება საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც საჭირო სამუშაოებს ჩაატარებს.

**- “ჰურიეთის” ინფორმაცია, რომ მიშელ პლატინიმ თურქეთს ევროპის 2020 ჩემპიონატის ჩატარებაზე არაოფიციალური თანხმობა და თანადგომა განუცხადა, სტამბულის კონგრესზე თავად პლატინის გამოსვლით ლიად დადასტურდა.**

- პლატინი უეფას პრეზიდენტია და ყველაფრის უფლება აქვს.

**- მაგრამ მსგავსი პირდაპირი მინიშნება უეფას არც ერთ პრეზიდენტს არასოდეს გაუკეთებია. მგონი, ფავორიტი უკვე ცხადია.**

- იცით, პლატინის სიტყვები ბოლომდე არ იყო გადმოცემული. მან ისიც დაამატა, ჩემი ხმა არაფერს წყვეტს, მთავარი სიტყვა უეფას აღმასკომს ეკუთვნისო.

**- ესეც ცნობილია, მაგრამ როდესაც უეფას პრეზიდენტი ფავორიტს ლიად ასახელებს, ამით ყველა დანარჩენს მიანიშნებს, თურქეთს გზიდან ჩამოეცალეთო.**

- პლატინის სიტყვებს ნუ მიიღებთ ისე, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილია. ეს არის პლატინის პოზიცია, თუ თურქეთი ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას ვერ მოიპოვებს, მაშინ უეფა ევროპის ჩემპიონატის მიღებაში დაეხმარება. თურქეთი დიდი ქვეყანაა და რომელიმე სოლიდურ ტურნირს აუცილებლად უნდა უმასპინძლოს. თურქეთში 90 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, მარტო სტამბულში 900 სასტუმრო და ხუთი უმაღლესი კლასის სტადიონია. ასეთ ვითარებაში გარკვეული ქათინაურები ითქმება და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეფა თურქეთის კონკურენტებს პრობლემებს შეუქმნის. ჩვენ უეფას მოთხოვნებს უნდა გავეცნოთ და ამის შესაბამისად ვილაპარაკოთ, შევიტანთ თუ არა განაცხადს.

**- ისედაც ცხადია, რომ ევროპის ჩემპიონატს უმაღლესი ხარისხის ინფრასტრუქტურა სჭირდება. საქართველო ამისთვის ჯერ მზად არ არის, მაგრამ აზერბაიჯანულ კომპანიასთან თანამშრომლობის გახანგრძლივებაც ამით ხომ არ არის გამოწვეული?**

- ამ კომპანიამ უკვე ორი მოედანი დააგო, ახალი ხელშეკრულებითაც 2012 წელს საქართველოს აუცილებლად შეემატება კიდევ ორი უმაღლესი ხარისხის არენა. სავარაუდოდ, ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, ერთიც – დასავლეთში და ამას გარდა, იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო გააგრძელებს ანალოგიურ პროექტს და გორის, ქობულეთისა და ფოთის სტადიონების შემდეგ, საფარს სხვა ქალაქის სტადიონებზეც შევცვლით. 13-14 მაღალი ხარისხის მოედანი თუ გვექნება, ეს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი იქნება.

საერთოდ, ჩვენი ამოცანა თავიდანვე ინფრასტრუქტურის რადიკალური გაუმჯობესება იყო. დიდი ფეხბურთი ბავშვებიდან იწყება და თუ მათ არ ექნებათ შესაბამისი სავარჯიშო პირობები, მიღწე-



ზვიად სიჭინავა

ვებზე ლაპარაკი ზედმეტია. დღეს ამ კუთხით საკმაოდ დიდი პროგრესი შეინიშნება, არის უკეთესობის იმედიც, რაც ზემოხსენებული კომპანიისა და სახელმწიფოს დამსახურებაა. ამიტომ, რაც მეტი სპონსორი გვეყოლება, მით უკეთესი ჩვენი ფეხბურთისთვის.

**- აზერბაიჯანელები რა ოდენობის ინვესტიციას ახორციელებენ?**

- როდესაც პირველი ინვესტიცია ჩადეს, ლაპარაკი იყო არა კონკრეტულ თანხაზე, არამედ ორ მოედანზე. რა თანხაც საჭირო იქნებოდა, დაგვაფინანსებდნენ: 100 ათასი იქნებოდა საჭირო თუ 100 მილიონი, ამაზე არ გვილაპარაკია. ჩვენ საუკეთესო საფარი შევარჩიეთ და ეს ხარჯი კომპანიამ სრულად აანაზღაურა.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები



ალექსის სანჩესმა და კომპანიამ კრისტიან აბიატის მილანს სან სიროზე ვერაფერი დააკლეს (0:0)! რა იქნება ნოუ კამპზე?

# რეალური ინტრიგა მხოლოდ ნოუ კამპზე!

## ბარსა თუ მილანი? პასუხი დღეს, 22:45-დან!

**ბარსელონა–მილანი 22:45**

**პირველი მატჩი:** 0:0

„მილანის“ მთავარ მწვრთნელ **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდების რეალური არგუმენტებით შეგულიანება ძალიან გაუჭირდება, რადგან „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩი ბოლოს ზუსტად ორწლინახევრის წინ წააგო. ახლა, იმას აღარ იკითხავთ, ვისთან და როგორ სიტუაციაში დამარცხდა მაშინ კატალონიური სუპერგრანდი „ნოუ კამპზე“? ვისაც არ ახსოვს, გავახსენებთ, რომ ეს 2009 წლის ოქტომბერში, ჯგუფურ ეტაპზე მოხდა – „ბარსა“ შინ ყაზანის „რუბინთან“ 1:2 დამარცხდა...

„მილანმა“ პირველ მატჩში კარი მშრალად შეინახა და „სან სიროზე“ უგოლო ფრე დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიის ჩემპიონს დღეს ნებისმიერი შედეგიანი ფრეც აწყობს, მორიგი 0:0 კი თამაშს დამატებით დროში გადაიყვანდა. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ მილანელების უპირველესი მიზანი კვლავ საკუთარი კარის უსაფრთხოება იქნება და აქვე კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემიც: გახსოვთ, როდის ვერ შეძლო „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩში გოლის გატანა ბოლოს? ეს სამი წლის წინ მოხდა, ნახევარფინალში – „ბარსას“ „ნოუ კამპზე“ გოლი **ჟოზე მოურინიოს** „ჩელსიმ“ არ გაატანინა.

*„ნოუ კამპზეც“ ისე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც „სან სიროზე“ ვიბრძოლეთ და ასეთ შემთხვევაში, ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს. პირველ მატჩშიც კარგი მომენტები გვქონდა და მჯერა, შანსები ბარსელონაშიც მოგვეცემა. მთავარია, გამოვიყენოთ,“* - ოპტიმისტურადაა განწყობილი „როსონერის“ ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანი** და 13 სექტემბერს იხსენებს, როცა „მილანმა“ „ნოუ კამპზე“ 2:2-ს მიაღწია. ასეთი შედეგი „მილანს“ ნახევარფინალში გაიყვანდა...

### გაიტანს მესი ორმოცდამეათეს?

ერთი სიტყვით, „ბარსელონა“ საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული – თუკი შეიძლება, რომ „ბარსაზე“ ასეთი რამ ითქვას, რადგან კატალონიური გრანდი ვალდებულია, მოიგოს, რათა ზედიზედ მეხუთედ გავიდეს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. თანაც, რაკი „ბარსა“ პრიმერადივიზიონში „რეალს“ 6 ქულით ჩამორჩება, ჩემპიონთა ლიგა კატალონიელთათვის ფაქტობრივად უკანასკნელი შანსია იმისა, რომ ფანები გაახარონ. მართალია, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი ესპანეთის თასის ფინალშია, სადაც „ბილბაოს“ ხვდება, მაგრამ ფანებს ამ ტიტულით სრულფასოვნად აშკარად ვერ დააკმაყოფილებს.

*„ფაქტია, რომ ურთულესი მატჩი გველის,* - ამბობს **პედრო როდრიგესი**, - *„მილანს“ ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და თუ ნახევარფინალში თამაში გვინდა, მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.“*

ცხადია, ბარსელონელთა უმთავრესი იმედი ისევ და ისევ **ლიონელ მესია**, რომელმაც „სან სიროზე“ „მილანის“ უკანახაზელებს ვერაფერი მოუხერხა, ახლა კი იმედოვნებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში თავის 50-ე გოლს (65-ე მატჩში) გაიტანს.

### იბრაჰიმოვიჩი ალესილია

„მილანიდან“ კი ყურადღების ცენტრში **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, რომელსაც მიმდინარე სეზონის 35 ოფიციალურ მატჩში 29 გოლი აქვს გატანილი. თანაც, 30 წლის შვედი დღეს პირველად ითამაშებს „ნოუ კამპზე“ მას მერე, რაც „ბარსა“ დატოვა და „მილანს“ მიაშურა. მაშინ, 2009/2010 წლების სეზონში იბრას გვარდიოლასთან კონფლიქტი მოუვიდა და ისე გამოვიდა, რომ „ბარსელონადან“ დაიფრინეს. შესაბამისად, ზლატანს შურისძიების და კატალონიელთათვის თავისი შესაძლებლობების დამტკიცების სურვილი ჰკლავს.

*„მოემზადეთ ეპოქალური მატჩისთვის!“* - ასე მიმართა გუშინ იბრაჰიმოვიჩმა თავის ფანებს სოციალურ ქსელ „თვითერზე“...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი – დანი ალვეში, პიკე, მასკერანო პუიოლი – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – სანჩესი, მესი, ფაბრეგასი.

**მილანი (4-1-2-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, მექსე, ანტონინი – ამბროზინი – ნოჩერინო, ზეედორფი – კ. პ. ბოატენგი – რობინიო, იბრაჰიმოვიჩი.

**არბიტრი:** ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

» მე-6 გვერდზე

ლეგიონერი

# კალაძეს მალეზანი დაუბრუნდა



ალბერტო მალეზანი

"ჯენოაში" მიმდინარე პროცესები ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, რადგან ამ გუნდში **კახა კალაძე** ასპარეზობს. საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს გუშინ მწვრთნელი გამოუცვალეს და ამიერიდან, მას **ალბერტო მალეზანის** თავკაცობით მოუწევს ასპარეზობა, რომელმაც **პასკუალე მარინო** ჩაანაცვლა. ამ უკანასკნელის მწვრთნელობისას, გენუელებმა 14 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 13 ქულა აიღეს, 22 გოლი გაიტანეს და 34 გაუშვეს. მოკლედ, მარინოს არც თუ სახარბიელო შედეგები ჰქონდა და როგორც მოსალოდნელი იყო, გაათავისუფლეს.

საგულისხმოა, რომ პასკუალე მარინომ "ჯენოას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სწორედ ალბერტო მალეზანი შეცვალა – ეს ამბავი კი გასული წლის დეკემბერში, გენუელთა "ნაპოლისთან" განადგურების შემდეგ მოხდა.

**ლაშა წიკლაური**



## უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა



დიდიე დეშამის მარსელი უშანსოდაა

# რეალური ინტრიგა მხოლოდ ნოუ კამპზე!

« მე-5 გვერდიდან

**ბაიერნი–მარსელი**

**პირველი მატჩი: 2:0**

ლოგიკურად, მხოლოდ „მარსელის" გამოუსწორებელ ოპტიმისტ ფანებს უნდა სჯეროდეთ იმის, რომ კრიზისში მყოფ „ოლიმპიკს" მიუნხენში სასურველი, სამბურთიანი სხვაობით მოგება შეუძლია და ალბათ ასეცაა, მაგრამ ხომ იცით, როგორები არიან გერმანელები – ბევრს ეცადნენ თუ ცოტას, ჟურნალისტებმა ვერც ერთ ბაიერნელს ვერ დააცდენინეს პირდაპირ ის, რაც ყველასათვის ცხადია: მიუნხენური გრანდი ნახევარფინალშია, სადაც „რეალს" შეხვდება (მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი მადრიდელებისთვისაც ფორმალობაა).

მეოთხედფინალიდან ჯერ არასდროს გავარდნილა ის გუნდი, რომელსაც პირველი მატჩი სტუმრად 2:0 ჰქონდა მოგებული და ცხადია, ასეთი კრახი არც რეკორდმაისტერს უნდა დაემართოს – მით უმეტეს ისეთ გუნდთან, როგორიც წელს „მარსელია". შესაბამისად, „ბაიერნის" თავკაცი **იუპ ჰაინკესი** ძირითად შემადგენლობაში გარკვეულ როტაციას არ გამორიცხავს, თუმცა საერთო ჯამში მოედანზე იმ ფეხბურთელებს შეუშვებს, რომლებსაც ფეხი არაფრის დიდებით არ დაუცდებათ, რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ნამდვილად ვერ ითამაშებს **ბასტიან შვაინშტაიგერი**, რომელმაც „ველოდრომზე" მესამე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია.

### მარსელი გადახალისებული შემადგენლობით?

„მარსელს" დისკვალიფიკაციამოხდილი მეკარე **სტივ მანდანდა** უბრუნდება და **დიდიე დეშამის** გუნდში სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი, რადგან „ოლიმპიკს" საფრანგეთის ჩემპიონატის მომდევნო ტურში პსჟ-სთან უმნიშვნელოვანესი, პრესტიჟული დუელი აქვს და ფაქტია, რომ „მარსელისთვის" ის შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დღევანდელი, უიმედო მატჩი.

მართალია, **ალუ დიარამ** თქვა, „ბაიერნის" გაგდება შეუსრულებელი მისია არ არისო, მაგრამ მისთვის ასეთი განცხადების გაკეთება ძალიან ადვილია, რადგან დისკვალიფიცირებულია და თავად არ მოუწევს იმის მტკიცება, რომ მიუნხენში მოგება, თანაც მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით, „მარსელისთვის" ფანტასტიკის სფერო არ არის...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1)**: ნოიერი – ლამი, ჟ. ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა – ლუის გუსტავო, კროოსი – რობენი, თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**მარსელი (4-2-3-1)**: მანდანდა – ასპილიკუეტა, ფანი, ნკულუ, მორელი – კაბორე, მბია – ამალფიტანო, ვალბუენა, ა. აიუ – რემი.

**არბიტრი**: სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

**გოტფრიდ ლენცი**

დიდი მატჩის გამოძახილი

# იუვე მილანის კუდში

## რა დროს ჩემპიონთა ლიგაა, მხოლოდ სკუდეტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A-ს XXX ტურში, "იუვენტუსმა" "ნაპოლის" სამი უპასუხო გოლი გაუტანა და მორიგი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ამ მოგებით, ტურინელებმა ლიდერთან სხვაობის შემცირება შეძლეს და სასკუდეტო ორთაბრძოლა მაქსიმალურად დაძაბეს. ეს "მილანის" წაფორხილებამ განაპირობა, რომელსაც სიცილიაში, "კატანიასთან" პაექრობაში დაუცდა ფეხი. თუ აქამდე "როსონერი" უდავო ფავორიტად მიიჩნეოდა, დღეს უკვე ბევრი "იუვენტუსს" ანიჭებს უპირატესობას და ეს პირველ რიგში "ნაპოლისთან" ნაჩვენები ფანტასტიკური თამაშის დამსახურებაა... **ანტონიო კონტეს** შეგირდებმა განსაკუთრებით მეორე ნახევარში გაილაღეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სეზონის საუკეთესო ტაიმი ჩაატარეს. მოკლედ, "იუვემ" გაიბრწყინა და ამ ერთი გამარჯვებით ლამის სკუდეტოს მოპოვების მთავარ პრეტენდენტად იქცა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო ცხრილში ჯერ კიდევ ჩამორჩება "მილანს".

"იუვეს" შესანიშნავი გამარჯვება იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე აქტუალური თემაა და კომენტარიც უხვად კეთდება. ჯერ ტურინული გრანდის მთავარ მწვრთნელს, ანტონიო კონტეს გადავცეთ სიტყვა: *"ბოლო ორ შეხვედრაში "ინტერი" და "ნაპოლი" მშრალი ანგარიშით, დამაჯერებლად დავამარცხეთ, რაც ძალიან მახარებს. არადა, გასულ სეზონში, ეს ორივე გუნდი "იუვენტუსზე" ერთი თავით მაღლა იდგა. ვამაყობ ჩემი შეგირდებით და იმ პროგრესით, რომელიც მიმდინარე სეზონში განვიცადეთ. "მილანის" წაფორხილების ფონზე, ამ გამარჯვებას ოქროს ფასი ჰქონდა და ბედნიერი ვარ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიეთ. სიმართლე გითხრათ, მეტოქის სიძლიერიდან გამომდინარე, ცოტა მეშინოდა კიდეც ამ თამაშის, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. პირველ რიგში, ეს ფეხბურთელების დამსახურებაა, რომლებმაც ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს. ასევე გულშემატკივრების,*



ტურინული გრანდის ფიესტა

*რომლებიც მთელი 90 წუთი გაუჩერებლად გვგულშემატკივრობდნენ. მთავარია, ასევე გავაგრძელოთ და დიდია შანსი, სკუდეტო ჩვენ დაგვრჩეს".*

ცოტა მოულოდნელი, უფრო სწორად კი, არაადეკვატური კომენტარი გააკეთა "იუვეს" მცველმა **ჯორჯო კიელინიმ**: *"ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ მეტოქე და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. პირველ ტაიმში, მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო, აი მეორეში კი სრულ უპირატესობას დავეუფლეთ, სამი გოლი შევაგდეთ და მეტის გატანაც შეგვეძლო. მართლაც უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე ადგილს აღარ დავთმობთ - ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე ვიასპარეზებთ. სეზონის წინ, მოვლენათა ასეთი განვითარების ბევრს ნამდვილად არ სჯეროდა".*

მოკლედ, კიელინიმ ცოტა გაგვაკვირვა – რა დროს ჩემპიონთა ლიგის საგზურია, როდესაც "იუვე" სკუდეტოსთვის იბრძვის და ლიდერს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება... სწორედ სკუდეტოს უმიზნებს **ალესანდრო დელ პიერო**, რომელიც "ნაპოლისთან" მეორე ნახევარში გამოჩნდა მინდორზე და ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა; სწორედ ალემ მისცა საგოლე პასი **ფაბიო კვალიარელას**, შემდეგ კი თავადაც შეძლო გატანა, თანაც არაერთხელ. მოკლედ, დელ პიერო ფორმაშია და ამბიციურ კომენტარებს აკეთებს:

*"თუ ასევე გავაგრძელებთ, სკუდეტოს ნამდვილად ვერავინ შეგვეცილება. "მილანი" ალბათ კიდევ დაკარგავს ქულებს, ჩვენ კი მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. "ნაპოლი" ევროპული მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მისი ასეთი ანგარიშით დამარცხება ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგისთვისაც მზად ვართ. მოკლედ, "იუვე" ძველ დიდებას იბრუნებს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

იტალიელმა ჟურნალისტებმა დელ პიეროს კომენტარს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, რადგან ალემ ჩემპიონთა ლიგისთვის მზაობაზე გააკეთა კომენტარი; ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დელ პიეროს ტურინულ გრანდში კიდევ მინიმუმ ერთი სეზონით დარჩენა გადაწყვეტილია? – ამაზე დღეს გადაჭრით საუბარი შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერი რომ სწორედ აქეთკენ მიდის, ეს ფაქტია.

**ლაშა ნიკლაური**

პრობლემა

# გალიანიმ 5 მსაჯი მოითხოვა

"კატანია"-"მილანის" დასრულებამდე დაახლოებით 20 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც **რობინიო** სიცილიელთა კიპერთან პირისპირ დარჩა, მოატყუა მეკარე და ბურთი კარში გადაგზავნა, რასაც მცველის თავგამოდებული თამაში მოჰყვა... "კატანის" უკანახაზელმა გადაარჩინა საკუთარი გუნდი გაშვებულ გოლს, თუმცა როგორც განმეორებაზე გამოჩნდა, ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი და მსაჯს გოლი უნდა ჩაეთვალა. ეს იყო მეორე შემთხვევა მიმდინარე სეზონში, როდესაც არბიტრებმა ლომბარდიულ გრანდს წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. ამ ამბავმა "როსონერის" მესვეურთა აღშფოთება გამოიწვია და მათ გარკვეულ ზომებსაც მიმართეს – მაგალითად, **ადრიანო გალიანიმ** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ჯანკარლო აბეტეს** სახელზე საგანგებო წერილი გაგზავნა, რომელზეც თავად მოგითხრობთ – დროა, სიტყვა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს გადავცეთ:

*"ის, რაც ბოლო პერიოდში ჩვენს თავს ხდება, რთული ასახსნელია. ფაქტია, რომ მსაჯების შეცდომების გამო ოთხი ქულა დავკარგეთ და მინდა დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით, უნებლიე შეცდომების გამო მოხდა. ამიტომ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში წერილი გავგზავნე, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სერია A-ს მატჩებზე არა სამი, არამედ ხუთი არბიტრი მუშაობდეს. ეს პრაქტიკა ჩემპიონთა ლიგაში უკვე დანერგილია და საკმაოდ კარგად მუშაობს. ერთ ლაინსმენს რომ კარის ხაზზე ემუშავა, ეს ორივე გოლი ჩაითვლებოდა და დღეს ოთხი ქულით მეტი გვექნებოდა. იმედი მაქვს, ფედერკალჩო ჩემს ინიციატივას აიტაცებს და მომდევნო სეზონიდან ჩემპიონატის მატჩებს ხუთი მსაჯი მოემსახურება".*




არჩათვლილ გოლებს თვით "მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** გამოეხმაურა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ დაუბრუნდა ოფიციალურად აღნიშნულ პოსტს – მოვუსმინოთ "როსონერის" ძველ-ახალ პრეზიდენტს: *"პრობლემა ნათელია და ადრიანო გალიანის ინიციატივას სრულიად ვეთანხმები. ფაქტია, რომ არბიტრთა შეცდომების გამო ქულები დავკარგეთ და ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. სკუდეტოსთვის მთელი წელი ვიბრძვით, გუნდს 38 თამაშის ჩატარება უწევს და არ შეიძლება, რომ ამხელა შრომა შეცდომების გამო წყალში ჩაიყაროს. ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მომხრე არ ვარ, მაგრამ მსაჯების რაოდენობის გაზრდამ შეიძლება ძალიან დადებითი შედეგი მოგვიტანოს".*

**ლაშა ნიკლაური**

კაპიტანი

# ძანეტი: სტრამაჩონის კარგად გავუგეთ



ხავიერ ძანეტი და ანდრეა სტრამაჩონი "ჯენოას" კარში გატანილი ერთ-ერთი გოლის შემდეგ

"ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ანდრეა სტრამაჩონის** დებიუტი წარმატებული გამოდგა, "ინტერმა" 5:4 დაამარცხა "ჯენოა" და როგორც იქნა, სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. თუმცა, ანგარიში ახალი მწვრთნელისთვის უფრო დამაფიქრებელი უნდა იყოს, ვიდრე გასახარი, რადგან საკუთარ მოედანზე ოთხი გოლის გაშვება უამრავი პრობლემის აშკარა დადასტურებაა. მით უმეტეს, ეს საფეხბურთო ტრილერი მილანელებმა "ჯენოასთან" დადგეს, გუნდთან, რომელიც მიმდინარე სეზონში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და აგერ უკვე ცხრა თამაშია, მოგების გემო არ იცის. შეიძლება თუ არა "ჯენოასთან" 5:4-ზე გამარჯვება "ინტერისთვის" წარმატებად ჩაითვალოს? - ამაზე მილანური გრანდის კაპიტანი **ხავიერ ძანეტი** საუბრობს:

*"შეიძლება, რადგან გავიმარჯვეთ და სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში, ეს კი ყველაზე მთავარია. რა თქმა უნდა, პრობლემები ნათლად გამოჩნდა, მაგრამ ამის გამო თვითგვემას არ უნდა მივეცეთ. მუშაობა გვმართებს და დროთა განმავლობაში, ყველაფერი გამოსწორდება. მით უმეტეს, ანდრეა სტრამაჩონიმ ყველას გადმოგვდო თავისი ენთუზიაზმი და მოტივაციით ვართ აღსავსე. ახალ მწვრთნელს კარგად გავუგეთ, შესანიშნავი ადამიანია და ძალიან პერსპექტიული სპეციალისტი. ვფიქრობ, რომ მასთან ერთად ბევრ დიდ გამარჯვებას მოვიპოვებთ".*

**ლაშა ნიკლაური**

მოსაზრება

# ბენიტესი: ის მილანი, ამ ბარსას სჯობდა

დღეს, ძალიან ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ "ბარსელონა" ყველა დროის ყველაზე ძლიერი გუნდია. ბუნებრივია, ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, რადგან კატალონიური გრანდი ფანტასტიკურ, საოცარ, გენიალურ ფეხბურთს თამაშობს და ამასთან, პრაქტიკულად ყველა ტურნირს იგებს, რომელშიც მონაწილეობს. მოკლედ, "ბარსა" შესაძლოა მართლაც არის ყველა დროის საუკეთესო გუნდი და ამ მოსაზრებას ძალიან ბევრი საფეხბურთო ექსპერტი იზიარებს... ამ საკითხზე ჟურნალისტები ცნობილ ესპანელ სპეციალისტს **რაფაელ ბენიტესს** გაესაუბრნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს:

*"პეპ გვარდიოლას "ბარსელონა" დღეს ორი თავით აღემატება ყველას, მაგრამ არის თუ არა ყველა დროის საუკეთესო გუნდი, ეს საკამათოა. პირადად მე, 90-იანი წლების "მილანი" არ მავიწყდება, რომელიც იმ პერიოდში შეუჩერებელი იყო. იმ გუნდს არიგო საკი ედგა სათავეში, მინდორზე კი ჰოლანდიური ტრიო ბრწყინავდა მარკო ვან ბასტენის, რუუდ გულიტის და ფრანკ რაიკაარდის შემადგენლობით. ჩემი პირადი აზრით, ის "მილანი" არაფრით ჩამოუვარდებოდა ამ "ბარსას" და შესაძლოა, სჯობდა კიდეც. საკიმ მაშინ დიდი საფეხბურთო მანქანა შექმნა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით დაუმარცხებელი გახლდათ".*

**ლაშა ნიკლაური**



"მილანის" ლეგენდარული ტრიო: რუუდ გულიტი, მარკო ვან ბასტენი, ფრან რაიკაარდი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის გამოხმაურება

# არის ინტრიგა, ველოდებით 11 აპრილს

28-ე ტურის სიმბოლური ნაკრები („კიკერი")

| ფეხბურთელი | კლუბი | ს.მ.რ |
|---|---|---|
| 1. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 2 |
| 2. მენსურ მუიზა | ფრაიბურგი | 1 |
| 3. ჟიბრილ სანკო | აუგსბურგი | 2 |
| 4. ილქაი გიუნდოგანი | ბორუსია (დ) | 3 |
| 5. გეორგ ნიდერმაიერი | შტუტგარტი | 2 |
| 6. აშკან დეჟაგა | ვოლფსბურგი | 1 |
| 7. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 9 |
| 8. იულიან შიბერი | შტუტგარტი | 1 |
| 9. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 5 |
| 10. პატრიკ ჰელმესი | ვოლფსბურგი | 2 |
| 11. მაქსიმ ჩუპო-მოტინგი | მაინცი | 2 |

*შენიშვნა: ს. მ. რ. - სიმბოლურში მოხვედრების რაოდენობა*

**ტურის გმირი**

## პატრიკ ჰუმელსი (ვოლფსბურგი, I)

მითი იმის შესახებ, რომ „ვოლფსბურგი" გასვლით მატჩებში არაფრად ვარგა, ამ უქმეებზე დაიმსხვრა – **ფელიქს მაგათის** შეგირდებმა ბერლინში „ჰერტას" 4:1 მოუგეს. შეიძლებოდა ასეც გვეთქვა: წელს „კიოლნი", „ნიურნბერგი" და „ჰერტა" იმდენად არასტაბილური გუნდები არიან, რომ მათ მოედანზე თვით „ვოლფსბურგიც" კი იოლად იგებს. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ „ვოლფსბურგმა" ამ სეზონში მესამე გასვლითი მატჩი მოიგო (მანამდე კიოლნში 3:0 ჰქონდა მოგებული, ხოლო ნიურნბერგში კი 3:1). საინტერესო ის არის, რომ **პატრიკ ჰელმესმა** სტუმრად სამივე მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

მატჩის შემდეგ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაგათს ჰკითხეს, მაინც რამდენი გოლი უნდა გაიტანოს ჰელმესმა იმისათვის, რომ გუნდში დატოვოთო. ფელიქსმა უგულო პასუხი გასცა – პატრიკს ჩვენთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებსო. შესაბამისად, 12 მატჩში 8 გოლის გამტან ჰელმესს ვოლფსბურგში დარჩენა არ უნდა და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში სხვაგან გადავა.

საუკეთესო ფეხბურთელები

25 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ |
|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.60 |
| 2. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.62 |
| 3. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 2.65 |
| 4. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.67 |
| 5. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.71 |
| 6. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.77 |
| 7. სებასტიან კელი | ბორუსია (დ) | 2.81 |
| 8. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 2.82 |
| 9. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.82 |
| 10. რონ-რობერტ ცილერი | ჰანოვერი | 2.82 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 26 | 23 | 10 | 33 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 27 | 11 | 16 | 27 |
| 3. მარიო გომესი | ბაიერნი | 27 | 23 | 3 | 26 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 28 | 17 | 8 | 25 |
| 5. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 23 | 16 | 8 | 24 |
| 6. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 23 | 17 | 6 | 23 |
| 7. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 26 | 15 | 8 | 23 |
| 8. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 28 | 14 | 7 | 21 |
| 9. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 25 | 12 | 9 | 21 |
| 10. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 26 | 11 | 7 | 18 |

**დორტმუნდის „ბორუსიამ" „შტუტგარტთან" 4:4-ით მიუნხენის „ბაიერნს" მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა. „დანქე!" - თქვეს მიუნხენელებმა და ლიდერს სათოფეზე მიუახლოვდნენ. BVB რეკორდმაისტერს უკვე მხოლოდ სამი ქულით უწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნის" ბედი ახლა „ბაიერნის" ხელშია. საკმარისია, რეკორდმაისტერმა ყველა დარჩენილი მატჩი მოიგოს (მათ შორის, 11 აპრილს დორტმუნდში), რომ ბავარიული გრანდი ჩემპიონი გახდება – დღევანდელი გადასახედიდან ასეა, რადგან „ბაიერნს" „ბორუსიაზე" უკეთესი ბურთების შეფარდება აქვს და დორტმუნდში მოგების შემთხვევაში გალიდერდება. 28-ე ტურმა გადარჩენისთვის გაჩაღებულ ბრძოლაშიც სერიოზული კორექტივები შეიტანა: ვნახეთ მსაჯის შეცდომები, ისტორიული დუბლი და ბუნდესლიგის დებიუტანტი, რომელსაც არაფრის დიდებით არ სურს მეორე ბუნდესლიგაში დაბრუნება და რაც მთავარია, გადარჩენის სურვილი თამაშზეც ეტყობა.**

### ფინალი 11 აპრილს

მიუნხენში მიხვდნენ, რომ გოლების ფესტივალი კარგი სანახაობაა, მაგრამ დიდ ძალისხმევასაც მოითხოვს ძალების მაქსიმალური ხარჯვა კი ამ ეტაპზე უკვე ზედმეტად სარისკოა, რადგან „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობს. ამრიგად, მიუნხენელებმა ისევ ეკონომიურობაზე გააკეთეს აქცენტი, თუმცა რამდენადაც დაიხარჯნენ, ეს „ნიურნბერგთან" ბავარიულ დერბიში სამი ქულის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელებმა მხოლოდ 1:0 მოიგეს (**რობენის** გოლით), „ბაიერნში" ყველა კმაყოფილი იყო. თუმცა ამ კმაყოფილების მთავარი მიზეზი არა თავად ბავარიული გრანდი ან რობენი, არამედ პირველ რიგში „შტუტგარტი" და შვაბურ კლუბთან ერთად, „დორტმუნდიც" გახლდათ – რაც უნდა იყოს, მაინც უნდა ვთქვათ, რომ „ბორუსიამ" გაუგონარ სიტუაციაში დაკარგა ქულები.

კარგია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაიძაბა. 11 აპრილს დაგეგმილ მატჩს „დორტმუნდსა" და „ბაიერნს" შორის ისედაც გერმანიის ჩემპიონატის ფინალის სტატუსი ჰქონდა ახლა კი ინტრიგა კიდევ უფრო მოემატა.

### აუგსბურგი რჩება?

„აუგსბურგი" არსებობის ისტორიაში პირველად თამაშობს გერმანიის ელიტაში და აბსოლუტურად ლოგიკური იყო სეზონის წინ გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების უპირველესი კანდიდატი იქნებოდა. „აუგსბურგმა" სეზონი ფატალურად დაიწყო (8 ტური ისე მიილია, მოგება არ ჰქონდა) და შესაბამისად, ლეგიტიმური გახლდათ მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ აუგსბურგელებს ბერლინის „ტასმანიას" „ლეგენდარული" ანტირეკორდის „დამხობის" რეალური შანსი ჰქონდათ. თუმცა **იოს ლუჰუკაის** გუნდმა შეძლო და გარდატეხა არა მარტო თამაშში, არამედ შედეგებშიც შეიტანა. ამ უქმეებზეც, აუგსბურგელებმა უშუალო კონკურენტ „კიოლნთან" ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ოდნავადაც არ ჰგავდნენ ისეთ გუნდს, რომელიც აუცილებლად მეორე ბუნდესლიგაში უნდა დაქვეითდეს.

*„ჩვენ უკვე ვარსკვლავებს ვეთამაშებით,"* - ნახევრად ხუმრობით თქვა „კიოლნთან" მოგებული მატჩის შემდეგ „აუგსბურგის" მენეჯერმა **ანდრეას რეტიგმა**. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რაც ხსენებულ მატჩში ასევე ნათლად გამოჩნდა – კიოლნელებს თითქოს არ ჰქონდათ ბრძოლის სურვილი. მიუხედავად ამისა, „თხების" ბოსებმა მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** პოსტზე დატოვეს. ვითომ, დიდი ხნით?

### ჰანოვერი ევროპისკენ, გლადბახს არაფერი უჭირს

„ჰანოვერის" სპორტულმა დირექტორმა **იორგ შმადტკემ** თავისი გუნდისა და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მატჩის პირველი ტაიმი იდეალურად გაანალიზა – მართალია, ტაქტიკურად ძალიან საინტერესო თამაში მიდის, მაგრამ ფაქტია, რომ მაყურებლებმა მაგრად მოიწყინესო. პირველ 45 წუთში მოედანზე თვალსასეირო არაფერი მომხდარა – როცა შეტევაში წასვლა არც ერთ გუნდს არ სურს, რა გასაკვირია, რომ ტაიმი 0:0 მთავრდება.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო და „AWD-არენაზე" შეკრებილი ქომაგები უკვე თვლემდნენ, როცა „წითლების" ფორვარდმა **დიდიე ია კონანმა** ანგარიში გახსნა და თამაში გამოაცოცხლა. გუნდებმა შეუტიეს, თითო გოლი გაცვალეს და „ჰანოვერმა" ბუნდესლიგაში მოღვაწეობის ისტორიაში 250-ე გამარჯვება იზეიმა, რითაც მეხუთე ადგილამდე აღზევდა. ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლა უკიდურესად დაძაბულია, მაგრამ დღესდღეობით ამ საგზურის მოპოვების საუკეთესო შანსი სწორედ **მირკო სლომკას** შეგირდებს აქვთ. შეგახსენებთ, რომ „ჰანოვერი" ახლაც ევროპალიგის მეოთხედფინალშია.

რაც შეეხება „გლადბახს": მართალია, **ლუსიენ ფავრის** გუნდმა ბოლო დროს მაგრად აურია, მაგრამ მიონხენგლადბახელებს სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან მეოთხე ადგილზე ძველებურად კომფორტულად არიან მოკალათებულები და ახალ მეხუთეადგილოსან „ჰანოვერს" 11 ქულით უსწრებენ.

### პენალტი აქეთ, პენალტი იქით

ერთ მატჩში ორი პენალტი იშვიათობა არ არის. სამაგიეროდ, იშვიათია, როცა ორივე პენალტი უსამართლოდ ინიშნება. კვირას, „ჰოფენჰაიმისა" და „შალკეს" მატჩში არბიტრმა **მარკუს შმიდტმა** ორი არდასანიშნი თერთმეტმეტრიანი დანიშნა – ჯერ გელზენკირხენელთა მეკარე **ლარს უნერშტალზე** დააფიქსირა თამაშის წესების დარღვევა, არადა, „შალკეს" მეკარეს **სვენ შიპლოკთან** ორთაბრძოლისას ცუდი არაფერი ჩაუდენია, მერე კი, „ჰოფენჰაიმის" მცველი **ანდრეას ბეკიც** დააჯარიმა, არადა, **ჩინედუ ობასი ოგბუკე** „სოფლელთა" საჯარიმოში ფაქტობრივად თავისით დაეცა.

კარგი მხოლოდ ის არის, რომ მსაჯის მცდარი გადაწყვეტილებებით საბოლოო ჯამში არც ერთი გუნდი არ დაზარალდა - **ჰუნტელაარმაც** და **სალიჰოვიჩმაც** პენალტები უპრობლემოდ გაიტანეს და ბოლოს „შალკესაც" და „ჰოფენჰაიმსაც" თითო-თითო ქულა დარჩათ. სამართლიანი გახლდათ ჰოფენჰაიმელთა თავკაცი **მარკუს ბაბელიც**, რომელმაც თქვა, ორივე კარში სასაცილო პენალტები დაინიშნა და კიდევ კარგი, რომ „ბარი-ბარში ვართო".

### ტურის გამარჯვებული: იულიან შიბერი

„დორტმუნდისა" და „შტუტგარტის" დუელი 4:4 დამთავრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მატჩს ნომინალური გამარჯვებული არ ჰყოლია. მაგრამ თუ მაინც მოგებულის პოვნა გვინდა, ეს სტატუსი შვაბენლანდური კლუბის თავდამსხმელ **იულიან შიბერს** უნდა მივანიჭოთ. თუკი „ამ პატიოსან კაცს" ტურის წინ მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი, საფინალო სასტვენის შემდეგ მისი გოლების რაოდენობა მთელი 200 პროცენტით გაიზარდა. ამიტომაც თქვა შიბერმა თამამად, მართალია, მატჩი ფრედ დასრულდა, მაგრამ მე თავს გამარჯვებულად მივიჩნევო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 28 | 19 | 6 | 3 | 63-21 | 63 |
| 2. ბაიერნი | 28 | 19 | 3 | 6 | 67-18 | 60 |
| 3. შალკე | 28 | 17 | 3 | 8 | 61-35 | 54 |
| 4. ბორუსია (მ) | 28 | 15 | 6 | 7 | 41-20 | 51 |
| 5. ჰანოვერი | 28 | 10 | 11 | 7 | 37-39 | 41 |
| 6. შტუტგარტი | 28 | 11 | 7 | 10 | 48-38 | 40 |
| 7. ლევერკუზენი | 28 | 11 | 7 | 10 | 39-38 | 40 |
| 8. ვერდერი | 28 | 11 | 7 | 10 | 41-43 | 40 |
| 9. ვოლფსბურგი | 28 | 12 | 4 | 12 | 40-49 | 40 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 28 | 8 | 10 | 10 | 32-39 | 34 |
| 11. მაინცი | 28 | 8 | 9 | 11 | 42-44 | 33 |
| 12. ნიურნბერგი | 28 | 9 | 4 | 15 | 25-39 | 31 |
| 13. ფრაიბურგი | 28 | 8 | 7 | 13 | 37-53 | 31 |
| 14. აუგსბურგი | 28 | 6 | 12 | 10 | 30-42 | 30 |
| 15. ჰამბურგი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-50 | 30 |
| 16. კიოლნი | 28 | 8 | 4 | 16 | 35-58 | 28 |
| 17. ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 30-52 | 26 |
| 18. კაიზერსლ. | 28 | 3 | 11 | 14 | 17-39 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 – გომესი (ბაიერნი), ჰუნტელაარი (შალკე); 17 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 16 – პისარო (ვერდერი); 15 – როისი (ბორუსია /მ/); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი).



შტუტგარტელმა კრისტიან გენტნერმა დორტმუნდის ბორუსიას ანგარიში 92-ე წუთზე გაუთანაბრა – 4:4

ბაიერნი



თვის ბოლოს არიენ რობენი ბაიერნთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს

# რობენი კონტრაქტს აგრძელებს!

გერმანული „ბილდი" სანდო წყაროზე დაყრდნობით, ექსკლუზიურად იუწყება, რომ **არიენ რობენს** „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 28 წლის გარემარბი რეკორდმაისტერთან ახალ ხელშეკრულებას თვის ბოლოს მოაწერს ხელს და მიუნხენში 2015 წლამდე დარჩება.

რატომ თვის ბოლოს და არა ახლავე? საქმე ის არის, რომ „ბაიერნს" ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვს. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ დღეს ბავარიელები „მარსელთან" არ წააგებენ (სტუმრად 2:0 მოიგეს) და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავლენ, რაც იმას ნიშნავს, რომ აპრილის ბოლომდე რეკორდმაისტერს კვირაში ორ-ორი თამაში ექნება. შესაბამისად, ახლა ახალი კონტრაქტის გაფორმების დრო არავის აქვს. „ბილდის" ცნობით, შესათანხმებელია რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი. ასე რომ, რობენთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება უკვე ფორმალობაა.

შალკე



რაული ფიქრობს

# რაული: მადროვეთ!

ვეტერან ესპანელ გოლეადორ **რაულს** ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დათანხმდეს თუ არა „შალკეს" ხელმძღვანელების პირობებს და მოაწეროს თუ არა ხელი იმ კონტრაქტს, რომელიც მას „შალკეს" შეფებმა შესთავაზეს. მარტის დასაწყისში მას გელზენკირხენელებმა კონკრეტული წინადადებით მიმართეს, ოღონდ მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს, 34 წლის ესპანელს კი მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდა. წინა კვირაში, „ბილბაოსთან" მატჩის წინ „შალკეს" ბოსები კიდევ ერთხელ შეხვდნენ რაულის მრჩეველს, მაგრამ მასთან კონსენსუსს მაინც ვერ მიაღწიეს.

*„ჯერჯერობით არათუ არაფერი გადაწყვეტილა, ტენდენციაც კი არ შეინიშნება,"* - აცხადებს „შალკეს" მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი**. მისი თქმით, რაულმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, როდის მიიღებს გადაწყვეტილებას. ჰელდტი არც იმას გამორიცხავს, რომ რაულმა საბოლოო პასუხი სეზონის დასრულების შემდეგღა თქვას.

„შალკესთვის" კარგი არგუმენტია ის, რომ გელზენკირხენელებს მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ – რაულსაც ეს უნდა. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ გელზენკირხენელები ესპანელს მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ და ხელფასსაც მნიშვნელოვნად უმცირებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. XXX ტურის შეჯამება

# უნიკალური და საუკეთესო მესი და ვან ბენზემა

## აშკარა მოსალოდნელი: კლემენტე შარში გაეხვა

როდესაც გვირაბიდან გამოვიდა, **ლეო მესის** ფანტასტიკური დახვედრა ელოდა - კლუბის ისტორიაში საუკეთესო მეგოლეს, საპირისპირო ტრიბუნა გიგანტური პლაკატით (*„ლეო, შენ უნიკალური ხარ და საუკეთესო“*) შეეგება, ხოლო ტაბლო მის საუკეთესო გოლთა ვიდეოებს აჩვენებდა. პლაკატის ზომა თითქმის 50X50 მეტრზე იყო. წინა რეკორდის პატრონის, **სესარ როდრიგესის** ქვრივი და შვილიშვილი ლეოს ძმას, **როდრიგოს** შეხვდნენ. **სანდრო როსელმა** მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. ასე აღინიშნა, ლეოს მიერ „ბარსას“ ისტორიაში საუკეთესო მეგოლეობა (რომელიც წინა ტურში დამყარდა).



ასე შეეგება კამპ ნოუ მესის

### ბარსა-რეალობა

„ბილბაოსთან“ მატჩში მესიმ მორიგი, 235-ე გოლი გაიტანა. ჯადოქრისთვის მართლაც ჯადოსნური თვე გამოდგა - ლეომ 7 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

ეს მატჩი განსაკუთრებული იყო **ვიქტორ ვალდესისთვის**, რომელსაც კარის „მშრალად“ შენახვა არ გასჭირვებია - ვალდესი „ბარსას“ შემადგენლობაში თამაშების რიცხვით **კარლეს რექსაჩს** გაუტოლდა (449 მატჩი) და მე-4 ადგილზე გადავიდა **მიგელის, კარლეს პუიოლისა** და **ჩავის** შემდეგ.

ანგარიში **ანდრეს ინიესტამ** გახსნა (მესის პასით), რომელიც საოცარი რეკორდის პატრონია - როცა ინიესტა თამაშობს „ბარსა“ არ აგებს... აგერ უკვე 53 თამაშია. **გორკა ირაისოსის** ახლო კუთხეში გატანილი კი მის საფეხბურთო კარიერაში 50-ე გოლია. „კამპ ნოუზე“ 88 200 მაყურებელი შეიკრიბა, ეს ამ სეზონის ლა ლიგის რეკორდია. **დანი ალვეშმა** და **ხავიერ მასკერანომ** 13-13-ჯერ მოუპოვეს გუნდს ბურთი.

**ჟოზე მოურინიომ** პრესკონფერენციაზე უპირველესად, **გრანერო** და **ალბიოლი** შეაქო. პორტუგალიელი დიდად უცნაური კაცია, მას **რონალდოს** და **იგუაინის** წვლილი დუბლი „გამორჩა“. **ქარიმ ბენზემას** გოლს „რეალის“ თავკაცმა არაამქვეყნიური უწოდა, გოლი მართლაც დიდებული იყო.

ნავარაში „რეალმა“ 1 500-ე გამარჯვება მოიპოვა, გონსალო იგუაინი 100-გოლიან ზღვარს ასცდა (101 გაიტანა). კრიშტიანო რონალდო აშკარად საუკეთესო იყო 2 გოლით და ამდენივე საგოლე პასით, მაგრამ იყო თამაშში ერთი ეპიზოდი, რომელშიც პორტუგალიელი არცთუ კარგად წარმოჩნდა, მან იგუაინს აშკარად შეუშალა ხელი გოლის გატანაში. თუმცა, სამართლიანობისთვის აღვნიშნავთ, რომ მალევე დაუბრუნა „ვალი“... შესანიშნავი ჩაწოდებით, რომელსაც მხოლოდ თავის დახვედრა ესაჭიროებოდა. ქარიმ ბენზემას გოლი 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე **მარკო ვან ბასტენის** მიერ გატანილ გოლს წააგავდა, ამიტომაც „მარკამ“ მიმოხილვა ასე დაასათაურა: „ვან ბენზემა“.


ფოტო განწყობისთვის - პორტუგალიელი რონალდო და ბრაზილიელი როვერსიო

**ბარსელონას დარჩენილი 8 მატჩი**

(4 შინ, 4 სტუმრად)
სარაგოსა-ბარსელონა
ბარსელონა-ხეტაფე
ლევანტე-ბარსელონა
ბარსელონა-რეალი
ვალეკანო-ბარსელონა
ბარსელონა-მალაგა
ბარსელონა-ესპანიოლი
ბეტისი-ბარსელონა

**რეალის დარჩენილი 8 მატჩი**

(4 შინ, 4 სტუმრად)
რეალი-ვალენსია
ატლეტიკო-რეალი
რეალი-სპორტინგი
ბარსელონა-რეალი
რეალი-სევილია
ბილბაო-რეალი
გრანადა-რეალი
რეალი-მალიორკა

**მესი VS რონი**

ლიონელ მესიმ „ბილბაოსთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა. კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, 4-ჯერ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი (პენალტით), გააკეთა 1 საგოლე პასი. მის წინაალმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად - ერთხელ. თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა ერთხელ.

კრიშტიანო რონალდომ „ოსასუნასთან“ 5:1 მოგებულ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა. კარისკენ 4-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, გაიტანა 2 გოლი, გააკეთა 2 საგოლე პასი. მის წინაალმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად წესი არ დაურღვევია, ერთხელ მოხვდა თამაშგარეში.

ორივემ კარგად ითამაშა, მაგრამ რონალდომ უკეთ. ეს რაუნდი მან მოიგო და ჩამორჩენა ქულამდე დაიყვანა - 18:17 მესის სასარგებლოდ.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

GOAL.COM. 4-3-3

**მარიო ფერნანდესი** (რასინგი, 1) - ანდონი **ირაოლა** (ბილბაო, 2), ხოსე ანტონიო **დორადო** (ბეტისი, 1), ჟერარდ **პიკე** (ბარსელონა 3), **ფილიპე ლუიში** (ატლეტიკო, 2) - ანხელ **ლაფიტა** (სარაგოსა, 1), ანდრეს **ინიესტა** (ბარსელონა, 7), ანტუან **გრიზმანი** (რეალ სოსიედადი, 4) - გონსალო **იგუაინი** (რეალი, 5), ქარიმ **ბენზემა** (რეალი, 4), კრიშტიანო **რონალდო** (რეალი, 13).

უნიკალური სიმბოლური ნაკრები გამოვიდა - შეტევის ხაზი მთლიანად „რეალისაა“ - ამ ტრიომ ხუთი გოლი გაიტანა ტურში. კრიშტიანო რონალდო მე-13-ედ მოხვდა სიმბოლურში და მესის გაუსწრო (12 მოხვედრა).

**ტურის გმირი**

**არუნა კონე** (ლევანტე)

მისმა გოლმა „ლევანტეს“ ვალენსიურ დერბიში ძალზე მნიშვნელოვანი ქულა მოუპოვა, როგორც სატურნირო მდგომარეობისთვის, ასევე ფსიქოლოგიური განწყობისთვის. „ლევანტეს“ საოცარი სვლა ევროზონაში გრძელდება.

**ტურის ფრაზები**

**მანოლო ხიმენესი**: *„ცალ-ცალკე არავინ ვართ, ერთად კი გუნდი ვართ, რომელსაც რაღაცის გაკეთება შეუძლია“*, - „სარაგოსას“ თავკაცი ზედიზედ მესამე გამარჯვების მოპოვების შემდეგ.

**პეპე მელი**: *„მალაგას“ დამსახურებულად მოვუგეთ“*, - „ბეტისის“ თავკაცი ანდალუსიურ დერბიში 2:0 გამარჯვების შემდეგ.

**ჟოზე მოურინიო**: *„განსაკუთრებით მინდა გამოვყო გრანეროსა და ალბიოლის კარგი თამაში“*, - „რეალის“ თავკაცი პამპლონური გამარჯვების შემდეგ.

**კრიშტიანო რონალდო**: *„მხოლოდ ჩემპიონობა, სხვა შედეგზე ფიქრსაც კი არ ვუშვებ თავში“*, - პორტუგალიელი გოლეადორი დუბლის შესრულების შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„ბილბაომ“ კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა“*, - „ბარსას“ ბოსი 2:0 გამარჯვების შემდეგ.

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: *„ჩვენ, რა თქმა უნდა, „რეალზე“ უარესად ვითამაშეთ, მაგრამ ყველაზე ცუდი მოედანზე მსაჯი იყო. მე მაშინვე მივუხვდი მის მზაკვრულ ჩანაფიქრს“*, - „ოსასუნას“ მწვრთნელი, რომელიც მსაჯმა, მუნის ფერნანდესმა უკვე მე-11 წუთზე გააძევა.

**მანუელ პელეგრინი**: *„ბურთს არაფრით უნდოდა „ბეტისის“ კარში შეფრენა“*, - ჩილელი თავკაცი ანდალუსიური დერბის წაგების შემდეგ.

**ხავიერ კლემენტე**: *„ერთხელაც ვეტყვი შენს შვილს, რა უნამუსო მამა ჰყავს. შენ ძალიან სულელი ხარ“*, - ნუ გაიკვირვებთ, სწორედ ასე მიმართა „სპორტინგის“ თავკაცმა ჟურნალისტს პრესკონფერენციაზე და არა გვგონია, ეს ბასკ სპეციალისტს შერჩეს.

**ტურის 5 საუკეთესო გოლი**

1. **ქარიმ ბენზემა** (რეალი) „ოსასუნას“ კარში (საგოლე პასი: **კრიშტიანო რონალდო**).
2. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) პირველი გოლი „ოსასუნას“ კარში (საგოლე პასი: **ჩაბი ალონსო**)
3. **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა) „ბილბაოს“ კარში (საგოლე პასი: **ლიონელ მესი**).
4. **ედუარდო სალვიო** (ატლეტიკო) „ხეტაფეს“ კარში (საგოლე პასი: **ფილიპე ლუიში**)
5. **გონსალო იგუაინი** (რეალი) პირველი გოლი „ოსასუნას“ კარში (საგოლე პასი: **ესტებან გრანერო**)

### ესპანური ფეხბურთის სისუსტე... მსაჯები

**მუნის ფერნანდესი** (ოსასუნა-ატლეტიკო). „მარკა“ - 4 (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა**: *მე-11 წუთზე გააძევა მასპინძელთა მწვრთნელი* ***ხოსე ლუის მენდილიბარი.*** *ძალიან ბევრჯერ ტყუილუბრალოდ გააჩერა თამაში, როცა ამის აუცილებლობა არ იყო.*

**გონსალეს გონსალესი** (ვილიარეალი-ესპანიოლი). „მარკა“ - 3 (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა**: *ორივე კარში გააუქმა გოლი, ორივეჯერ საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში.*

**ტურის სტატისტიკა**

**შენიშვნა**: *წუხანდელი მატჩი გათვალისწინებული არ არის*

*23 გოლი ტურში (2,56 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 46 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაარიგეს.*

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **გონსალო იგუაინი** (რეალი)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაიმე სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **88 20 - „კამპ ნოუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **13 000 - „ელ სარდინიერო“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **20 - მალაგა, ბარსელონა**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **14 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **30 - სარაგოსა**

ყველაზე მეტი კუთხური: **10 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - ესპანიოლ, ვილიარეალი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **68% - ვალენსია**

**რასინგი-გრანადა 0:1**

**საუკეთესო:** გილერმე სიკეირა (გრანადა)

**სპორტინგი-სარაგოსა 1:2**

**საუკეთესო:** ანხელ ლაფიტა (სარაგოსა)

**ოსასუნა-რეალი 1:5**

**საუკეთესო:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ბარსელონა-ბილბაო 2:0**

**საუკეთესო:** ჟერარდ პიკე (ბარსელონა)

**მალაგა-ბეტისი 0:2**

**საუკეთესო:** ბენატ ეჩებარია (ბეტისი)

**ატლეტიკო-ხეტაფე 3:0**

**საუკეთესო:** დიეგო (ატლეტიკო)

**ვალენსია-ლევანტე 1:1**

**საუკეთესო:** არუნა კონე (ლევანტე)

**სოსიედადი-ვალეკანო 4:0**

**საუკეთესო:** ანტუან გრიზმანი (რეალ სოსიედადი)

**ვილიარეალი-ესპანიოლი 0:0**

**საუკეთესო:** მარკო რუბენი (ვილიარეალი)

**გუშინ...**

**სევილია-მალიორკა 3:1**

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კოკე, ფასიო, ესკუდე, ლუნა - მედელი, ტროხოვსკი (72. რაკიტიჩი) - ხესუს ნავასი, დელ მორალი, რეიესი (69. კანუტე) - ნეგრედო (88. დეივიდი).

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ჩიკო, ნუნიეში, რამისი, პ. კასერესი - პერეირა, მარტი, ტისონე, გ. კასტრო (57. ჰემედი) - ვიქტორი (71. ალფარო), ალვარო (46. ნსუე).

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (50), 2:0 დელ მორალი (62), 3:0 ხესუს ნავასი (67), 3:1 ჰემედი (73)

**გაფრთხილება:** ტროხოვსკი, კოკე, რეიესი, მედელი - მარტი, ალვარო

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 25 | 3 | 2 | 100-27 | 78 |
| 2. ბარსელონა | 30 | 22 | 6 | 2 | 86-22 | 72 |
| 3. ვალენსია | 30 | 13 | 9 | 8 | 46-37 | 48 |
| 4. მალაგა | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 5. ლევანტე | 30 | 13 | 6 | 11 | 42-41 | 45 |
| 6. ოსასუნა | 30 | 10 | 13 | 7 | 35-46 | 43 |
| 7. ატლეტიკო | 30 | 11 | 9 | 10 | 42-35 | 42 |
| 8. სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 36-32 | 42 |
| 9. ესპანიოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 37-39 | 41 |
| 10. ხეტაფე | 30 | 10 | 9 | 11 | 31-39 | 39 |
| 11. ბილბაო | 30 | 9 | 11 | 10 | 44-42 | 38 |
| 12. ვალეკანო | 30 | 11 | 4 | 15 | 42-53 | 37 |
| 13. მალიორკა | 30 | 9 | 9 | 12 | 32-40 | 36 |
| 14. სოსიედადი | 30 | 10 | 6 | 14 | 36-45 | 36 |
| 15. ბეტისი | 30 | 10 | 5 | 15 | 35-43 | 35 |
| 16. გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28-46 | 34 |
| 17. ვილიარეალი | 30 | 7 | 11 | 12 | 30-42 | 32 |
| 18. სარაგოსა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-52 | 28 |
| 19. სპორტინგი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-56 | 25 |
| 20. რასინგი | 30 | 4 | 13 | 13 | 23-45 | 25 |

**ბომბარდირები:** 37 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 36 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 20 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 16 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

**ასისტენტები:** 14 - მესუთ ოზილი (რეალი); 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 11 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 10 - დანი ალვეში (ბარსელონა); კრიშტიანო რონალდო (რეალი); 8 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა), კარლოს ველა (რეალ სოსიედადი).

**ზამორას ტროფეი:** 0,73 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,9 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,07 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,25 - ვილი კაბალიერო (მალაგა); 1,29 - მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე).

**მომდევნო ტური**

7 აპრილი: **ხეტაფე-სპორტინგი, რაიო ვალეკანო-ოსასუნა, ესპანიოლი-რეალ სოსიედადი, სარაგოსა-ბარსელონა, ბეტისი-ვილიარეალი.**

8 აპრილი: **ლევანტე-ატლეტიკო, მალიორკა-გრანადა, ბილბაო-სევილია, რეალი-ვალენსია.**

9 აპრილი: **მალაგა-რასინგი.**



ქარიმ ბენზემას გოლი ვან ბასტენის ცნობილ შედევრს შეადარეს

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ტოტენჰემი

# როჯერსი დეზების თავკაცად




ინგლისური პრესა ამაზე უკვე რამდენიმე დღეა წერს, რომ "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობას 4 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს, თუკი მომდევნო სეზონისთვის **ჰარი რედნაპის** ნაცვლად გუნდის მთავარ მწვრთნელად "სუონსის" ამჟამინდელი თავკაცის **ბრენდან როჯერსის** დანიშვნას მოინადინებს. სწორედ ეს თანხაა დასახელებული უელსურ კლუბსა და ჩრდილოირლანდიელს შორის იანვარში გაფორმებულ ახალ ხელშეკრულებაში, რომელიც ძალაში 2015 წლის ივლისამდეა. სხვათა შორის, 39 წლის სპეციალისტი "ჩელსის" მთავარი მწვრთნელობის კანდიდატურადაც დასახელდა. *"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ თუკი სადმე სხვაგან წავედი სამუშაოდ, ჩემმა ამჟამინდელმა დამსაქმებელმა ამისგან სოლიდური ხეირი ნახოს. ჩემს კონტრაქტში პირდაპირ წერია, რომ არ მაქვს სასურველ დროს "სუონსის" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვების უფლება. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც არასოდეს მიფიქრია. როცა ახალ ხელშეკრულებაზე ხელს ვაწერდი, ზემოთ ხსენებულ პუნქტს სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ამით ხაზი გავუსვი, რომ "სუონსიში" თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ და აქ მუშაობის პერსპექტივა ძალიან მახარებს,"* – აცხადებს ბრენდან როჯერსი.

"ტოტენჰემის" ლიდერის, 26 წლის **რაფაელ ვან დერ ვაარტის** თქმით, მას დიდი იმედი აქვს, რომ ჩრდილოლონდონური კლუბის ხელმძღვანელები მომდევნო სეზონისთვის ტოგოელი **ემანუელ ადებაიორის** შენარჩუნებას მოახერხებენ. მისი თქმით, ემანუელი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელია, ვისთან ერთადაც მას ოდესმე უთამაშია. ჰოლანდიელის სიტყვებიც რომ არა, საკმარისია მხოლოდ სტატისტიკას გადავავლოთ თვალი, რომ უმალ მივხვდებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა თავდამსხმელი ლონდონელებისთვის. ადებაიორის ანგარიშზე 27 თამაშში 13 გოლი და 11 საგოლე გადაცემაა. ტოგოელის სრულფასოვანი კონტრაქტი "მანჩესტერ სიტის" ეკუთვნის. "ქალაქელები" მას 20 მილიონ ფუნტად აფასებენ. "დეზები" ამ თანხას კიდევ გადაიხდიან, მაგრამ უმთავრესი დაბრკოლება, რაც ამ გარიგებას წინ უდგას, ფეხბურთელის ხელფასია. ამჟამად ემანუელის ანაზღაურება კვირაში 170 ათასი ფუნტია, რომლის სოლიდურ ნაწილს ჯერ კიდევ "სიტი" იხდის. "ტოტენჰემი" დამოუკიდებლად ამხელა ფულს ვერ გასწვდება. შესაბამისად, ფეხბურთელს ნაკლებ ხელფასზე დათანხმება მოუწევს. ადებაიორს "სიტიში" დაბრუნების არანაირი სურვილი არ აქვს. სხვა თუ არაფერი "ეტიჰადზე" მას ქრონიკული უთამაშებლობა ემუქრება. სწორედ ამიტომ არის მოსალოდნელი, რომ მასა და "დეზებს" შორის პირობებზე შეთანხმება პრობლემა არ უნდა იყოს.

## ხუთი მოგება და ლიგა

"ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** დარწმუნებულია, რომ მის გუნდს დარჩენილ 7 ტურში 5 მოგება ეყოფა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. უკეთეს შემთხვევაში მას ლიგის ჯგუფში პირდაპირ მოხვედრაც შეეძლება. შეგახსენებთ, რომ უქმეებზე "ტოტენჰემის" "სუონსისთან" 3:1-ის გამარჯვებისა და "არსენალის" "ქუინზ პარკთან" მარცხის წყალობით თანაქალაქელს ქულებით დაეწია და მე-4 ადგილზე მხოლოდ ბურთების სხვაობის გამო იმყოფება. "ჩელსი" ჩრდილოლონდონელთა დუეტს 5 ქულით ჩამორჩება. რედნაპს "არსენალის" რთული გრაფიკის იმედიც აქვს. დიახ, **არსენ ვენგერის** გუნდს კონკურენტთან შედარებით ბევრად უფრო რთული თამაშები აქვს დარჩენილი, მაგალითად "სიტისა" და "ჩელსისთან". "დეზებს" თავის მხრივ პრემიერლიგის გრანდებთან მატჩები უკვე მოლეული აქვთ. *"დარწმუნებული ვარ, რომ თუკი დარჩენილ შეხვედრებში მინიმუმ 15 ქულას ავიღებთ, მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ. სეზონის ოთხეულში ჩამთავრება ჩვენთვის სეზონის უმთავრესი ამოცანაა,"* - ამბობს რედნაპი.


არსენ ვენგერი (მარცხნივ) და ჰარი რედნაპი

● მანჩესტერ სიტი

# იტალიელი შიშობს, ჩხუბობს

"მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მიაჩნია, რომ მომდევნო ტურში "არსენალთან" გასვლით მატჩში შესაძლო წარუმატებლობა მისი გუნდის საჩემპიონო შანსებს დიდ კითხვის ნიშანს დაუსვამს. მოგეხსენებათ, წინა ტურში "ქალაქელებმა" "სანდერლენდთან" შინ ფრედ ითამაშეს და "მანჩესტერ იუნაიტედს" საშუალება მისცეს "ბლექბერნთან" გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო დაწინაურებულიყო. *"კიდევ ერთი წარუმატებლობა და ეს უკვე კატასტროფა იქნება. თუკი "არსენალთან" მატჩის შემდეგ განსხვავება 8 ქულა იქნება, მაშინ უკვე ყველაფერი ცხადი იქნება. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ "იუნაიტედი" ქულებს კიდევ დაკარგავს. მაგალითად ამის შანსი მას "ბლექბენთან" აქვს,"* – განუცხადა მანჩინიმ "გარდიანს".

"მანჩესტერ სიტის" მანჩინის გარდა კიდევ ერთი იტალიელი ჰყავს. **მარიო ბალოტელის** "ქალაქში" თავისი როლი აქვს მორგებული. არა, არ ვკამათობთ, რომ ის ნიჭიერი თავდამსხმელია, მაგრამ გარდა ამისა მარიო გუნდში მთავარი ამრევიცაა. "დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ბალოტელი "სანდერლენდთან" მატჩის დასრულების შემდეგ გასახდელში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მეორედ წაუჩხუბა **იაია ტურეს** და რომ არა **კოლო ტურეს** დროული ჩარევა, ყველაფერი მშვიდობიანად არ ჩაივლიდა. მოგეხსენებათ, თამაშის ბოლოს მას **ალექსანდარ კოლაროვთანაც** მოუვიდა დაპირისპირება. მაშინ მშვიდობისმყოფელის როლი **ვენსან კომპანიმ** ითამაშა. კაპიტანმა ბალოტელის მკაცრად მოუთითა, რომ შეეწყვიტა ჩხუბი. იაიას სწორედ ამ მომენტის შესახებ სურდა თანაგუნდელთან მშვიდად დალაპარაკება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. კოლაროვი და ტურე "სიტის" პირველი ფეხბურთელები არ არიან, ვისთანაც სუპერმარიოს ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოსდის. შარშან მაგალითად იტალიელმა **ჟერომ ბოატენგთან** და **მიკა რიჩარდსთან** იჩხუბა. აქვს თუ არა რაიმე გეგმა თანამემამულესთან დაკავშირებით მანჩინის, უცნობია. თუმცა მასმედია აქ-იქ უკვე წერს, რომ "სიტი" მზად არის ფეხბურთელით დაინტერესებულთა წინადადებები განიხილოს.


მარიო ბალოტელის მორჯულებას საშველი არ დაადგა

"სანდერლენდთან" მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით კომენტარი მანჩინისაც სთხოვეს. უშუალოდ ფეხბურთელების დაპირისპირებაზე მან დუმილი არჩია, სამაგიეროდ, გულახდილად განაცხადა, თუ რას ფიქრობს შეგირდზე: *"მარიომ მოედანზე ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მატჩის დაწყებამდე ვამბობდი... მას შეუძლია ასე ითამაშოს - 70 წუთი არაფერი აკეთოს, მერე აფეთქდეს და გუნდს შეეწიოს, მაგრამ სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, მე ასეთი სტილი ძალიან არ მომწონს. მარიოს ყველანაირი წინა პირობა აქვს იმისთვის, რომ მასზე დაკისრებულ საქმეს იდეალურად გაართვას თავი, მაგრამ ხშირად საერთოდ ვერ ვაგებინებ, რას ვითხოვ მისგან. ასეთ რთულ თამაშებში თავდამსხმელი სრულად უნდა იყოს კონცენტრირებული. 2-3-წუთიანი აფეთქებები საკმარისი არ არის".*

**ინგლისი. პრემიერლიგა.**

**XXXI ტური**

**ბლექბერნი–მანჩესტერ იუნ 0:2**

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – მარტინ ოლსონი, ჰენლი, დანი, ორი – მარკუს ოლსონი, ნზონზი, პედერსენი, ლოუი – იაკუბი, ჰოილეტი

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-3-3): დე ხეა – რაფაელი, ევანსი, რ. ფერდინანდი, ევრა – კერიკი, სქოულზი (79. ე. იანგი), ფ. ჯოუნსი (63. გიგზი) – ვალენსია, ერნანდესი (61. უელბეკი), რუნი

**გოლები:** 0:1 ვალენსია (81), 0:2 იანგი (86)

**გაფრთხილება:** ჰენლი - ვალენსია

**კარში დარტყმა:** 8-10(4-6), **კუთხური:** 2-10, **ჯარიმა:** 10-5, **თამაშგარე:** 0:1 **ბურთის ფლობა:** 27%-73%

**მაყურებელი:** 26 532

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 31 | 24 | 4 | 3 | 76-27 | 76 |
| 2. სიტი | 31 | 22 | 5 | 4 | 75-25 | 71 |
| 3. არსენალი | 31 | 18 | 4 | 9 | 62-41 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 5. ჩელსი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 6. ნიუკასლი | 31 | 12 | 7 | 12 | 32-32 | 43 |
| 7. ევერტონი | 31 | 12 | 7 | 12 | 32-32 | 43 |
| 8. ლივერპული | 31 | 11 | 9 | 11 | 36-33 | 42 |
| 9. სანდერლენდი | 31 | 11 | 8 | 12 | 42-37 | 41 |
| 10. ფულჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 39-42 | 39 |
| 11. სუონსი | 31 | 10 | 9 | 12 | 35-39 | 39 |
| 12. ნორვიჩი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-49 | 39 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 10 | 8 | 13 | 29-43 | 38 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 10 | 6 | 15 | 36-43 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 30 | 7 | 12 | 11 | 33-42 | 33 |
| 16. ბოლტონი | 30 | 9 | 2 | 19 | 36-60 | 29 |
| 17. ქუინზ პარკი | 31 | 7 | 7 | 17 | 35-54 | 28 |
| 18. ბლექბერნი | 31 | 7 | 7 | 17 | 43-64 | 28 |
| 19. უიგანი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-55 | 28 |
| 20. ვულვზი | 31 | 5 | 7 | 19 | 33-68 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 21 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი) 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), კლინტ დემპსი (ფულჰემი).

● ამბები

## მვილა [illegible]

"რენისა" და საფრანგეთის ნაკრების 21 წლის საყრდენი ნახევარმცველის **იან მვილას** თქმით, მისთვის დიდი პატივი იყო, როცა შეიტყო, რომ მისი სამსახურით "არსენალია" დაინტერესებული. ფეხბურთელის შეფასებით, ლონდონური კლუბი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. "დეილი მეილის" ცნობით, მვილა მართლაც არის ლონდონელთა ერთ-ერთი უმთავრესი სატრანსფერო სამიზნე. *"როცა უცხოური გრანდის მთავარი მწვრთნელი გეუბნება, განსაკუთრებით ფრანგი, რომ მის გეგმებში ჯდები, ეს უკვე ძალიან კარგია. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელოვანია ჩემთვის საფრანგეთის ნაკრებში მოხვედრა. ამისთვის კი ძლიერ კლუბში სათამაშო პრაქტიკა მჭირდება,"* – აცხადებს ნახევარმცველი.

იან მვილას "რენთან" კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს. მისი გადაბირების მსურველს ფეხბურთელში დაახლოებით 17-20 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

## ქუინზ პარკი: დაგვეხმარეთ!

"ქუინზ პარკი"-"არსენალის" მატჩის (2:1) გვერდით მსაჯს მასპინძელთა ფანების სექტორიდან მავანმა ხულიგანმა მონეტა ესროლა და კეფაში გაარტყა. კლუბი დახმარებას ითხოვს, რათა ამ ადამიანის იდენტიფიცირება მოხდეს. "ქუინზ პარკი" მას სამუდამოდ აუკრძალავს "ლოფტუს როუდზე" შესვლას - აღნიშნული განცხადება "ტვიტერის" გვერდზე ლონდონელთა პრესსამსახურმა განათავსა.

## ეჭვიანი პრესტონი

ინგლისის ლიგა ერთის კლუბ "პრესტონში" სერიოზული სკანდალია. პრეზიდენტი **პიტერ რიდსდეილი** (გულშემატკივარს მისი სახელი და გვარი "ლიდსის" ხელმძღვანელობის დროიდან შეიძლება ახსოვდეს) და გუნდის თავკაცი **გრემ უესტლი** ოთხ ფეხბურთელს ხელს ადებენ, რომ მათი წყალობით, 31 მარტს "შეფილდ უენსდისთან" თამაშამდე მისმა თავკაცმა **დეივ ჯოუნსმა** მეტოქე გუნდის სასტარტო შემადგენლობა და ტაქტიკური მონახაზი წინდაწინ იცოდა. კლუბის ხელმძღვანელი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ მათ ეს წინასწარი განზრახვით გააკეთეს. *"ის, რაც გრემ უესტლიმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, მართალია, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ წაგების შემდეგ ძალიან განერვიულებული გახლდათ და განცხადება ცხელ გულზე გააკეთა. მით უფრო, როცა მისმა ვიზავიმ წინასწარ იცოდა ჩვენი გეგმები. საქმის დეტალებზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ ლაპარაკი რაიმე შეთქმულებაზე ზედმეტია. დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთელებს ეს ბოროტი განზრახვით არ გაუკეთებიათ. ვწუხვარ, რომ მსგავსი რამ საერთოდ მოხდა, მაგრამ რაც არის არის. მოვუწოდებ გუნდს, მთლიანად გადაიტანოს ყურადღება მომდევნო დაპირისპირებებზე,"* – ამბობს რიდსდეილი.

## ბექჰემიც ჩხუბობს

როგორც ჩანს, უსიამოვნება თანაგუნდელთან და მით უფრო მოედანზე, სხვების დასანახად, მხოლოდ **მარიო ბალოტელის** კი არა ისეთ გაწონასწორებულ ადამიანსაც კი შეიძლება მოუვიდეს, როგორიც **დევიდ ბექჰემია**. ბექზის "გალაქსიმ" "ნიუ ინგლანდ რევოლუშენთან" შინ 1:3 დათმო. მასპინძლებმა ორი გოლი დებიუტშივე, მე-10 და მე-13 წუთებზე გაუშვეს. ტაიმის მიწურულს ინგლისელი ვარსკვლავი **შონ ფრანკლინთან** და **მარსელო სარვასთან** შეკამათდა. შესვენებაზე გუნდის თავკაცმა **ბრიუს არენამ** ბექჰემი და სარვასი შეცვალა და ეს ტაქტიკური მოსაზრებით ახსნა. ბექჰემის ერთ-ერთმა მეგობარმა კი განაცხადა, ცვლილება მცირე ტრავმით იყო გამოწვეული. ის, რომ კომენტარები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, იმის ნიშანია, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელები სწორედ მოედანზე თავშეუკავებელი საქციელის გამო მოაშორა მინდორს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ქართული სპორტი

ჭიდაობა. საქართველოს ჭაბუკთა პირველობა



რამაზ ზოიძე (მარცხნივ)

# მართვეში მოჭიდავე გოგოებიც გამოჩნდნენ

ამ დღეებში „მართვეს" სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს პირველობა ჭაბუკებში, ოღონდ ამჯერად მასში ბიჭებთან ერთად გოგოებიც მონაწილეობდნენ. მართალია, მათი რაოდენობა ჯერ არც ისე ბევრია და შეჯიბრებებიც მხოლოდ ორ წონით კატეგორიაში გაიმართა, თუმცა დასაწყისისთვის ესეც კარგია.

ბიჭებში ორივე სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში თაობათა ცვლა მიდის და, ამდენად, ყველა ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს. გამარჯვებულთა უმრავლესობას უკვე ვიცნობთ აქამდე გამართული შიდა თუ უცხოური შეჯიბრებებიდან, თუმცა არიან ახალი სახეებიც. ტურნირმა დაადასტურა, რომ ძალიან კარგი ცვლა მოდის, თუმცა ისიც სასიამოვნოა, რომ აქა-იქ შემორჩენილმა შარშანდელმა ლიდერებმაც დაადასტურეს ფავორიტობა და აგრძელებენ სტაბილურ გამოსვლას. მაგალითად, „თავისუფლებში" ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ომარ გურჯიძე** (69) და მსოფლიოს პრიზიორი **გიორგი ჩხარტიშვილი** (76) ჩემპიონები გახდნენ, ოღონდ შარშან ორივე 69-ში გამოდიოდა, წლეულს კი ჩხარტიშვილმა ზევით აინაცვლა. თუმცა გამარჯვებულთაგან ბათუმელ **რამაზ ზოიძეს** (46) საგანგებოდ გამოვარჩევთ, რადგან ის ორივე სტილით ჭიდაობაში გახდა ჩემპიონი, ასეთი რამ კი ყველა ტურნირზე არ ხდება. ეს ბიჭი თავიდან „თავისუფლებში" გამოდიოდა, თუმცა მერე ბერძნულ-რომაულში გადავიდა და ჯერჯერობით თავის ყველაზე დიდ წარმატებას იქ მიაღწია - შარშან ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ევროპაზე კი მესამეზე გავიდა. წლეულს ის ორივე ნაკრებში აპირებს გამოსვლას - იანვარში ბაქოში უკვე „თავისუფლებში" იასპარეზა, ახლა კი ორივეში გაიმარჯვა. ერთი შეხედვით, მისი ასეთი შემართება მისასალმებელია და დასაფასებელი, მაგრამ პროფესიულად მთლად გამართლებული არ გვგონია. ღმერთმა ჰქნას, ორივე სახეობაში დაიპყროს საჭიდაო მწვერვალები, მაგრამ ეს ჯერ ვერავის მოუხერხებია. საკითხავია, ეყოფა კი ძალები ორივეგან წარმატებით საასპარეზოდ? ვფიქრობთ, რაც მალე გააკეთებს არჩევანს, მით უკეთესი, ამაში კი მწვრთნელები უნდა დაეხმარონ.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

#### ბერძენ-რომაული ჭიდაობა

**42 კგ.** 1. გენადი ჩიტაძე, 2. თემურ შავაძე, 3. გიორგი მამულაძე (სამივე - აჭარა), შმაგი თოდუა (სამტრედია).

**46 კგ.** 1. რამაზ ზოიძე (აჭარა), 2. გიორგი კურტანიძე (გარდაბანი), 3. ანზორ ლონლაძე (რუსთავი), იური ლომაძე (ოზურგეთი).

**50 კგ.** 1. ირაკლი შავაძე (აჭარა), 2. ლევან ქავჟარაძე (ოზურგეთი), გიორგი მელია (სამტრედია), მირზა შავაძე (აჭარა).

**54 კგ.** 1. ბაკურ გოგოლი (სენაკი), 2. გიორგი გუჯაბიძე, 3. გიორგი ხუჭუა (ორივე - ოზურგეთი), გიორგი რიჟვაძე (აჭარა).

**58 კგ.** 1. თეიმურაზ კვაჭაძე (ოზურგეთი), 2. ლაშა ებილაშვილი (გარდაბანი), 3. გიგა ჩხაიძე, ჯუმბერ წუწუნავა (აჭარა).

**63 კგ.** 1. მურთაზ ჩაბრავა (სენაკი), 2. გიორგი ჯაფარიძე (ოზურგეთი), 3. კონსტანტინე ბარბაქაძე (გარდაბანი), გელა ბოლქვაძე (აჭარა).

**69 კგ.** 1. გიორგი ჩხარტიშვილი (აჭარა), 2. დავით გოგიძე (ქუთაისი), 3. ნუკრი შავაძე (აჭარა), ოთარ ბაბლუანი (თბილისი).

**76 კგ.** 1. ნიკა გავაშელი (თბილისი), 2. გიორგი დარჩია, 3. ვასილ თავბერიძე (ორივე - ოზურგეთი), ლევან გადაბაძე (თბილისი).

**85 კგ.** 1. ნიკოლოზ კახელაშვილი (თბილისი), 2. სულხან ბუაძე, 3. ზაურ უტიაშვილი (ორივე - ქუთაისი), გიორგი ჯინჭველაშვილი (თბილისი).

**100 კგ.** 1. ბექა კანდელაკი (თბილისი), 2. ზვიად პატარიძე (ქუთაისი), 3. თენგიზ ძებნიაური, ჯემალ რიჟამაძე (ორივე - თბილისი).

#### თავისუფალი ჭიდაობა

##### ვაჟები

**42 კგ.** 1. შმაგი თოდუა, 2. ედემი ბოლქვაძე (ორივე - სამტრედია), 3. გაიოზ გონგლაძე (ხაშური), ნუგზარ ბოლქვაძე (აჭარა).

**46 კგ.** 1. რამაზ ზოიძე (აჭარა), 2. ტაიფუნ აბდულაევი (მარნეული), 3. დავით როდინაძე (აჭარა), გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო).

**50 კგ.** 1. გიორგი ლეჟავა (სამტრედია), 2. ალი მახმადოვლი (ქარელი), 3. იმედა მაკაროვი (ახმეტა), გიგა გიგაშვილი (თბილისი).

**54 კგ.** 1. ლევან მურცხვალაძე (რუსთავი), 2. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), 3. მიხეილ მამუკაშვილი (საგარეჯო), იმედა ფანცულაია (სამტრედია).

**58 კგ.** 1. ედუარდ ნიკოლიშვილი (თბილისი), 2. ბექა ნიკლაური (ხაშური), 3. ავთანდილ კობახიძე, გურამ ბერიაშვილი (ორივე - თბილისი).

**63 კგ.** 1. ტარზან მაისურაძე, 2. ტარიელ გაფრინდაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ცოტნე ყურაშვილი (აფხაზეთი), ვახტანგ ჯამბურიძე (გარდაბანი).

**69 კგ.** 1. ომარ გურჯიძე (ქუთაისი), 2. ირაკლი კობახიძე (აფხაზეთი), 3. ბორის ნოზაძე (თბილისი), ლევან მურადხანაშვილი (ბოლნისი).

**76 კგ.** 1. გიორგი ჩხარტიშვილი (თბილისი), 2. დემეტრე ჯანაშია (აფხაზეთი), 3. ზაქრო შამანაძე (აჭარა), ირაკლი პოპიაშვილი (დედოფლისწყარო).

**85 კგ.** 1. თორნიკე ბასილაშვილი (გორი), 2. ირაკლი მნითური (თბილისი), 3. ლაშა ბოდაველი (დედოფლისწყარო), გიორგი არაბული (გარდაბანი).

**100 კგ.** 1. ბექა კახეთელიძე (ონი), 2. როლანდ ანდრიაძე (ხონი), 3. გივი მაჭარაშვილი (მცხეთა), გლახო ზედელაშვილი (თბილისი).

##### გოგოები

**46 კგ.** 1. ანი ნაზარაშვილი (გორი), 2. ანი კულდუნაშვილი (ბოლნისი), 3. ლია შოშიტაშვილი (თბილისი), გულიკო არუთინიანი (გორი).

**65 კგ.** 1. მაქსი გიგუაშვილი (თბილისი), 2. ანი ჩარქსელიანი, 3. ხატია ჯოხაძე (ორივე - ამბროლაური), შორენა ნოქარაშვილი (თბილისი).

თავისუფალი ჭიდაობა

# სალიცენზიო სამეული ცნობილია

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** დაასახელა ის სამეული, რომელიც 20-22 აპრილს სოფიაში პირველ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავებს: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **გიორგი გოგშელიძე** (96). ამ სამეულში ყველაზე მოულოდნელი იაკობაშვილის გამოჩენაა, როგორც ახალბედისა, თუმცა ის საქართველოს ბრინჯაოს მედალოსანია. მწვრთნელებმა ამჯერად არჩევანი არც **ოთარ თუშიშვილზე** შეაჩერეს და არც - **შალვა მუზიაშვილზე**, რომელიც თუშიშვილის არყოფნაში ერთხანს წონის ლიდერადაც მოგვევლინა. თურმანიძემ თუშიშვილი ჩინეთის სალიცენზიო შეჯიბრებისთვის შემოინახა, რომელიც ბულგარული ტურნირის მომდევნოა და ზუსტად ერთ კვირაში გაიმართება. საერთოდ, ჩვენმა მწვრთნელებმა „თავისუფალშიც" და ბერძნულ-რომაულშიც ძირითადი აქცენტი ჩინეთზე გააკეთეს - სავარაუდოდ, ძლიერთა უმეტესობა მანამდე უკვე გაინაღდებს საგზურს და იქ შედარებით იოლი იქნება მისი მოპოვება, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი სამეულის შემხედვარე, ჩვენს „თავისუფლებზე" ეს ნაკლებად ითქმის. მწვრთნელები იაკობაშვილის წაყვანით რამდენიმე კურდღელს იჭერენ - სცდიან ახალგაზრდა ფალავანს; თუ ის საგზურს მოიპოვებს, მიზანიც შესრულებული იქნება, თუ არადა გამოცდილებას მაინც მიიღებს; ამასობაში ასვენებენ ტრავმებით გატანჯულ თუშიშვილს, რომელსაც ჩინეთამდე გამოჯანმრთელების, დასვენების, ძალების მოკრების საშუალება ეძლევა. მისგან განსხვავებით ხინჩეგაშვილსა და გოგშელიძეს კი ლიცენზიის გარდა კარგი სტარტიც სჭირდებათ, სოფიის ტურნირი კი ასეთი იქნება, რადგან ულიცენზიოდ დარჩენილი წამყვანი ქვეყნების - აზერბაიჯანის, რუსეთისა და სხვათა ფალავნები აპირებენ გამოსვლას. მართალია, გოგშელიძემ ევროპის პირველობაზე კი იასპარეზა, მაგრამ ადრევე გამოეთიშა და ეს სატურნირო პრაქტიკად მაინც ვერ ჩაეთვლება, ბულგარეთში კი ორივეს მიეცემა ამ დეფიციტის აღმოფხვრის საშუალება.

სოფიაში ყოველ წონაში ორ-ორი საგზური გაიცემა, ანუ მხოლოდ ფინალისტები მიიღებენ ლონდონში ჭიდაობის ნებართვას. ჩვენი ნაკრები საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის ხვალ დაიწყებს მორიგ შეკრებას დუშეთში. შეგახსენებთ, რომ დარჩენილ ოთხ წონაში ჩვენმა ნაკრებმა ლიცენზია შარშან სექტემბერში მოიპოვა მსოფლიოს პირველობაზე, რაც მესამე ადგილებზე გასულმა **დავით ხუციშვილმა** (74), **დავით მარსაგიშვილმა** (84), **დავით მოძმანაშვილმა** (120) და მეხუთეადგილოსანმა **მალხაზ ზარქუამ** (6) გააკეთეს.

სოფიაში ჩვენი ბერძენ-რომაელებიც იასპარეზებენ, მაგრამ იმათი თავკაცი **ბეგი დარჩია** ბულგარულ შემადგენლობას ამ დღეებში დაასახელებს. ერთი კია, რომ ლიდერებს ისიც ძირითადად ჩინეთისთვის ინახავს, სოფიაში კი, შესაძლოა, **რამაზ ნოზაძის** (96) დაბრუნება ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, იქ წასასვლელად საბუთებს ამზადებს და ვნახოთ, ბოლო მომენტში ხომ არ გადაიფიქრებს გამგზავრებას.

**ირაკლი თავაძე**

დიდი სპორტის კარიბჭესთან



## ნიკა კახელაშვილი

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**დაიბადა** 1995 წლის 14 ნოემბერს.

**სწავლობს** თბილისის 88-ე საჯარო სკოლის X კლასში.

**ჭიდაობა** დაიწყო 2008 წელს ბაბუის - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელის **დავით დავითაიას** ხელმძღვანელობით და დღემდე მასთან ვარჯიშობს.

**მიღწევები:** კადეტთა შორის საქართველოს შარშანდელი პირველობის ფინალისტი, თანატოლთა შორის აზერბაიჯანისა და ისრაელის საერთაშორისო ტურნირების მონაწილე. 2012 წელს 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვლადიმერ მაისურაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, 1995-1996 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

**გატაცებულია:** ცურვით, ტანვარჯიშით, კალათბურთით, რაგბით.

**ჰობი:** მუსიკა, კომპიუტერი, მოგზაურობა.

**კერპი.:**ეგვიპტელი ოლიმპიური ჩემპიონი ქარამ მოჰამედ გაბერ იბრაჰიმი.

**მიზანი:** წლეულს თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობის მოპოვება. სამომავლოდ - ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

სამბო

# ევროპა ორ ასაკში უძლიერესებს დაასახელებს

გუშინ სამბოს ცენტრალურ დარბაზში ევროპის ჩემპიონატის სამზადისში გართულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** და სამბოს ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი **სოსო ლიპარტელიანი** შეხვდნენ.

ევროპის პირველობა 5-9 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდება. ჩვენი გუნდები ორივე ასაკში ოპტიმალური შემადგენლობით - 10-10 მონაწილით გამოვლენ. მწვრთნელებმა ნაკრების კანდიდატები საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით შეარჩიეს. ახალგაზრდებში საქართველოს ღირსებას **ავთანდილ მზარეულაშვილი** (48), **ლევან ბერბერაშვილი** (52), **გიორგი მესაბლიშვილი** (57), **შმაგი ლაგაზაური** (62), **ტრისტან ფეიქრიშვილი** (68), **მიხეილ ჩოხელი** (74), **ამირან იანვარაშვილი** (82), **ალექსანდრე მილდიანი** (90), **გიორგი ქავთარაძე** (100) და **უშანგი კოკაური** (+100) დაიცავენ, ჭაბუკებში - **ლერი ბედიანიძე** (48), **იოსებ მელაძე** (52), **მირზა გუჯეჯიანი** (56), **ზაზა როსტომაშვილი** (60), **გიორგი კირკიტაშვილი** (65), **ომარ ნიაზაშვილი** (70), **უშანგი მარგიანი** (75), **ჯონი ჭითანავა** (84), **ზაზა მამარდაშვილი** (87) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+87).

გალდავამ სამბისტებს მომავალ ტურნირზე წარმატება უსურვა და გამოთქვა იმედი, რომ ტრადიციას ახალი თაობაც გააგრძელებს. *„ჩვენი ასაკობრივი გუნდები ყოველთვის კარგად გამოდიოდნენ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე. მჯერა, ამჯერადაც ასე იქნება. სამბოს ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას კარგი სპორტული მემკვიდრეობა დახვდა. სამინისტრო ყველანაირად დაეხმარება სამბისტებს"* - განაცხადა მან.

*„საქართველოს პირველობის შემდეგ გამოიკვეთნენ წონების ლიდერები ახალგაზრდებშიც და ჭაბუკებშიც. ევროპის ჩემპიონატზე ორივე გუნდი სრული შემადგენლობით იასპარეზებს. მათ გაიარეს შეკრება, კარგ ფორმაში არიან და შედეგსაც კარგს ველოდებით. როგორც არჩევნებისას სამბოს სამყაროს დავპირდი, დაახლოებით ათ დღეში ახალ მწვრთნელებს დავასახელებ როგორც ასაკობრივ, ასევე ეროვნულ ნაკრებში. აქვე აღვნიშნავ, რომ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტის შეთავსებას არ ვაპირებ - ყველას თავისი საქმე ექნება და ფედერაცია ფედერაციას დაემსგავსება"* - თქვა ლიპარტელიანმა.

**ირაკლი თავაძე**



ბუქარესტში გამგზავრების წინ ბოლო ვარჯიშზე

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ძიუდო. კიევის ტურნირი



მარიამ ჯანაშვილი კვარცხლბეკზე

# ჭაბუკები 14 მედლით – კიევიდან

კიევში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასზე დიდი წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები - როგორც ორი კვირის წინ ანთალიის ამავე რანგის შეჯიბრებაზე, ამჯერადაც 14 მედალი მოიპოვა. აქედან 2 ოქროა, 3 - ვერცხლი და 9 - ბრინჯაო. ოქროს ერთი მედალი გოგოების მონაპოვარია, დანარჩენი - ბიჭებისა. გოგოებიდან ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (57) გახდა, ბიჭებიდან კი ანალოგიურ წარმატებას **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (73) მიაღწია. ტურნირის ვიცე-ჩემპიონები **კობა მჭედლიშვილი** (60), **გიორგი გველესიანი** (90) და **ზაზა გოჯიაშვილი** (+90) გახდნენ, ბრინჯაოს მედალოსნები - **ირაკლი კუპატაძე** (50), **ბექა ნათათრალიშვილი, გიორგი კაციაშვილი** (ორივე - 55), **ბექა უდესიანი** (60), **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **გიორგი ქურდიანი, ნიკა მოველიძე** (ორივე - 81), **დავით რამაზაშვილი** (90) და **გიორგი ძებისაშვილი** (+90).



ვანო ჩურჩხელაშვილი კვარცხლბეკზე

კიევის ტურნირი ევროპულ თასებში მოწინავეთა შორის გადის - სარეიტინგოდ სხვებზე მეტ ქულებს იძლევა და ჩვენებურთა წარმატება ამიტომაცაა ორმაგად სასიამოვნო. მართალია, ჭაბუკთა ასაკი ძალიან სპეციფიკურია და თუნდაც ახალგაზრდებში გადასვლის შემდეგ ბევრი იკარგება, მაგრამ ჩვენების შემთხვევაში ისაა გასათვალისწინებელი, რომ ამას წინ უძღოდა არანაკლებ შთამბეჭდავი გამოსვლა ანთალიის ასევე ძლიერ შეჯიბრებაზე - ანუ გუნდი ფრიად სტაბილურია, რაც სამომავლოდ დიდ იმედებს იძლევა. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მწვრთნელებმა კიევში ძირითადად ანთალიური მედალოსნები წაიყვანეს, რომლებმაც იმედები იქაც გაუმართლეს - ესეც მათი სტაბილურობა! თან კიევში წლეულსაც ტრადიციულად ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა და მედლის მოპოვება არ იქნებოდა იოლი.

ვფიქრობთ, კუპატაძემ, მჭედლიშვილმა, **ზაზა მეგრელიშვილმა** (66), ჩურჩხელაშვილმა, გველესიანმა, რამაზაშვილმა, გოჯიაშვილმა და ძებისაშვილმა უკვე გაინაღდეს ევროპაზე ჭიდაობა, რადგან მათ თურქეთშიც კარგად იასპარეზეს. მეგრელიშვილს კიევში მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ ანთალიაში გაიმარჯვა. თან დაშავდა მისი მთავარი კონკურენტი **ბაჩანა ბოლქვაძე**, ვისთანაც ქვეყნის პირველობის ფინალი წააგო, მაგრამ უგებდა ანთალიურ ფინალში, როცა ბოლქვაძემ ხელი იტკინა. ამ წონაში მეგრელიშვილს ერთი ადგილი რომ განაღდებული აქვს, თუნდაც იმით ჩანს, რომ თენაძემ კიევში სხვა კანდიდატი არც წაიყვანა. ოღონდ მეგრელიშვილმა იქ თუ კარგად დაიწყო - ორი წმინდა მოგება და ერთიც ვაზარი მიითვალა, ბოლოსკენ გაუჭირდა და ნახევარფინალში გასული ზედიზედ დამარცხდა.

ჩურჩხელაშვილმა ოთხ შეხვედრაში იმარჯვა იპონით და მხოლოდ ფინალი მოიგო გაფრთხილებებით. წინასწარ შეხვედრებში მასპინძელ **მაქსიმ კრაკოვჩენკოს**, ბრიტანელ **ჯონ იაინეს**, ასევე უკრაინელებს - **მიხაილო დემიდოვს** და **გრაჩიკ ავაქიანს** მოუგო. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი დაჩაგრა ნახევარფინალში - სამივე სინჯის გდება გაუკეთა, ფინალში კი ისევ მასპინძელი **სერგეი კრივჩანი** დაჯაბნა. კრივჩანმა ნახევარფინალში კირაკოზაშვილს მოუგო, რომელმაც მანამდე ასევე ძლიერად იჭიდავა - უკრაინელ **ალექსანდრ კრიუკს**, რუს **აშხაბ ხამიდოვს** და აზერბაიჯანელ **ანარ გასიმოვს** წმინდად აჯობა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ზემოხსენებულ იაინეს ვაზარით მოუგო. ორივე ჩვენებური ქვედა წონიდანაა ამოსული. ჩურჩხელაშვილს შარშან ავადმყოფობის გამო ბევრი გაუცდა, თორემ მწვრთნელები მისგან მეტს ელოდნენ. კირაკოზაშვილი შარშან ევროპის ვიცე-ჩემპიონი 60-ში გახდა, თუმცა წლეულს ორ წონას გადაახტა. ეტყობა, მანაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა - მწვრთნელებს აინტერესებდათ, ამხელა ნახტომის შემდეგ როგორ შეეგუებოდა ახალ წონას.

ჯანაშვილმა მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა - ოთხიდან ორი შეხვედრა იპონით მოიგო, ორიც - ვაზარით. თავიდან მასპინძელ **მარტა ერმოლაევას** აჯობა წმინდად, მერე უნგრელ **ნიკოლეტა ბალარცზს** ვაზარით გასცდა, ნახევარფინალში ბრიტანელი **კარლიტე ნაირნეც** ბეჭებზე დადო, ფინალში კი თურქ **ემინ ტოკდემირს** აჯობა დიდი უპირატესობით. ჯანაშვილი ანთალიაში მესამე იყო, თუმცა იმ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებულია.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

სამთო თხილამურობა

# ბრიტანული მედლები ფრანგული კურორტიდან

ფრანგული საკურორტო ქალაქი მარიბელი (ლიონთან ახლოს) წლიდან წლამდე უამრავ სამთო მოთხილამურეს იზიდავს. აქაურ ტრასებზე FIS-ის ეგიდით უამრავი შეჯიბრება ეწყობა, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიც. შარშან 3 აპრილს აქ ახალგაზრდებში საფრანგეთის ღია პირველობაზე **ჯაბა გელაშვილმა** (თბილისი) მე-3 ადგილი დაიკავა. წლეულს ფრანგულ კურორტს ერთბაშად ხუთი ქართველი სამთო მოთხილამურე ეწვია. იუნიორთა შორის დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში მათ ოთხი დღის განმავლობაში ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.



ჯაბა გელაშვილი

30 მარტს გიგანტურ სლალომში 21 წლის გუდაურელმა **ალექსი ბენიაიძემ** (2.33,40) მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო 19 წლის ჯაბა გელაშვილი (2.34,51) მეოთხე ადგილზე გავიდა. 16 წლის **სანდრო ოგბაიძე** (გუდაური, 2.48,88) 39-ე იყო, **ნინო ნიკლაური** (გუდაური) კი სლალომში (1.48,15) მე-10 ადგილს დასჯერდა. მომდევნო დღეს ქალებმა გიგანტურ სლალომში იასპარეზეს და ნიკლაურმა (2.02,36) ხუთი საფეხურით წინ წაიწია, თუმცა გამარჯვებულ ბრიტანელ ალექსანდრა ტილს (1.58,11) საგრძნობლად ჩამორჩა. ვაჟებში ისევ ბენიაიძემ იყოჩაღა - სლალომში 1.40,34-ით ისევ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩვენებურს ჩერნოგორიელმა ოლივერ ჯენოტიმ (1.38,82) და რუმინელმა ალექსანდრუ ბარბუმ (1.39,76) აჯობეს. 22-ე იყო სანდრო ოგბაიძე (1.53,36), ხოლო ბაკურიანელი **ნოდარ ჩუბკო** (2.05,81) - ოცდამეცხრე.

ქართველი სპორტსმენებისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ბოლო ორი დღე. კვირას გიგანტური სლალომის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ალექსი ბენიაიძე (1.49,13), რომელსაც 0,16 წამით ჩამორჩა ჯაბა გელაშვილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ნოდარ ჩუბკო (1.59,73) 32-ე ადგილს დასჯერდა. სანდრო ოგბაიძემ კი პირველი დისტანცია ვერ ჩაამთავრა და შეჯიბრებას გამოეთიშა. ამ დღეს ნინო ნიკლაური ტრასაზე არ გამოსულა, სამაგიეროდ, გიგანტურ სლალომში მისი გუშინდელი ცდა იღბლიანი აღმოჩნდა - ნინომ 1.59,46-ით ვერცხლის მედალი მოიპოვა. ქართველ მოთხილამურეს ბრიტანელმა ალექსანდრა ტილმა (1.56,83) გადაასწრო. მესამე იყო, ასევე, კუნძულელი იმოგენ ტეილორი (1.59,84). ვაჟთა სლალომში უძლიერესი იყო ჯაბა გელაშვილი - 1.17,18. მეორე-მესამე ადგილები ჰოლანდიელმა დეან მოლონაარმა (1.18,31) და ხორვატმა ივან მიხალჩიჩმა (1.18,41) გაინაწილეს. მე-13 ადგილზე გავიდა ნოდარ ჩუბკო. პირველობის წინა დღის გამარჯვებულმა ბენიაიძემ და ოგბაიძემ შეჯიბრება ვერ დაასრულეს.

ქართველ მოთხილამურეთა უმრავლესობა ამჟამად გუდაურში იმყოფება; 7 აპრილამდე საქართველოს თასის გათამაშების მეხუთე-მეექვსე ეტაპებზე გაეჯიბრებიან ერთმანეთს და სამ ასაკში მთავარი პრიზის მფლობელებიც გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ლადოს გარეშე



ლადო ჩიხლაძე

გუშინ WTA-ის და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, კვლავ უკან დაიხია ჩვენმა ერთადერთმა წარმომადგენელმა მოწინავე ასეულში **ანა ტატიშვილმა**. 22 წლის ჩვენებური 804 ქულა აქვს და მე-80 ადგილზეა (-3). ახლა ანა ჩარლსტონში (აშშ) 740-ათასიან ტურნირში თამაშობს, სადაც შარშან მესამე წრემდე გააღწია და შესაბამისად, ის ქულები დასაცველი აქვს. პირველ წრეში ჩვენებური ჰოლანდიელ **არანჩა რუსს** ხვდება.

სხვები: 186 (-5) **მაკა ჩახნაშვილი** - 338 ქულა; 268 (-4) **სოფიო შაფათავა** - 206; 376 (-11) **სოფიო ქვაცაბაია** - 117; 418 (-) **ეკა გორგოძე** - 93; 423 (-46) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 89; 488 (-3) **თათია მიქაძე** - 70; 709 (+115) **ნათია გეგია** - 30; 1025 (-9) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 244 (-9) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 472 (-2) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

თვალში საცემია ნათია გეგიას 115-ადგილიანი ნახტომი და ოქსანა კალაშნიკოვას უკუსვლა. ვაჟთა რეიტინგში გამოგვაკლდა **ლადო ჩიხლაძე** ალბათ, საბოლოოდ. სამწუხაროა, რომ ამ ნიჭიერი ჩოგბურთელის კარიერა ისე არ წარიმართა, როგორც ქართული ჩოგბურთის გულშემატკივრები ელოდნენ. 26 წლის ჩიხლაძეს შარშანდელი მარტის მერე არსად უთამაშია. 2007 წელს მან რეიტინგში საუკეთესო ადგილს, 350-ე ჩოგნობას მიაღწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## იური წოწკოლაური



**ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი ნიჩბოსანი იური წოწკოლაური.**

**დაიბადა 1948 წელს დუშეთის რაიონში. წარჩინებით დაამთავრა მცხეთის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა.**

**იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ჩემპიონატების მონაწილე. ხალხთა IV სპარტაკიადის ნახევარფინალში 19 წლის ჭაბუკმა დაამარცხა უკრაინის, რუსეთისა და ლიტვის აღიარებული ლიდერები...**

**იური წოწკოლაურის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულებში.**

*საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაცია*
*მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური*

თვის ქრონიკა

### მარტი

**2-9. თავისუფალი ჭიდაობა.** ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა 5 მედალი მოიპოვეს. **დავით მარსაგიშვილი** (84 კგ) ჩემპიონი გახდა, **ბესიკ გოჩაშვილმა** (55) და **დავით ხუციშვილმა** (74) ვერცხლი მოიპოვეს, ხოლო **მალხაზ ზარქუამ** (60) და **დავით მოძმანაშვილმა** (120) - ბრინჯაო.

**10. რაგბი.** ერთა თასზე საქართველომ ბუქარესტში 19:13 მოუგო რუმინეთს.

**11. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ბელგრადში ევროპის ჩემპიონატში **მანუჩარ ცხადაიამ** (74 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**12. ფეხბურთი.** დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის ახალი ეტაპი: პლეი ოფი და პლეი აუტი.

**14. ჭიდაობა.** ოფიციალურად დადასტურდა, რომ ევროპის 2013 წლის ჩემპიონატს ჭიდაობაში თბილისი უმასპინძლებს.

**17. რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა რეკორდულად დაამარცხა რუსეთი - 46:0.

**19. ჩოგბურთი** ქლეარუოთერის (აშშ) ტურნირი. **ეკა გორგოძემ** მოიგო წყვილებში.

**22. რაგბი.** ბრიტანული ტურნეს პირველ მატჩში საქართველოს A ნაკრებმა ინგლისური „ეშერი" 25:8 დაამარცხა.

**24. ბატუტზე ხტომა.** საქართველოს ჩემპიონატი **ლუბა გოლოვინამ** მოიგო.

**24. ჩოგბურთი.** ასტანის (ყაზახეთი) საერთაშორისო ტურნირი **ოქსანა კალაშნიკოვამ** მოიგო წყვილებში.

**25. კალათბურთი.** ნბა-ში კარიერის ორი რეკორდი დაამყარა **ზაზა ფაჩულიამ** „იუტასთან" მატჩში: 54,5 წუთი ითამაშა და 20 მოხსნა მიითვალა.

**26. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის I ტურის მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ესპანელ თანატოლებთან 1:1 ითამაშა.

**27. რაგბი.** საქართველოს A ნაკრებმა უელსის პრემიერლიგის ნაკრებს 36:32 მოუგო.

**28. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის II ტურის მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისი 1:0 დაამარცხა.

**30. რაგბი.** 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ ინგლისთან 8:58 წააგო.

**30. წყალბურთი.** დაიწყო საქართველოს მორიგი ეროვნული ჩემპიონატი.

**30. სამბო.** ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ლიპარტელიანი** გახდა.

**31. ფეხბურთი.** ელიტრაუნდის ბოლო ტურში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა უკრაინა 1:0 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

**31. რაგბი.** საქართველოს A ნაკრებმა ბრიტანეთის ტურნეს ბოლო შეხვედრაც მოიგო, ჩრდილოუელსური რგგ 25:17 დაამარცხა.

**31. ფიგურული ციგურაობა.** მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიცაში **ელენე გედევანიშვილმა** X ადგილი დაიკავა.

**31. ჭადრაკი.** პლოვდივში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე **ბაადურ ჯობავამ** (23-ე ადგილი) ქართველთაგან ერთადერთმა მოიპოვა მსოფლიოს თასის საგზური.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

კალათბურთი

დაბრუნება

# ახალი სიმაღლისკენ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცინცაძის პირველი მატჩი 7 თვის შემდეგ

## დოსიე

### გიორგი ცინცაძე

ოლიმპი

**დაიბადა:** 07.02.1986
**სიმაღლე:** 192 სმ
**ამპლუა:** უკანახაზელი

კარიერა

| | |
|---|---|
| 2001-02 | აკადემია (თბილისი) |
| 2003 | ბასკო (ბათუმი) |
| 2003-04 | ცსკა (რუსეთი) |
| 2004 | სამარა (რუსეთი) |
| 2005 | ურალ გრეიტი (რუსეთი) |
| 2005 | დინამო (თბილისი) |
| 2005 | დინამო (რუსეთი) |
| 2006-09 | ტარტუ როკი (ესტონეთი) |
| 2009 | ტრიკალა (საბერძნეთი) |
| 2009-10 | დონეცკი (უკრაინა) |
| 2010 | აგრარული (თბილისი) |
| 2010 | სოპოტი (პოლონეთი) |
| 2010-11 | ტარტუ როკი (ესტონეთი) |
| 2012 | ოლიმპი (თბილისი) |

მიღწევები

2002-03 საქართველოს პირველობის საუკეთესო კალათბურთელი (აკადემია/ბასკო)
2003-04 რუსეთის ჩემპიონი (ცსკა)
2005-06 უეფას თასის მფლობელი (დინამო, მოსკოვი)
2006-07, 2007-08 ესტონეთის ჩემპიონი (ტარტუ)
2008 ევროჩელენჯის საუკეთესო ევროპელი
2009 ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი
2010 საქართველოს თასის მფლობელი (აგრარული)
2010 ბალტიის თასის გამარჯვებული (ტარტუ)
2010 ესტონეთის თასის მფლობელი (ტარტუ)

სუპერლიგის მე-20 ტურის მიმოხილვაში საქართველოს ნაკრების წევრის, **გიორგი ცინცაძის** შესახებ დავწერეთ. მას 8 სექტემბერს, მაკედონიასთან მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესი გაუწყდა, ოპერაცია დასჭირდა და აღდგენითმა პროცესმა 7 თვეს გასტანა. გიორგიმ პირველი მატჩი შაბათს „ოლიმპის" შემადგენლობაში „დინამოს" წინააღმდეგ ჩაატარა, მოედანზე 24 წუთი დაჰყო და ორმაგ დუბლამდე ერთი პასი დააკლდა: 11 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა.

*- იმასთან შედარებით, რასაც მოველოდით, იოლი მატჩი გამოდგა. თუმცა ჩვენს სასარგებლოდ დიდი სხვაობა იმიტომაც დაფიქსირდა, რომ 40 წუთის განმავლობაში ბოლომდე ვიბრძოლეთ, კონცენტრაცია არ დაგვიკარგავს.*

25 წლის გამთამაშებელი საკუთარ თამაშსაც შეეხო:

*- თავიდან ცოტა ვნერვიულობდი, შვიდთვიანი შესვენების შემდეგ ხომ პირველ მატჩს ვატარებდი. თუმცა, მალე ყოველგვარი დაძაბულობა მომეხსნა და თავისუფლადაც ავთამაშდი.*

ლოგიკურია, იგი ოპტიმალურ ფორმაში ვერ იქნება. საინტერესოა, კონდიციების სრულად აღსადგენად დაახლოებით რა დრო დასჭირდება.

*- შეიძლება ითქვას, ფიზიკურად 90 პროცენტით ვარ მზად. თუმცა ლოგიკურია, რომ სათამაშო გამოცდილება მაკლია. ჯერ მხოლოდ პირველი შეხვედრა ჩავატარე, ნელ-ნელა სათამაშო პრაქტიკაც შემემატება და ფორმაშიც შევალ.*

ცინცაძე საქართველოს ჩემპიონატში 2002 წელს გამოჩნდა, 2003-ში „ბათუმში" გადავიდა და ფინალური სერიაც დამაჯერებლად ითამაშა. სწორედ 2003-ში ჩაეყარა საფუძველი ჩვენს გამოკითხვას და ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად 17 წლის ცინცაძე დასახელდა (მინიმალური სხვაობით აჯობა „დინამოს" ამჟამინდელ თავკაც **ირაკლი ხოშტარიას**). მომდევნო სეზონი გიორგიმ მოსკოვის ცსკა-ში დაიწყო. 2005 წელს საქართველოში რამდენიმე მატჩით დაბრუნდა, მაგრამ თბილისის „დინამოდან" მოსკოვის „დინამოში" ოქტომბერში გადავიდა. 2010 წელს საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი კიდევ ერთხელ გამოჩნდა საქართველოში - აგრარული უნივერსიტეტის გუნდთან ერთად საქართველოს თასი მოიგო და ისევ უცხოეთს მიაშურა (კარიერა პოლონეთის „სოპოტში" განაგრძო). საინტერესოა, გიორგი ცინცაძე რა სხვაობას ხედავს ძველსა და წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატებს შორის...

*- აქ დიდი ხნის წინათ ვთამაშობდი. მაშინ ბევრი ერთნაირი ძალის გუნდი იყო და თამაშებიც უფრო თანაბრად მიმდინარეობდა. თუმცა წლეულს სუპერლიგაში არაერთი ძლიერი ლეგიონერია და შედარებით კარგი პირველობაც გვაქვს, შეიძლება ითქვას - ბოლო წლებში საუკეთესო.*



გიორგი ტარტუ როკის მაისურით ევროჩელენჯის ნახევარფინალში

ქართველი ბელგიაში

# ჩატენვა, როგორც უკრაინასთან



4, 13, 14 წუთი... 0, 6, 8 ქულა... ასე იზრდება 20 წლის ქართველი თავდამსხმელის, **თორნიკე შენგელიას** მონაგარი ბოლო მატჩებში. სამთვიანი შესვენების შემდეგ (ტერფის ძვალი ჰქონდა გაბზარული) თორნიკემ სწორედ სამი თამაში ჩაატარა და ფორმაშიც ნელ-ნელა შედის.

ბოლო ტურში შენგელიას „შარლერუამ" „გენტს" უმასპინძლა და საკადრისადაც გაუსწორდა - 68:50. თუმცა მატჩის დასაწყისი სტუმრებისა იყო: პირველი მეოთხედი „გენტმა" 16:10 მოიგო, რის შემდეგაც შარლერუელებმა მომდევნო 20 წუთში 43:20 იმარჯვეს...

მასპინძელთაგან 10 ქულას მხოლოდ **ანდრე რიდიკი** (15) ასცდა. თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო, 14 წუთი ითამაშა და 8 ქულას (7-დან 4 ორქულიანი) 4 მოხსნა მიამატა. მან ორით გააუმჯობესა წინა ტურში „აალსტართან" ნაჩვენები შედეგი. სხვათა შორის, აალსტარელებთან მატჩის საუკეთესო ეპიზოდის მთავარი გმირი ქართველი ახალგაზრდა გახდა: ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის შორიდან ახტა, ჰაერში დაეუფლა და ეფექტურად ჩატენა. დაახლოებით ისეთი მომენტი იყო, როგორიც ევრობასკეტზე უკრაინასთან მატჩში. სხვათა შორის, ეს ჩატენვა უკრაინულმა გამოცემა „ისპორტმა" ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ზემოდან გდებად აღიარა.

დავბრუნდეთ ბელგიაში, სადაც სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში დიდი სიმჭიდროვეა. „შარლერუას" 17 მოგება აქვს და პირველ ადგილზეა, ხოლო 16-16 გამარჯვების მქონე „ანტვერპენი" და „ოოსტენდე" მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. მომდევნო ტურში (4 აპრილს) ეს ორი გუნდი ერთმანეთს ეთამაშება, შარლერუელები კი ისვენებენ. თორნიკეს გუნდი უახლოეს შეხვედრას 14 აპრილს ჩაატარებს.

ლეგიონერი





ევროპული ბიბლიოთეკა

# ქართველთა წინამძღოლობით

იტალიაში მოთამაშე ქართველებისთვის სერია A-ს მორიგი ტური ნაყოფიერი გამოდგა. გამარჯვებები ჩაიწერეს **მანუჩარ მარკოიშვილმა, გიორგი შერმადინმა** და **ვიქტორ სანიკიძემ**. საკუთარი გუნდების წარმატებაში სამივემ დიდი წვლილი შეიტანა.

რაც მთავარია, „ქართული" კლუბები მაღალ პოზიციებზე არიან. მანუსა და შერმადინის „კანტუ" სატურნირო ცხრილში მეორეა (16 გამარჯვება, 9 მარცხი), ერთი მოგებით უსწრებს სანიკიძის „ვირტუსსა" და **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარის", რომლებსაც კიდევ სამ გუნდთან ერთად 15-15 გამარჯვება აქვთ და მესამე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებენ.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 7 ტურია დარჩენილი და პოზიციების გასამყარებლად ქართველთა თანაგუნდელებს ძალების მაქსიმალურად მობილიზება სჭირდებათ. ცხრილში სიმჭიდროვიდან გამომდინარე, თითო მოგებას ოქროს ფასი დაედო.

## ვიქტორი და 6:0

„ვირტუსმა" მე-13 ადგილზე მყოფ „ბიელას" უმასპინძლა და დამაჯერებლად დაამარცხა. გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ორმა კალათბურთელმა შეიტანა, რაც გაზეთ „ლა რეპუბლიკას" სათაურიდანაც ჩანს: „სანიკიძემ და პოეტამ „ბიელას" შანსი არ დაუტოვეს."

მართლაც, ქართველმა 12 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა, ხოლო პოეტამ - 15 ქულა და 7 პასი. ბოლონიელებმა შეხვედრა დამაჯერებლად დაიწყეს - 20:9, თუმცა მესამე პერიოდში მოისუსტეს და 29-ე წუთისთვის ბიელელებმა ანგარიში გაათანაბრეს - 47:47. სანიკიძის ზუსტი ტყორცნის წყალობით გადამწყვეტი რაუნდის წინ მაინც „ვირტუსი" დაწინაურდა - 49:47. ვიქტორმა ეს არ იკმარა, მეოთხე პერიოდი ზედიზედ მოპოვებული ოთხი ქულით გახსნა და - 53:47. „ბიელას" თამაშის შემოსატრიალებლად ძალა აღარ აღმოაჩნდა - 62:53 „ვირტუსის" სასარგებლოდ.

## აქაც მეოთხის დასაწყისში...

„კანტუ" ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „ტერამოს" ენვია. ფავორიტი ლომბარდიული სტუმართა გუნდი იყო, თუმცა როგორც ყველა მეტოქეს, „ტერამომ" „კანტუსაც" დიდი წინააღმდეგობა გაუწია...

ამ მატჩის მესამე პერიოდის ბოლო აკორდი ქართული იყო - მარკოიშვილის საჯარიმოების წყალობით „კანტუ" 49:45 დაწინაურდა. მეოთხე ათწუთეულის დასაწყისი ჩვენიანთა აქტიურობით აღინიშნა და „ტერამოც" გატყდა: ხუთწუთიან მონაკვეთში მანუჩარის ხუთ ქულას შერმადინმა ორი მიამატა და სირენამდე 5 წუთით ადრე „კანტუ" 63:55 დაწინაურდა. საბოლოოდ 74:69 სტუმართა სასარგებლოდ.

მარკოიშვილმა 27 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მან 6-დან 3 ორქულიანი და 5-დან 2 სამიანი ჩააგდო, რასაც ერთი საჯარიმო მიამატა. შერმადინის ანგარიშზე 23 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა და 2 დაფარება იყო. ორქულიანები მანაც 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა - 4 ჩააგდო.

■ ■ ■

„ვარეზესთან" სტუმრად გამარჯვება ძალიან სჭირდებოდა „დინამო სასარის", მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია - 79:85 ვარეზელთა სასარგებლოდ. დინამოში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების ყოფილმა ლეგიონერმა **ქუინტონ ჰოსლიმ** მატჩი 9 ქულით დაასრულა, ხოლო მეტრეველმა მხოლოდ 2 წუთი ითამაშა და 1 ფოლის მიღება მოასწრო.

# ცქიტიშვილის ლიბანური ფინალი

**ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** დასავლეთ აზიის საკალათბურთო ლიგის ფინალური სერიის პირველი მატჩი ჩაატარა. მისი „მაჰრამი" ლიბანს ესტუმრა და ბეირუთის „ალ რიადთან" 87:91 დათმო.

ქართველმა კალათბურთელმა 38 წუთში 14-დან 8 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, ორივე საჯარიმო ჩააგდო და 21 ქულას 7 მოხსნა, 3 პასი და 3 დაფარება ჩაიწერა, პასივში მხოლოდ ერთი შეცდომა ჰქონდა.

„ალ რიადის" გამარჯვება ამერიკელი ლეგიონერის **დევარიკ სპენსერის** დამსახურებაა, რომელმაც 39 ქულა მიითვალა.

დასავლეთ აზიის თასის ფინალური სერიის მეორე მატჩი დღეს, ისევ ბეირუთში გაიმართება. მომდევნო სამივე შეხვედრა კი, საჭიროების შემთხვევაში, ირანში ჩატარდება. სერია სამ მოგებამდეა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ზიბზიბაძის პირველი ელიტური ლელო



თედო ზიბზიბაძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. განვლილი, 22-ე ტურის შვიდი მატჩიდან ექვსში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. ერთადერთი, ვინც სტუმრად მეტოქეს სძლია, გათამაშების ლიდერი **ჯაბა ბრეგვაძისა** და **აქვსენტი გიორგაძის** „ტულუზია". აღსანიშნავია, რომ მატჩების შედეგებმა დადებითად იმოქმედა ქართველ მორაგბეთა თითქმის ყველა გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე.

„ტულუზი" რომ ლიდერია, უკვე ვახსენეთ. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ეთამაშებოდა ფრანგული რაგბის მეორე გრანდს, პარიზულ „სტად ფრანსეს" და, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, მასპინძლები 22:18 დაამარცხა.

„ტულუზს" ლიდერობის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ **გი ნოვემ** და კომპანიამ ყველაფერი იღონეს, რათა ქვეყნის ჩემპიონს ზედიზედ მეორედ არ წაეგო. ბრეგვაძე, ისევე როგორც **ვილიამ სერვა**, რომლის დუბლიორადაც ის მიიჩნევა, განაცხადში არ იყვნენ, გიორგაძე ტრავმირებულია.

უმძიმესი ბრძოლა გადახდა თავს სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან" ტულუზელთა უახლოეს მდევარს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს". „ვულკანები" მთელი მატჩის განმავლობაში ანგარიშით წინ იყვნენ, 38-ე წუთისთვის რვა ქულის სხვაობით 34:6 იგებდნენ, თუმცა ბოლოს მაინც დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით - 14:15. ბასკურ გუნდს ყველა, თხუთმეტივე ქულა ქართული წარმოშობის ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა** მოუტანა (ხუთი საჯარიმო). ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო.

„კლერმონმა" რვა ქულაზე ნაკლები სხვაობით წაგების გამო ერთი პრემიალური ქულა მიიღო და ახლა „ტულუზს" ოთხი ქულით ჩამორჩება.

63 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი", რომელმაც სტუმრად წააგო **ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივთან" - 9:14. ტულონელებს ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბინობამაც ვერ უშველა. მან სულ სამი საჯარიმოს გატანა შეძლო. მეტიც, „ბრივის" ქებულ დაცვას სტუმრები 38-ე წუთამდე ვერაფერს უხერხებდნენ და მშრალი ანგარიშით 0:8 აგებდნენ.

ამ გამარჯვებით „ბრივმა" საგრძნობლად გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა და პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსიც კი გაუჩნდა. ჩვენებურთა ეს გუნდი 42 ქულით მე-9 ადგილზეა.

ხინჩაგიშვილი 57-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილმა მოედანი ოთხი წუთის შემდეგ დატოვა, კაკოვინმა 71 წუთი ითამაშა, ნატრიაშვილი განაცხადში არ იყო.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ" შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი" - 44:18. მასპინძლებს მეტოქის წინააღმდეგობის გატეხა საწყის 45 წუთში ძალიან გაუჭირდათ. ამ დროისთვის მონპელიელები მხოლოდ მინიმალური სხვაობით იგებდნენ - 16:15.

ბოლო ოცი წუთი გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში. „მონპელიემ" მეტოქეს სამი ლელო გაუტანა, რაზეც „აჟენმა" მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხა. მასპინძელთა გუნდში ყველაზე შედეგიანი არგენტინელი გარემარბი **მარტინ ბუსტოს მოიანო** იყო, რომელმაც გუნდს 24 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ხუთი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, შეყლაშვილი 56-ე წუთზე შეცვალეს, ჟღენტმა მოედანი 13 წუთის შემდეგ დატოვა, ნარიაშვილი თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო, შველიძე განაცხადში არ იყო. „მონპელიეს" ახლა 57 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა. მას ორი ქულით ჩამორჩება **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც სტუმრად წააგო პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „მეტრო რასინგთან" - 16:27. კასტრელები მთელი მატჩის განმავლობაში უშანსოდ გამოიყურებოდნენ და პრემიალური ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს. ფეიქრიშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო.

დივიზიონში დარჩენის თეორიულ შანსს ისევ ინარჩუნებს **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი", რომელმაც შინ დაამარცხა „ბორდო" - 24:13. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**I დივიზიონი**

**XXII ტური**

მეტრო რასინგი-კასტრი 27:16, ბიარიცი-კლერმონი 15:14, მონპელიე-აჟენი 44:18, პერპინიანი-ბაიონი 47:9, ლიონი-ბორდო 24:13, ბრივი-ტულონი 14:9, სტად ფრანსე-ტულუზი 18:22.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 78 ქულა, 2. კლერმონი - 74, 3. ტულონი - 63, 4. მონპელიე - 57, 5. კასტრი - 55, 6. მეტრო რასინგი - 54, 7. სტად ფრანსე - 53, 8. აჟენი - 44, 9. ბრივი - 42, 10. ბიარიცი - 42, 11. ბორდო - 41, 12. პერპინიანი - 40, 13. ბაიონი - 34, 14. ლიონი - 30.

**XXIII ტური**

პერპინიანი-ტულუზი, მეტრო რასინგი-ბრივი, მონპელიე-ლიონი, კლერმონი-სტად ფრანსე, აჟენი-ტულონი, ბაიონი-ბიარიცი, კასტრი-ბორდო.

მეორე დივიზონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე დამაჯერებლად ლიდერობს **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი", რომელმაც შინ დაამარცხა „ნარბონი" - 33:26. „ალპელებს" ახლა 91 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ „დაქსს" 17 ქულით უსწრებენ. ჩვენებურის გუნდს ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად დარჩენილ ხუთ მატჩში ორი თამაშის მოგება ყოფნის. მენაბდიშვილი საქართველოს A ნაკრებთან ერთად ბრიტანულ ტურნეში იმყოფებოდა.

აღსანიშნავია, რომ მეორე დივიზიონში, 25-ე ტურში ყველა მატჩში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. აუტსაიდერების დაპირისპირებაში **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ" შინ დაამარცხა ლანგედოკური „ბეზიე" - 33:26. ზიბზიბაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 57-ე წუთზე ლელო გაიტანა. ერთ წუთში არბიტრმა მოედნიდან დადუბაშვილი გაასინბინა, ქართველი შერკინების ბურჯი 75-ე წუთზე შეცვალეს, მარგველაშვილი კი პირველ ტაიმში დაშავდა და სათადარიგოთა შორის 32-ე წუთზე გადაინაცვლა.

**ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" შინ მოუგო პლეი ოფიში მოხვედრისთვის მებრძოლ „მონ დე მარსანს" - 26:12. დათუნაშვილმა სრულად ითამაშა, ნაცარაშვილი მოედანზე 41-ე წუთიდან გამოჩნდა, ასეიშვილი კი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ დაამარცხა „ბურგუენი" - 23:16. მარგველაშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, მირცხულავამ საქართველოს A ნაკრებში ითამაშა.

**II დივიზიონი**

**XXV ტური**

ექსი-ალბი 35:27, ტარბი-ბურგენი 23:16, ორიაკი-მონ დე მარსანი 26:12, გრენობლი-ნარბონი 32:26, დაქსი-ოიონაქსი 38:14, კარკასონი-პო 34:16, ლა როშელი-ოში 34:25, პერიგო-ბეზიე 33:26.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გრენობნლი - 91 ქულა, 2. დაქსი - 74, 3. ლა როშელი - 72, 4. პო - 68, 5. მონ დე მარსანი - 66, 6. კარკასონი - 64, 7. ალბი - 61, 8. ექსი - 57, 9. ოიონაქსი - 55, 10. ოში - 55, 11. ორიაკი - 52, 12. ტარბი - 52, 13. ბურგუენი - 49, 14. ნარბონი - 46, 15. პერიგო - 35, 16. ბეზიე - 33.

**XXVI ტური**

პო-ორიაკი, ექსი-კარკასონი, ბეზიე-მონ დე მარსანი, ოში-ნარბონი, ალბი-ოიონაქსი, ლა როშელი-ტარბი, ბურგუენი-გრენობლი, დაქსი-პერიგო.



(შუაში) ბექა შეყლაშვილი და გიორგი ჟღენტი

ევროპის ჩემპიონატი. U 18



# მორიგი მეტოქე სკუადრა აძურაა

**ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, დღეს 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდება.**

შეგახსენებთ, რომ „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეოთხედფინალში ტურნირის ფავორიტთან, ინგლისის ნაკრებთან წააგეს - 8:58. ჩვენი მეტოქე, იტალიელი 18-წლამდელები კი ვერას გახდნენ მეორე ფავორიტთან, უელსის ნაკრებთან - 8:41.

საქართველოსა და იტალიის 18-წლამდელ ნაკრებებს შორის გამარჯვებული მეხუთე ადგილისთვის მატჩში შოტლანიდასა და პორტუგალიას შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. დამარცხებული კი ამავე წყვილში ხელმოცარულს მე-7 ადგილისთვის ეთამაშება.

იტალიელებთან მატჩი მადრიდში, უნივერსიტეტის სტადიონზე თბილისის დროით 14 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), მიხეილ ზურიკაშვილი (ხარები), ლექსო ცისკარიშვილი (არმია), ზურაბ ხარებავა (რაინდები), გიორგი მარგველანი (ივერია).

მეორე ხაზი: შოთა თევზაძე, მიხეილ მასხარაშვილი (ორივე-ჯიქები), შალვა შაშიაშვილი (აია).

მესამე ხაზი: საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე (ორივე-აკადემია), ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონისე მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი).

№9: რევაზ ბროძელი (არმაზი), ლაშა ნადირაძე (ჯიქები).

№10: იოსებ ტუკვაძე (ყოჩები), ილია მელაძე (აკადემია), რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).

№12-13: ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები).

№11-14: დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე (აია).

№15: გიორგი აფციაური (არმია).

**3 აპრილი**

**ნახევარფინალი**

**I ადგილისთვის**

ინგლისი-უელსი

ირლანდია-საფრანგეთი

**V ადგილისთვის**

საქართველო-იტალია

პორტუგალია-შოტლანდია

**7 აპრილი**

**ფინალი**

ზე რაგბი

# სტორმერზი ისევ დამანგრევლად უზერავს

ზერაგბის გათამაშების მეექვსე ტურის შემდეგ დაუმარცხებელი ისევ ერთი გუნდია, C ჯგუფის ლიდერი კეიპთაუნის „სტორმერზია". კვალავ წარუმატებლად ითამაშა ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ბრისბენოს „რედსმა", რომელმაც სტუმრად წააგო A ჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, პერთის „ფორსთან" - 19:45. მასპინძლებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, საპასუხოდ სამი მიიღეს, მაგრამ ამასთან ერთად შესანიშნავად გაისარჯა ფულბეკი დევიდ ჰერვი, რომელმაც ოთხი გარდასხვა და ამდენივე საჯარიმო გაიტანა.

ამავე ჯგუფის ლიდერი, კანბერას „ბრამბიზი" შინ დამარცხდა დურბანის „ნატალ შარქსთან" - 26:29. მატჩში ორი ლელო სამხრეთაფრიკული გუნდის ფულბეკმა რაიან ვილჯოენმა მიითვალა, მშვენივრად გაისარჯა მგეზავის პოზიციაზე ფრანგი ფრედერიკ მიშალაკი, მის ანგარიშზე სამი გარდასახვა და ერთი საჯარიმოა.

**A ჯგუფი**

ბრამბიზი-ნატალ შარქსი 26:29, ფორსი-რედსი 45:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 18 ქულა, 2. ვორათაზი - 13, 3. რედსი - 13, 4. ფორსი - 12, 5. მელბურნ რებლზი - 10.

B ჯგუფში ორხელისუფლიანობა დამყარდა. ჰემილთონის „ჩიფსმა" შინ დაამარცხა A ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი სიდნეის „ვორათაზი" - 30:13. დანიდინის „ჰაილენდერზმა" კი „მელბურნ რებლზს" შვიდი ლელო გაუტანა და 43:12 მოუგო. სამი ლელო მესამეხაზელის, **ადამ ტომსონის** ანგარიშზეა, ორიც ფულბეკმა **ბენ სმიტმა** მიითვალა.

**B ჯგუფი**

ჰაილენდერზი-მელბურნ რებლზი 43:12, ჰარიკენზი-ჩიტაზი 38:47, ჩიფსი-ვორათაზი 30:13.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 22 ქულა, 2. ჰაილენდერზი - 22, 3. კრუსეიდერზი - 18, 4. ჰარიკენზი - 16, 5. ბლუზი - 10.

C ჯგუფის ლიდერმა, ჯერაც დაუმარცხებელმა კეიპთაუნის „სტორმერზმა" შინ დაამარცხა ტურნირის ფავორიტი და შესაბამისად მთავარი კონკურენტი პრეტორიის „ბლუ ბულზი" - 20:17. ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა" კი სტუმრად მოუგო იოჰანესბურგის „ლაიონზს" - 23:13.

**C ჯგუფი**

ლაიონზი-კრუსეიდერზი 13:23, სტორმერზი-ნლუ ბულზი 20:17.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 24 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 20, 3. ნატალ შაქსი - 17, 4. ჩიტაზი - 12, 5. ლაიონზი - 10.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინალის რეპეტიცია არ შედგა


უესტბრუკი და დურანტი

"ოკლაჰომასა" და "ჩიკაგოს" მატჩისგან ბევრს ელოდნენ. პრესაში ამ დაპირისპირებას სახელიც კი მოუძებნეს – "NBA-ის ფინალის რეპეტიცია". ამგვარი შეფასება შემთხვევითი არ არის – ერთმანეთს ხვდებოდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიდერები. მართალია, "ბულზი" უკვე ათი მატჩია თავისი ლიდერის **დერიკ როუზის** გარეშე თამაშობს, მაგრამ უფრო ხშირად იგებს, ვიდრე მარცხდება. მაგალითად, ამ შემადგენლობით მათ "მაიამი" დაამარცხეს.

მაგრამ "ოკლაჰომასთან" მატჩში ჩიკაგოელებს არანაირი კოზირი არ აღმოაჩნდათ. ლიგის მოქმედი MVP-ის გარეშე "ბულზი" უინიციატივო და ნაკლებადმოძრავი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. და, რაც მთავარია, სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს **უესტბრუკისა** და **დურანტის** სნაიპერულ დუეტს (მათ ჯამში 53 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი და 5 ჩაჭრა დააგროვეს).

უესტბრუკმა "ჩიკაგოს" ყველა "დაბალი" დაჩაგრა და თითქმის იდეალურად ითამაშა. ასე რომ, დღის მთავარმა მატჩმა, "თანდერის" გულშემატკივრების გარდა, ყველას იმედგაცრუება მოუტანა. *"ისინი ხისტად და ჭკვიანად თამაშობდნენ, ბრწყინვალე დაცვა ჰყავდათ, ბურთს კი იდეალურად ათამაშებდნენ. დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო"*, - განაცხადა "ჩიკაგოს" დამრიგებელმა **ტომ ტიბოდომ**.

თუ შეხვედრის პირველ ტაიმში კიდევ რჩებოდა ბრძოლის ილუზია, დიდი შესვენების შემდეგ **სკოტ ბრუქსის** შეგირდები 13:0 გაიქცნენ, მეოთხედი კი 29-ქულიანი უპირატესობით დაასრულეს - 80:51. ერთადერთი, რაც "ჩიკაგოს" კალათბურთელებმა მოახერხეს, სეზონში ყველა დიდ ანგარიშით მარცხს გაექცნენ. ეს რეზერვისტებმა გააკეთეს, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

■ ■ ■

არანაკლებ განსაცვიფრებელი აღმოჩნდა "მაიამის" ვიზიტი მასაჩუსეტსში. "ბოსტონმა" მოულოდნელად მიწასთან გაასწორა ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი. მასპინძლებმა ფაქტობრივად, მხოლოდ სასტარტო ხუთეულის წყალობით მოიგეს, თანაც იქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გუშინდელმა რეზერვისტებმა – **ბრედლიმ** (13 ქულა) და **ბასმა** (10-დან 10 საჯარიმო და 10 მოხსნა). საუკეთესო კი **რონდო** იყო, რომელმაც სამმაგი დუბლი შეასრულა – 16 ქულა, 14 პასი და 11 მოხსნა. ეს სეზონში მეხუთე ტრიპლ-დაბლია რაჟონისთვის – ბოლო 25 წლის განმავლობაში ერთ რეგულარულში უფრო მეტი სამმაგი დუბლი "ბოსტონში" **ლარი ბერდს** ჰქონდა 1989-90 წლების სეზონში (10).

მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი, რომელიც "ჰიტმა" 12:31 წააგო. ამის მიზეზი გახდა 14 არაზუსტი ტყორცნა და 5 შეცდომა "მაიამის" შესრულებით. ამას ემატება საჯარიმოებისა (17-დან 7) და სამქულიანების (16-დან 3) რეალიზაციის საშინელი პროცენტი. ასე რომ, 29-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილების შანსი ჩემპიონატის ნომერ პირველ პრეტენდენტს არ ჰქონია. თუმცა ფლორიდელების ჩავარდნა არ უნდა გაგვიკვირდეს – ბოლო 10 გასვლით შეხვედრაში "დიდი ტრიო" არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება – **ჯეიმსი, უეიდი** და **ბოში** ერთად 30.1 ქულას აგროვებს და თამაშიდან 37-პროცენტიანი სიზუსტით ისვრის. სეზონის პირველ ნახევარში ანალოგიური მაჩვენებლები 41.1 ქულასა და 44.3 პროცენტს უდრიდა. ლებრონის თამაში ცალკე თემაა – მეორედ კარიერაში "მეფეს" არც ერთი შედეგიანი პასი არ ჰქონია - პირველად ასეთი რამ 2009 წლის 26 თებერვალს მოხდა.

■ ■ ■

"ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** წინა დღეს "ნიუ ორლეანთან" მატჩში 20-დან მხოლოდ სამი ბურთის ჩაგდების შემდეგ განაცხადა, რომ გადაიღალა და ამიტომაც ითამაშა ასე საშინლად. *"ეს არაფერს ნიშნავს, დავისვენებ და ყველაფერი კარგად იქნება"*, - განაცხადა "შავმა მამბამ".

კობის ერთი დღე ეყო დასასვენებლად და "გოლდენ სტეიტთან" მორიგი სპექტაკლი შემოგვთავაზა. "მეომრების" კალათში" მან 40 ქულა (28-დან 16 ზუსტი სროლა) ჩააგდო და თავის გუნდს გაამარჯვებინა. თუმცა ეს გამარჯვება დამაჯერებელი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ **გასოლმა** 26 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი და 3 დაფარება მიითვალა, ხოლო **სეშენსს** 23 ქულა და 9 პასი ჰქონდა. **ჯეფერსონისა** და **რობინსონის** 10-დან 9 სამქულიანით ინტრიგა თითქმის მთელი მატჩი შენარჩუნებული იყო, მაგრამ "ლეიკერსმა" მაინც ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა შეხვედრა.

**ოკლაჰომა–ჩიკაგო 92:78**

**27:20, 22:19, 31:12, 12:27**

ო: უესტბრუკი (27+5 პასი+4 ჩაჭრა), დურანტი (26+10 მოხსნა), ჰარდენი (11).

ჩ: ლუკასი (19), კორვერი (14), გიბსონი (10+11 მოხსნა), ბუზერი (8+10 მოხსნა).

**ორლანდო–დენვერი 101:104**

**19:27, 23:21, 32:28, 27:28**

ო: ნელსონი (27+5 პასი), ანდერსონი (20+9 მოხსნა), დევისი (18+16 მოხსნა), რედიკი (15), თურქოგლუ (11+6 მოხსნა).

დ: ლოუსონი (25+9 პასი+5 მოხსნა), აფლალო (22+5 მოხსნა), ჰარინგტონი (18), მილერი (15+5 პასი).

**ჰიუსტონი–ინდიანა 102:104 (ო)**

**23:27, 19:17, 31:19, 20:30, 9:11**

ჰ: დრაგიჩი (22+6 მოხსნა+6 პასი), ლი (20), პარსონსი (14), სკოლა (13+5 მოხსნა), კემბი (10+9 მოხსნა+4 ჩაჭრა+4 დაფარება).

ი: გრეინჯერი (32+7 მოხსნა), ჰიბერტი (15+9 მოხსნა+5 დაფარება), უესტი (12+6 მოხსნა), კოლისონი (11+7 პასი+5 მოხსნა), ბარბოზა (10), ჰენსბრო (9+10 მოხსნა).

**პორტლენდი–მინესოტა 119:106**

**27:27, 30:23, 31:30, 31:26**

პ: ოლდრიჯი (26+8 მოხსნა), ბატუმი (24+5 მოხსნა), მეტუზი (18), ჰიქსონი (15+9 მოხსნა), კროუფორდი (12), ფელტონი (10+11 პასი+8 მოხსნა).

მ: ლავი (26+9 მოხსნა), უილიამსი (21+6 მოხსნა), რიდნური (21+6 პასი+3 ჩაჭრა), ელინგტონი (12).

**ბოსტონი–მაიამი 91:72**

**29:19, 20:25, 31:12, 11:16**

ბ: პირსი (23+7 მოხსნა), ბასი (16+10 მოხსნა), რონდო (16+14 პასი+11 მოხსნა), ბრედლი (13), გარნეტი (10+8 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (23), უედი (15+8 მოხსნა+3 დაფარება), ბატიე (11), ბოში (4+11 მოხსნა).

**ტორონტო–ვაშინგტონი 99:92**

**21:22, 24:21, 25:19, 28:31**

ტ: ბარნიანი (18+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), დეროზანი (15+5 მოხსნა), კალდერონი (15+8 პასი), ა. ჯონსონი (10+6 მოხსნა).

ვ: კროუფორდი (18), სერაფინი (16+7 მოხსნა), სინგლტონი (15+8 მოხსნა), უოლი (13+11 პასი), მეისონი (12), ვესელი (10).

**ფინიქსი–ნიუ ორლეანი 92:75**

**26:21, 24:20, 25:17, 17:17**

ფ: დადლი (21+7 მოხსნა), ბრაუნი (16), ფრაი (14+11 მოხსნა), გორტატი (13+7 მოხსნა), ლოპესი (10), ნეში (4+14 პასი).

ნ-ო: სმიტი (14), ბელინელი (14+7 მოხსნა), ჯეკი (13+5 პასი).

**ლეიკერსი–გ. სტეიტი 120:112**

**27:26, 30:28, 32:22, 31:36**

ლ: ბრაიანტი (40+5 პასი), გასოლი (26+11 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), სეშენსი (23+9 პასი), მერფი (8+11 მოხსნა).

გ-ს: ლი (27+7 პასი+6 მოხსნა), ტომპსონი (18), რობინსონი (17+7 პასი), ჯეფერსონი (16), რაიტი (14), ჯენკინსი (10+6 პასი).

## ჩოგბურთი. რეიტინგები

# სერენა ისევ ათეულში

მაიამის სუპერტურნირის შემდეგ ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ATP-ის კლასიფიკაციაში მთავარი სიახლე ის არის, რომ ფლორიდაში ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლის წყალობით ხუთი საფეხურით წაიწია წინ არგენტინელმა **ხუან მონაკომ**. რეიტინგის ახალი ვერსიის თანახმად, მონაკო მე-16 ადგილზეა. ასე რომ, სამხრეთამერიკელი 2008 წლის შემდეგ პირველად დაბრუნდა ტოპ-ოცეულში.

ოთხი პოზიცია დაკარგა და საუკეთესო ოცეული დატოვა უკრაინელმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა**. ამერიკელმა მარდი ფიშმა ადგილი გაუცვალა სერბ იანკო ტიპსარევიჩს, **ხუან მარტინ დელ პოტრო** კი ტოპ-ათეულში დაბრუნდა – იქიდან ამერიკელი **ჯონ ისნერი** გამოაგდო.

რაც შეეხება WTA-ის რეიტინგს, მთავარი ცვლილება გახდა ტოპ-ათეულში ამერიკელი **სერენა უილიამსის** დაბრუნება, რომელმაც გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩს** გაუსწრო. ასევე ორი საფეხურით ავიდნენ მაღლა სერბი **ანა ივანოვიჩი** და გერმანელი **იულია გორგესი**.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 670 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 9 935 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 035 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 040 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 700 |
| 6(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 670 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 725 |
| 8(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 820 |
| 9(8). მერდი ფიში (აშშ) | 2 730 |
| 10(11). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 660 |
| 11(10). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 630 |
| 12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 250 |
| 13(13). ჟილ სიმონი (საფ) | 2 050 |
| 14(14). გაელ მონფილსი (საფ) | 2 015 |
| 15(15). ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 1 855 |
| 16(21). ხუან მონაკო (არგ) | 1 810 |
| 17(16). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 750 |
| 18(17). რიშარ გასკე (საფ) | 1 640 |
| 19(20). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 565 |
| 20(19). ფლორიან მაიერი (გერ) | 1 540 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 8 980 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 7 930 |
| 3(3). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 7 095 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 6 710 |
| 5(5). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 825 |
| 6(6). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 5 720 |
| 7(7). მარიონ ბარტოლი (საფ) | 5 020 |
| 8(8). ნა ლი (ჩინ) | 4 880 |
| 9(9). ვერა ზვონარევა (რუს) | 3 895 |
| 10(11). სერენა უილიამსი (აშშ) | 3 830 |
| 11(10). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 410 |
| 12(12). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 3 380 |
| 13(13). საბინ ლისიცკი (გერ) | 3 201 |
| 14(16). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 785 |
| 15(17). იულია გორგესი (გერ) | 2 785 |
| 16(14). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 2 775 |
| 17(15). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 570 |
| 18(18). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 545 |
| 19(20). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 470 |
| 20(19). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2 450 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 323 881 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 316 585 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 1 725 465 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 053 481 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 771 998 |
| 6. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 769 238 |
| 7. ჯონ ისნერი (აშშ) | 707 701 |
| 8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 521 801 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 516 678 |
| 10. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 516 048 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 460 736 |
| 12. მილოშ რაონიჩი (კან) | 407 883 |
| 13. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 389 313 |
| 14. ლეანდერ პაესი (ინდ) | 372 103 |
| 15. კეი ნიშიკორი (იაპ) | 326 245 |
| 16. ხუან მონაკო (არგ) | 308 234 |
| 17. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 304 500 |
| 18. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 304 223 |
| 19. რიშარ გასკე (საფ) | 284 598 |
| 20. ჟილ სიმონი (საფ) | 268 883 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4 008 080 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 2 083 350 |
| 3. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 650 459 |
| 4. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 596 188 |
| 5. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 533 690 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 513 691 |
| 7. სარა ერანი (იტა) | 512 265 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 501 216 |
| 9. იულია გორჯესი (გერ) | 484 670 |
| 10. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 414 207 |
| 11. ანა ივანოვიჩი (სერ) | 411 784 |
| 12. მარია კირილენკო (რუს) | 401 903 |
| 13. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 395 038 |
| 14. ვერა ზვონარევა (რუს) | 368 183 |
| 15. რობერტა ვინჩი (იტა) | 361 705 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 356 223 |
| 17. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 346 344 |
| 18. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 336 201 |
| 19. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 329 608 |
| 20. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 275 308 |

## საფრანგეთმა მონფილსი დაკარგა

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, დევისის თასის მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრებს ვერ დაეხმარება მისი ერთ-ერთი ლიდერი **გაელ მონფილსი**. ფრანგები 6-8 აპრილს საკუთარ მოედანზე უმასპინძლებენ ამერიკის ნაკრებს.

მონფილს კუჭთან დაკავშირებული პრობლემები ინდიან უელსში შეექმნა. მაშინ მსოფლიოს მე-14 ნომერი და ბევრი სხვა მონაწილე იძულებული გახდა მიეტოვებინა ტურნირი ვირუსის გამო, რომელიც გულის რევის შეგრძნებასა და დიარეას იწვევდა.

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანს **გი ფორჟეს** ჯერ არ დაუსახელებია ჩოგბურთელი, რომელმაც მონფილსი უნდა შეცვალოს. ამ მომენტისთვის ფრანგების რიგებში ვხედავთ **ჟო-ვილფრიდ ცონგას, ჟულიან ბენეტოსა და მიკაელ ლოდრას**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA აპრილის კალენდარი

**1 აპრილი**
ოკლაჰომა-ჩიკაგო
ორლანდო-დენვერი
ჰიუსტონი-ინდიანა
პორტლენდი-მინესოტა
ბოსტონი-მაიამი
ტორონტო-ვაშინგტონი
ფინიქსი-ნიუ ორლეანი
ლეიკერსი-გ. სტეიტი

**2 აპრილი**
ვაშინგტონი-მილუოკი
ოკლაჰომა-მემფისი
პორტლენდი-იუტა
ჩიკაგო-ჰიუსტონი
დალასი-კლიპერსი
საკრამენტო-მინესოტა

**3 აპრილი**
კლივლენდი-სან ანტონიო
ტორონტო-შარლოტი
მაიამი-ფილადელფია
საკრამენტო-ფინიქსი
ინდიანა-ნიუ იორკი
დეტროიტი-ორლანდო
მემფისი-გ. სტეიტი
ლეიკერსი-ნიუ ჯერსი

**4 აპრილი**
ვაშინგტონი-ინდიანა
ატლანტა-შარლოტი
მაიამი-ოკლაჰომა
მინესოტა-გ. სტეიტი
დალასი-მემფისი
პორტლენდი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-ტორონტო
ბოსტონი-სან ანტონიო
ნიუ ორლეანი-დენვერი
მილუოკი-კლივლენდი
იუტა-ფინიქსი
კლიპერსი-ლეიკერსი

**5 აპრილი**
ორლანდო-ნიუ იორკი
ჩიკაგო-ბოსტონი
დეტროიტი-ვაშინგტონი
საკრამენტო-კლიპერსი

**6 აპრილი**
ინდიანა-ოკლაჰომა
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
ტორონტო-კლივლენდი
დალასი-პორტლენდი
დენვერი-ფინიქსი
ლეიკერსი-ჰიუსტონი
ატლანტა-დეტროიტი
მაიამი-მემფისი
მილუოკი-შარლოტი
სან ანტონიო-ნიუ ორლეანი
იუტა-გ. სტეიტი

**7 აპრილი**
ინდიანა-ბოსტონი
ნიუ ორლეანი-მინესოტა
მემფისი-დალასი
ფინიქსი-ლეიკერსი
კლიპერსი-საკრამენტო
შარლოტი-ატლანტა
ფილადელფია-ორლანდო
მილუოკი-პორტლენდი
გ. სტეიტი-დენვერი

**8 აპრილი**
ნიუ იორკი-ჩიკაგო
მაიამი-დეტროიტი
სან ანტონიო-იუტა
საკრამენტო-ჰიუსტონი
ბოსტონი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-კლივლენდი
ოკლაჰომა-ტორონტო

**9 აპრილი**
შარლოტი-ვაშინგტონი
ინდიანა-ტორონტო
მემფისი-კლიპერსი
მინესოტა-ფინიქსი
იუტა-სან ანტონიო
ორლანდო-დეტროიტი
მილუოკი-ოკლაჰომა
ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
დენვერი-გ. სტეიტი
პორტლენდი-ჰიუსტონი

**10 აპრილი**
კლივლენდი-შარლოტი
ვაშინგტონი-ორლანდო
დალასი-საკრამენტო
მაიამი-ბოსტონი
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ჩიკაგო-ნიუ იორკი

**11 აპრილი**
ტორონტო-ფილადელფია
ბოსტონი-ატლანტა
მილუოკი-ნიუ იორკი
ნიუ ორლეანი-საკრამენტო
სან ანტონიო-ლეიკერსი
პორტლენდი-გ. სტეიტი
კლივლენდი-ინდიანა
ოკლაჰომა-კლიპერსი
ჰიუსტონი-იუტა
მემფისი-ფინიქსი
დენვერი-მინესოტა

**12 აპრილი**
შარლოტი-დეტროიტი
მინესოტა-კლიპერსი
გ. სტეიტი-დალასი
ჩიკაგო-მაიამი
სან ანტონიო-მემფისი

**13 აპრილი**
ტორონტო-ბოსტონი
ორლანდო-ატლანტა
ნიუ იორკი-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-ფინიქსი
ოკლაჰომა-საკრამენტო
ლეიკერსი-დენვერი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ინდიანა-კლივლენდი
მაიამი-შარლოტი
დეტროიტი-მილუოკი
ნიუ ორლეანი-იუტა
პორტლენდი-დალასი

**14 აპრილი**
კლიპერსი-გ. სტეიტი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
მემფისი-იუტა
სან ანტონიო-ფინიქსი
ვაშინგტონი-კლივლენდი
მინესოტა-ოკლაჰომა
მილუოკი-ინდიანა

**15 აპრილი**
ნიუ იორკი-მაიამი
ატლანტა-ტორონტო
დეტროიტი-ჩიკაგო
შარლოტი-ბოსტონი
დენვერი-ჰიუსტონი
ლეიკერსი-დალასი
კლივლენდი-ორლანდო
საკრამენტო-პორტლენდი
ნიუ ორლეანი-მემფისი

**16 აპრილი**
შარლოტი-ნიუ ორლეანი
ორლანდო-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-მაიამი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
ფინიქსი-პორტლენდი
გ. სტეიტი-სან ანტონიო
ტორონტო-ატლანტა
ინდიანა-მინესოტა
ჰიუსტონი-დენვერი
იუტა-დალასი
კლიპერსი-ოკლაჰომა

**17 აპრილი**
ფილადელფია-ინდიანა
მინესოტა-მემფისი
ლეიკერსი-სან ანტონიო
დეტროიტი-კლივლენდი
ნიუ იორკი-ბოსტონი

**18 აპრილი**
შარლოტი-ჩიკაგო
კლივლენდი-ფილადელფია
მაიამი-ტორონტო
ბოსტონი-ორლანდო
დალასი-ჰიუსტონი
ფინიქსი-ოკლაჰომა
საკრამენტო-სან ანტონიო
ვაშინგტონი-მილუოკი
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
ატლანტა-დეტროიტი
მემფისი-ნიუ ორლეანი
დენვერი-კლიპერსი
პორტლენდი-იუტა
გ. სტეიტი-ლეიკერსი

**19 აპრილი**
ინდიანა-მილუოკი
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
ფინიქსი-კლიპერსი
დეტროიტი-მინესოტა
მაიამი-ჩიკაგო

**20 აპრილი**
ატლანტა-ბოსტონი
კლივლენდი-ნიუ იორკი
სან ანტონიო-ლეიკერსი
შარლოტი-მემფისი
დალასი-გ. სტეიტი
საკრამენტო-ოკლაჰომა

**21 აპრილი**
ფინიქსი-დენვერი
მაიამი-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-გ. სტეიტი
მილუოკი-ნიუ ჯერსი
ინდიანა-ფილადელფია
ჩიკაგო-დალასი
მემფისი-პორტლენდი
იუტა-ორლანდო

**22 აპრილი**
ატლანტა-ნიუ იორკი
დეტროიტი-ტორონტო
შარლოტი-საკრამენტო
სან ანტონიო-კლივლენდი
კლიპერსი-ნიუ ორლეანი
ლეიკერსი-ოკლაჰომა
მაიამი-ჰიუსტონი
მინესოტა-გ. სტეიტი
დენვერი-ორლანდო

**23 აპრილი**
ინდიანა-დეტროიტი
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
მემფისი-კლივლენდი
ვაშინგტონი-შარლოტი
მილუოკი-ტორონტო
სან ანტონიო-პორტლენდი

**24 აპრილი**
ატლანტა-კლიპერსი
ოკლაჰომა-საკრამენტო
გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი
ბოსტონი-მაიამი
იუტა-ფინიქსი

**25 აპრილი**
კლივლენდი-ვაშინგტონი
ორლანდო-შარლოტი
ნიუ იორკი-კლიპერსი
ფინიქსი-სან ანტონიო
ინდიანა-ჩიკაგო
მილუოკი-ფილადელფია
ოკლაჰომა-დენვერი

**26 აპრილი**
ატლანტა-დალასი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
იუტა-პორტლენდი
ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი
ჩიკაგო-კლივლენდი
შარლოტი-ნიუ იორკი
გ. სტეიტი-სან ანტონიო
მემფისი-ორლანდო
ვაშინგტონი-მაიამი
მინესოტა-დენვერი
დეტროიტი-ფილადელფია
ბოსტონი-მილუოკი
საკრამენტო-ლეიკერსი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დათვები ოტავათი დაიწყებენ

რეგულარული ჩემპიონატის წინ ოტავაშიც ნაკლებად სჯეროდათ თავიანთი საყვარელი გუნდის და მიიჩნევდნენ, რომ ეს სეზონი "სენატორებისთვის" წარუმატებელი იქნებოდა. მაგრამ მწვრთნელ **პოლ მაკლინის** კარგი მუშაობა, მეკარე **ანდერსონის** საიმედო თამაში, მცველ **ერიკ კარლსონის** დაუჯერებელი პროგრესი და **ჯეისონ სპეცას** ძველ სათამაშო დონეზე დაბრუნება "ოტავას" პლეი ოფში გასვლის გარანტია გახდა.

გუშინ, კანადური კლუბი სტუმრად გაუსწორდა "აილენდერსს" – 5:1, რითაც სტენლის თასზე თამაში გაინაღდა. შესანიშნავი მატჩი ჩაატარა თავდამსხმელმა **კაილ ტარისმა**, რომელმაც ორი შაიბა გაიტანა და ორი შედეგიანი პასიც მიითვალა. კარგი იყო **მილან მიხალეკი** – გოლი და ორი პასი. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, "ოტავა" ჩემპიონატს მეშვიდე ადგილზე დაასრულებს. და "სენატორებმა" უკვე იციან თავიანთი მეტოქე. "ბოსტონმა" სტუმრად დაამარცხა "რეინჯერსი" - 2:1. "დათვებმა" ამ სეზონში პირველად სძლიეს "რეინჯერებს". **მარიან გაბორიკის** მე-40 გოლის მიუხედავად, "ბოსტონმა" **საიდენბერგისა** და **პატრის ბერჟერონის** შაიბებისა და **ტიმ ტომასის** 33 სეივის წყალობით მოიგო და დივიზიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სატურნირო მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, "ბოსტონი" არ დაკარგავს კონფერენციაში მეორე ადგილს და სავარაუდოდ, პლეი ოფის პირველ წრეში "ოტავასთან" ითამაშებს.

"ფლორიდამ" კი ჯერ ვერ მოაგროვა საკმარისი ქულები დივიზიონში ჩემპიონობისთვის, თუმცა ახლოს არის ამასთან. გუშინ, "პანტერებმა" დაასრულეს რთული გასვლითი ტურნე – ბულიტების სერიაში წააგეს "დეტროიტთან" – 1:2. თუმცა ფლორიდელებს მარტივი ამოცანა აქვთ – დარჩენილი სამი მატჩიდან ერთი უნდა მოიგონ და მაშინ "პანტერები" გაიმარჯვებს თავის დივიზიონში და 2000 წლის შემდეგ პირველად გავა პლეი ოფში. "ფლორიდას" წინ აქვს შეხვედრები "ვინიპეგთან", "ვაშინგტონთან" და "კაროლინასთან".

"დეტროიტმა" ორი ქულის წყალობით დაიბრუნა კონფერენციაში მეოთხე ადგილი – გაუსწრო "ნეშვილს". მაგრამ ბრძოლა საკუთარი მოედნის უპირატესობისთვის გრძელდება, რადგან "ნეშვილი" და "ჩიკაგო" "დეტროიტს" ერთი ქულით ჩამორჩებიან. ჩიკაგოელებმა გუშინ ვერ მოუგეს "მინესოტას" (ბულიტებით წააგეს). "ველურების" რიგებში ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა **დევინ სეტოგუჩიმ**, რომელმაც სამი ქულა დააგროვა და გადამწყვეტი ბულიტი გამოიყენა. "მინესოტას" ეს მოგება დიდად არ სჭირდებოდა, "ჩიკაგო" კი, რომელსაც "დეტროიტსა" და "ნეშვილზე" ერთით ნაკლები თამაში აქვს, მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში არც ისე მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა.

"ანაჰაიმმა" სეზონის ბოლო საშინაო შეხვედრაში ვერ გაახარა თავისი გულშემატკივარი – 1:2 დამარცხდა "ედმონტონთან". "მენავთობეების" რიგებში ჩემპიონატში პირველი ორი შაიბა გაიტანა **ტეემუ პარტიკაინენმა**, "იხვებში" კი მისმა სეხნიამ, ლეგენდარულმა **ტეემუ სელიანემ** გამოიჩინა თავი. ეს ვეტერანის 26-ე გოლია და ის კლუბის საუკეთესო ბომბარდირად რჩება.

**აილენდერსი-ოტავა 1:5**

1:1, 0:3, 0:1

**გოლები:** 1:0 შტრაიტი-7 (ტავარესი-47, მოულსონი-33), 1:1 ტარისი-11 (მ. მიხალეკი-24, გონჩარი-32), 1:2 გონჩარი-5 (მ. მიხალეკი-25, ტარისი-15), 1:3 მ. მიხალეკი-35 (ტარისი-16, ბატლერი-10), 1:4 ფოლინო-15 (ვინჩესტერი-6, გრინინგი-19), 1:5 ტარისი-12 (კ. ნილი-15, ფოლინო-31).

**რეინჯერსი-ბოსტონი 1:2**

1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-40, 1:1 საიდენბერგი-5 (ხარა-40, მარშანი-27), 1:2 პ. ბერჟერონი-22 (სეგუინი-38).

**დეტროიტი-ფლორიდა 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ფლიშმანი-26 (ვერსტიგი-29, ვაისი-37), 1:1 ჰუდლერი-25 (ფილპულა-42, კინდლი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), ვოლსკი (ფლორიდა), ჰუდლერი (დეტროიტი).

**ჩიკაგო-მინესოტა 4:5 (ბ)**

1:2, 2:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სეტოგუჩი-19 (ჰიტლი-28, სკანდელა-8), 1:1 შარპი-33 (ლედი-33, კრუგერი-16), 1:2 ჰიტლი-22 (მ. კოივუ-29, სეტოგუჩი-16), 2:2 სტალბერგი-21 (სიბრუკი-25, ჰიალმარსონი-14), 2:3 სტოუნერი-1 (სეტოგუჩი-17, მ. კოივუ-30), 2:4 ბროძიაკი-22 (გილბერტი-19, ვეილო-2), 3:4 პ. კეინი-22 (მარიან ჰოსა-48, ლედი-34), 4:4 პ. კეინი-23 (შოუ-11).

**ბულიტები გაიტანეს:** პ. კეინი (ჩიკაგო), კრისტენსენი (მინესოტა), სეტოგუჩი (მინესოტა).

**პიტსბურგი-ფილადელფია 4:6**

2:1, 0:1, 2:4

**გოლები:** 0:1 სალივანი-16 (კროსბი-25, დუპუი-31), 2:0 ჯ. ნილი-39 (მალკინი-55, კუნიტცი-32), 2:1 კ. ჟირუ-28 (იაგრი-35, ჰარტნელი-30), 2:2 ტელბოტი-19 (რინალდო-7, კუტურიე-14), 2:3 სიმონდსი-27 (ვორაჩეკი-29, კ. ჟირუ-60), 2:4 ვორაჩეკი-16 (უელვუდი-4, ქობურნი-19), 2:5 ბურდონი-3 (კ. ჟირუ-61), 3:5 სალივანი-17 (დუპუი-32, ზ. მიხალეკი-10), 3:6 ვორაჩეკი-17 (მ. კარლი-34, ტელბოტი-14), 4:6 კუნიტცი-24 (მალკინი-56, კროსბი-26).

**ანაჰაიმი-ედმონტონი 1:2**

1:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პარტიკაინენი-1 (ებერლე-42), 0:2 პარტიკაინენი-2 (რაიან უიტნი-17, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-33), 1:2 სელიანე-26 (ჰაგმანი-13, ს. კოივუ-25).

**2 აპრილი**

ტამპა ბეი-ვაშინგტონი
ლოს ანჯელესი-ედმონტონი

**3 აპრილი**

ბოსტონი-პიტსბურგი
ბაფალო-ტორონტო
ნიუ ჯერსი-აილენდერსი
ფილადელფია-რეინჯერსი
ოტავა-კაროლინა
ფლორიდა-ვინიპეგი
ნეშვილი-მინესოტა
დალასი-სან ხოსე
ვანკუვერი-ანაჰაიმი
ფინიქსი-კოლამბუსი

**4 აპრილი**

მონრეალი-ტამპა ბეი
სენტ ლუისი-დეტროიტი

**5 აპრილი**

კაროლინა-მონრეალი
ვაშინგტონი-ფლორიდა
პიტსბურგი-რეინჯერსი
ფილადელფია-ბაფალო
აილენდერსი-ვინიპეგი
ტორონტო-ტამპა ბეი
ოტავა-ბოსტონი
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-ჩიკაგო
ნეშვილი-დალასი
კოლორადო-კოლამბუსი
კალგარი-ვანკუვერი
ედმონტონი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**6 აპრილი**

სენტ ლუისი-ფინიქსი

**7 აპრილი**

ბოსტონი-ბაფალო
ნიუ ჯერსი-ოტავა
რეინჯერსი-ვაშინგტონი
პიტსბურგი-ფილადელფია
დეტროიტი-ჩიკაგო
კალგარი-ანაჰაიმი
კოლამბუსი-აილენდერსი
ვინიპეგი-ტამპა ბეი
მონრეალი-ტორონტო
ფლორიდა-კაროლინა
მინესოტა-ფინიქსი
დალასი-სენტ ლუისი
კოლორადო-ნეშვილი
ვანკუვერი-ედმონტონი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

კალათბურთი

# 12 დაფასებული

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა კალათბურთის დიდების დარბაზის 12 ახალი წევრის სია. შესაბამისი საზეიმო ცერემონია 7 სექტემბერს ქალაქ სპრინგფილდში გაიმართება.

აი, როგორ გამოიყურება მომავალი წევრების ჩამონათვალი:

**რეჯი მილერი** – "ინდიანას" ყოფილი მოთამაშე, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" ხუთგზის მონაწილე;

**დონ ნელსონი** – "მილუოკის", "გოლდენ სტეიტის", "ნიუ იორკისა" და "დალასის" მთავარი მწვრთნელი. კარიერაში მოგებული აქვს 1300-ზე მეტი შეხვედრა;

**რალფ სემპსონი** – NCAA-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, რომელიც "ვირჯინიაში" თამაშობდა, 1983 წლის დრაფტის პირველი ნომერი, NBA-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მოთამაშე (224 სმ), "ოლ სტარის" სამგზის მონაწილე;

**ჯამაალ უილკსი** – UCLA-ის უნივერსიტეტის სახელგანთქმული მოთამაშე, რომელიც NBA-ში "გოლდენ სტეიტის", "ლეიკერსისა" და "კლიპერსის" ღირსებას იცავდა;

**ჰენკ ნიკოლსი** – მსაჯი;

**კატრინა მაკლეინი** – აშშ-ის ქალთა ნაკრების კალათბურთელი;

All American Red Heads – "ჰარლემ გლობტროტერსის" ანალოგიური ქალთა გუნდი;

**ლიდია ალექსეევა** – სსრკ-ის ქალთა ნაკრების მწვრთნელი;

**მელ დენიელსი** – ABA-ის მოთამაშე;

**ჩეტ უოკერი** – NBA-ის მოთამაშე, თამაშობდა "ფილადელფიასა" და "ჩიკაგოში" (1962-75);

**ფილ ნაითი, დონ ბარკსდეილი** – კალათბურთის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი.

■ ■ ■

"დალას მავერიქსის" მცველმა **ჯეისონ კიდმა**, რომელიც ამ ზაფხულს შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი



რეჯი მილერი

გახდება, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ "დალასის" რიგებში სურს კარიერის დასრულება.

*"ვნახოთ, რა გამოვა. მინდა კარიერა "დალასში" დავასრულო, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, იმ კლუბში გადავალ, რომელსაც ჩემი სამსახური სჭირდება. ამ სეზონის დასრულების შემდეგ უფრო ცხადი გახდება სიტუაცია.*

*რაც შეეხება ჩემს გლობალურ გეგმებს, იქამდე ვითამაშებ, სანამ ამის ძალა მექნება, მაგრამ, ვფიქრობ, მალე მომიწევს კალათბურთიდან წასვლა"*, - ამბობს ვეტერანი გამთამაშებელი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ | 0:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| რეჯინა-ბრეშა | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-მალიორკა | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-სტ. პაული | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნანტ[illegible] | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| ეინდჰოვენ[illegible]-დორდრეჰტი | 1:0 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-სონდერიისკი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| ოლესუნდი-ტრომსიო | 0:0 |
| **შვედეთი** | |
| მალმიო-გეფლე | 0:0 |
| ერებრუ-ატვიდაბერგი | 3:4 |
| ნორჩოპინგი-ჰელსინგბორგი | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. ანდრე-სტ. პოლტენი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ვადუცი | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-საქარია | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-პლზენი | 2:3 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-იაგელონია | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-ჩახლაული | 2:0 |
| უნივერსიტატეა-ტარგუ | 3:1 |
| ვასლუი-კლუჟი | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ბოტევი-ლოკომოტივი [illegible] | 1:3 |
| სლავია-ჩერნომორეცი | 1:1 |
| ბეროე-ლოკომოტივი (პ) | 1:1 |
| ლევსკი-ლუდოგორეცი | 0:1 |
| **მოლდოვა** | |
| სფინტული-ისკრა | 0:1 |
| ცსკა-მილსამი | 0:1 |
| აკადემია-ზიმბრუ | 1:2 |
| ნისტრუ-ოლიმპია | 1:1 |
| კოსტულენი-ტირასპოლი | 1:2 |
| შერიფი-დაჩა | 0:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (პ)-აშდოდი | 3:0 |
| ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ქაფაზი-რავანი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ბეშიქთაში | 92:81 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ტრაქტორი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-კერპეტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-ბრნო | 2:7 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| გოვორცოვა-**კ. ბონდარენკო** | 6:2, 2:6, 4:6 |
| უ. რადვანსკა-**ჰრადეცკა** | 1:6, 4:6 |
| დუბუა-**ვესნინა** | 6:7, 5:7 |
| **ვოსკობოევა**-დოკიჩი | 4:3 უარი |
| სხეპერსი-**ორმაეჩეა** | 1:6, 6:1, 4:6 |
| **დუშევინა**-ჩანი | 6:4, 7:6 |
| **დანილიდუ**-კუდრიავცევა | 6:3, 6:4 |
| დატე-**ჰერცოგი** | 4:6, 3:6 |
| **ბ. ზახვალოვა**-ჯორჯი | 6:1, 6:3 |
| იუდინი-**მედინა გარიგესი** | 4:6, 6:4, 0:6 |
| მინელა-**ლუჩიჩი** | 5:7, 5:7 |
| გაიდოშოვა-**ფოგელი** | 4:6, 6:2, 4:6 |
| მაკჰეილი-**ვოზნიაკი** | 5:7, 7:5, 4:6 |

TV პროგრამა

**3 აპრილი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ნიურნბერგი-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. კატანია-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ნანსი-პსჟ.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. ნიუკასლი-ლივერპული.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. რომა-ნოვარა.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ვალენსია-ლევანტე.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-ლეიკერსი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-უელსი.
**18:45** გადაცემა – სპორტის სამყარო
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა – ოვერტაიმი.
**21:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** NBA Action.
**23:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. მაიამი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მიმოხილვა. მაიამი. აშშ.
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-პანათინაიკოსი. IV მატჩი.
**17:00** სუპერკოლაჟი.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. შალკე-ბილბაო. I მატჩი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 17 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 17 | (მზე) |
| ბათუმი | 4 | 15 | (მზე) |
| ფოთი | 5 | 17 | (მზე) |
| ზუგდიდი | 4 | 16 | (მზე) |
| გორი | 1 | 18 | (მზე) |
| თელავი | 4 | 16 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 7 | (მზე) |
| გუდაური | -8 | 4 | (მზე) |
| მესტია | -6 | 7 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2149 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6600 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6578 |
| 100 რუსული რუბლი | 5.6601 |

ავტოსპორტი. რალი



მიკო ჰირვონენი

# სკანდალური რალი

სკანდალით დასრულდა რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი. პორტუგალიის რალის მონაწილეებს ძალიან გაუმარტივა საქმე იმან, რომ პარასკევს ტექნიკური პრობლემების გამო რბოლას გამოეთიშა მსოფლიოს ჩემპიონი და საერთო ჩათვლის ლიდერი **სებასტიან ლოები**.

ბოლო დღის წინ კომფორტული უპირატესობით ლიდერობდა "სიტროენის" პილოტი, ფინელი **მიკო ჰირვონენი**. მან კვირას შეძლო პირველი ადგილის შენარჩუნება და კარიერაში მე-15 ეტაპი მოიგო. რაც მთავარია, ამ გამარჯვებით მან ცხრა ქულით გაუსწრო გენერალურ კლასიფიკაციაში **სებასტიან ლოებს**.

ფინელი მილოცვებს იღებდა, როცა მან დისკვალიფიკაციის შესახებ ცნობა მიიღო. როგორც გაირკვა, ჰირვონენის "სიტროენს" ტექნიკური რეგლამენტისთვის შეუსაბამო დეტალები ჰქონდა.

ამიტომაც მიკომ დისკვალიფიკაცია მიიღო და გამარჯვება მეორე ადგილზე გასულ ნორვეგიელს **მატს ოსტბერგს** ერგო. მეორე ადგილზე კი 21 წლის რუსმა **ევგენი ნოვიკოვმა** გადაინაცვლა – ეს რუსული რალის ისტორიაში პირველი პოდიუმი იყო. მესამე ადგილზე კი კიდევ ერთმა ნორვეგიელმა **პეტერ სოლბერგმა** გადაინაცვლა. ლოებმა კი შეინარჩუნა პირველობა გენერალურ კლასიფიკაციაში.

**IV ეტაპი. პორტუგალიის რალი.**

1. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") – 4:21.16,1; 2. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, „ფორდი") – 1.33,2; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +1.55,6; 4. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, „სიტროენი") - +6.05,8; 5. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი") - +6.09,2; 6. **დენის კუიპერსი** (ჰოლანდია, „ფორდი") - +6.47,3; 7. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „შკოდა") - +7.09,0; 8. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, "სიტროენი") - +8.37,9; 9. **იარი კეტომაა** (ფინეთი, „ფორდი") - +9.52,8; 10. **პეტერ ვან მერკსტეინი** (ჰოლანდია, "სიტროენი") - +10.11,0...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 66 ქულა; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 62; 3. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 53; 4. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 50; 5. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, „ფორდი") - 39; 6. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") – 28; 7. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი") - 21; 8. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, „სიტროენი") - 20; 9. **ოტ ტანაკი** (ესტონეთი, „ფორდი") – 15; 10. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი") - 14...

ამერიკული სერიები

# მოგება ავარიის ხარჯზე

**რაიან ნიუმანმა**, რომელიც საჯინიბო "სტიუარტ-ჰაასის" რიგებში Chevrolet Impala-ს ავტომობილით გამოდის, ნასკარის სერიის უმაღლეს ლიგაში (Sprint Cup) ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო. რბოლა მარტინსვილის მოკლე ტრეკზე მიმდინარეობდა.

იმ დღეს ტრასაზე ყველაზე სწრაფი პილოტები იყვნენ ნასკარის მრავალგზის ჩემპიონები, Hendrick Motorsport-ში რიგებში მოასპარეზე **ჯეფ გორდონი** და **ჯიმი ჯონსონი** - ისინი შესაბამისად, 329 და 111 წრის განმავლობაში ლიდერობდნენ (დისტანციის მთლიანი სიგრძე 500 წრე იყო). შესაბამისად, გორდონი და ჯონსონი პირველ ორ ადგილს იკავებდნენ ფინიშამდე ხუთი წრით ადრე, როცა მორიგი რესტარტის ნიშანი მისცეს.

რესტარტის დროს გორდონმა და ჯონსონმა მაქსიმალური ტემპის აკრეფა ვერ შეძლეს, რადგან გაცვეთილი საბურავებით ასრულებდნენ რბოლას. მათ უკან მყოფმა პილოტებმა უკეთესი სტარტი აიღეს და ლიდერებს კვალში ჩაუდგნენ. ამიტომაც, პირველ რიგებში მცირე არეულობას ჰქონდა ადგილი. საბოლოოდ, მესამე ადგილზე მყოფმა **კლინტ ბოიერმა** ერთი დარტყმით მოასრიალა გორდონიცა და ჯონსონიც. ამ ინციდენტის შემდეგ მრავალგზის ჩემპიონებმა მე-14 და მე-12 ადგილზე დაასრულეს რბოლა.

ბოლომდე გაურკვეველი დარჩა – ვინ იყო ამ ავარიის ინიციატორი. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ ყველაფერი მეხუთე ადგილზე მყოფმა **რაიან ნიუმანმა** მოაწყო, რომელმაც ოდნავ უბიძგა ბოიერის მანქანას იქამდე, სანამ ეს უკანასკნელი გორდონს დაეჯახებოდა. თავად ნიუმანი მიიჩნევს, რომ კონტაქტი მსუბუქი იყო და მას არ შეიძლება ავარია გამოეწვია, მიზეზად კი მან ბოიერის ზედმეტად რისკიანი პილოტაჟი დაასახელა.

■ ■ ■

პარალელურად ალაბამას შტატის ქალაქ ბირმინგემში გაიმართა ინდიკარის მსოფლიო სერიის მეორე ეტაპი, რომელიც "პენსკეს" გუნდის წევრმა, "დალარა-შევროლეს" ავტომობილით მოასპარეზე **უილ პაუერმა** მოიგო.

ავსტრალიელის გამარჯვების მთავარი საფუძველი ბოლიდის მართვის აგრესიული სტილი (პილოტმა რბოლა მე-9 პოზიციიდან დაიწყო) და სწორი სტრატეგია გახდა. თუმცა ლიდერის პოზიცია პაუერმა მას შემდეგ მიიღო, რაც პიტსტოპზე შეყოვნდა იმ მომენტისთვის პირველ ადგილზე მყოფი **სკოტ დიქსონი**, რომელიც "პენსკეს" მთავარი კონკურენტის – "განასის" წევრი გახლავთ.

საბოლოოდ, დიქსონმა მეორე ადგილი დაიკავა, მესამეზე კი "პენსკეს" კიდევ ერთმა პილოტმა, პირველი ეტაპის გამარჯვებულმა **ჰელიო კასტრონევეშმა** მიაღწია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



გადამწყვეტი ავარია

ფორმულა 1

# ბაჰრეინში მიტინგებია

ორშაბათს, ბაჰრეინის პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა მიტინგი პატარა ქალაქ აბუ-საიბაში. საპროტესტო აქცია ბაჰრეინის გრანპრის გაუქმების მოთხოვნით ჩატარდა. მთავრობამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, რამდენიმე დემონსტრანტი დააკავა, თუმცა ფორმულა 1-ის ეტაპის საწინააღმდეგო კამპანია გრძელდება.

ქვეყნის მთავრობა თავს იკავებს კომენტარებისგან და მხოლოდ ტრადიციული განცხადებებით შემოიფარგლება იმის თაობაზე, რომ სპორტი პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს და მომიტინგეებმა არ უნდა გამოიყენონ გრანპრი საკუთარ ინტერესებში.



დარბევის შემდეგ

ოლიმპიზმი

# მეძავებს გადამალავენ



ლონდონი აგრძელებს მზადებას ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის. როგორც უკვე ვწერდით, ბრიტანეთის მთავრობამ ოლიმპიადის დღეებში აკრძალა ქორწინებები, ახლა კი ცნობილი გახდა კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ. ახლა ინგლისელები იბრძვიან არა მხოლოდ მოქალაქეობის მიღების მსურველების, არამედ მეძავების წინააღმდეგ.

თამაშების დროს ინგლისში აკრძალული იქნება პროსტიტუცია. როგორც ქალაქის მერიაში აცხადებენ, მეძავებს მოაშორებენ ლონდონის ყველა ცენტრალურ ქუჩას – მათ უახლოეს რაიონებში "გადამალავენ". იქ, სადაც არ შეაღწევს ოლიმპიური ცეცხლის სხივები.

*"ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, მეძავების აქტიურობა გაიზარდა"*, - აღიარა ლონდონის ასამბლეის წევრმა **ენდრიუ ბოფმა**.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია